

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS  
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

მარტი-აპრილი  
MARCH-APRIL  
МАРТ-АПРЕЛЬ

2013

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და პიზნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებალი  
და რევენგირებალი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса  
Тбилисского государственного университета имени Ив.  
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ  
Published since January, 2008 once in two month  
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 ხართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16  
e-mail: ebf.journal@tsu.ge  
e-mail: lia\_lugela@mail.ru

## სარედაქციო კოლეგია

**რევაზ გოგოხია** – მთავარი რედაქტორი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტები, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები: **ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ლეო ჩიქავა.**

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური ანანიაშვილი, რამაზ აბესაძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, ეკა ლეკაშვილი, მურთაზ მაღრაძე, მაია მარგველაშვილი, ქეთევან მარშავა, ელგუჯა მექვაბიშვილი, იაკობ მესხია, ნუგზარ პაიჭაძე, სერგო სანაძე, მირიან ტუხაშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, რომან ხარბედია, ნოდარ ხადური, აკაკი ხელაძე, თემურ შენგელია, ემზარ ჯგერენაია.**

## EDITORIAL BOARD

**Revaz Gogokhia** – Editor-in-chief Doctor of Economic sciences, professor.

Corresponding members of Georgian National Academy of Sciences, doctors of Economic Sciences: **Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Leo Chikava.**

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili, Ramaz Abesadze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Nugzar Todua, Irakli Kovsanadze, Eka Lekashvili, Murtaz Magradze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Elguja Mkvabishvili, Iakob Meskhia, Nugzar Paichadze, Sergo Sanadze, Mirian Tukhashvili, Eter Kharashvili, Elene Kharabadze, Roman Kharbedia, Nodar Khaduri, Akaki Kheladze, Temur Shengelia, Emzar Jgerenaia.**

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Реваз Гогохия** – главный редактор, доктор экономических наук, профессор.

Члены-корреспонденты Национальной Академии наук Грузии – **Владимер Папавა, Автандил Силагадзе, Лео Чикава.**

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананиашвили, Рамаз Абесадзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелესиანი, Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанაძე, Ека Лекашвили, Муртаз Маграძე, Майя Маргველაშვილი, Кетевან Маршава, ზღუჯა მექვაბიშვილი, Якоб Месхия, Нугзар Пайчаძე, Серго Санаძე, Мირიან Тухაშვილი, Етер Хараიშვილი, Элене Харабаძე, Роман Харбедия, Нодар Хадური, Акаки Хеладзе, Темур Шенгелия, Эмзар Джгеренаია.**

---

---

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University’s Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

### ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

---

---

## შინაარსი

### ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ნუზგარ პაიჭაძე. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი და გამართული სისტემა – ორგანიზაციათა წარმატებული საქმიანობის საწინდარი.....	11
მირიან ტულუში. დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფისათვის.....	29
ნატო ჩაღუნელი. გლობალიზაციის ტენდენციები თანამედროვე მსოფლიოში .....	47
ჯემალ ხარბონაშვილი. ა. სმითი (1772–1823) – ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი (დაბადებიდან 290 წელი) .....	59

### მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი

გიორგი ღაღანიძე. საქართველოში წარმოებული ელექტროენერჯის საექსპორტო პოტენციალი .....	75
ეკა ბულუა. „ტალანტ-მენჯემენტი“- ადამიანის პოტენციალის მართვის აქტუალური მიმართულება.....	95

### შინანსური ეკონომიკა

მაია გოგოხია. ეროვნული (ცენტრალური) ბანკების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე .....	99
ნალია კვატაშიძე. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება .....	119

---

**ასიე ცინცაპე, ნინო სვანიძე.** სოციალური დაზღვევის ფონდის რესურსების ცვლილების ანალიზი ალბათურ-სტატისტიკური მეთოდით .....127

**ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში**

**ეკა ლეკაშვილი.** სოციალისტური ინტეგრაცია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტით – საბაზრო ინტეგრაციის ანტიპოდი ..... 139

**ამირ ეთერია.** ეკონომიკური გლობალიზაცია და საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივები (ინგლისურ ენაზე) .....161

**ჩვენი პუბლიკაციის კვალდაკვალ**

**გიორგი აბუსელიძე.** პლაგიატი თუ ცილისწამება? – მოსწავლის პასუხი მასწავლებელს ლიტვაში გამოქვეყნებული სტატიის გამო ..... 181

**ჩვენი იუბილარები**

ბრწყინვალე მეცნიერი, ამაგდარი პედაგოგი, შემოქმედი პიროვნება (პროფესორი ელენე ხარაბაძე – 70) .....195

---

---

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

<b>NUGZAR PAICHADZE.</b> Coherent System for Improving Managers' Qualification – Prerequisite for Organizations to Operate Successfully .....	11
<b>MIRIAN TUGHUSHI.</b> Regarding Maintenance Effective State Employment Mechanism .....	29
<b>NATO CHADUNELI.</b> Globalization Tendencies in the Contemporary World .....	47
<b>JEMAL KHARITONASHVILI.</b> Adam Smith (1772-1823) – the Founder of Economic Science ( From birth 290 years ) .....	59

### MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

<b>GIORGI GAGANIDZE.</b> Export Potential of the Electrical Energy Produced in Georgia .....	75
<b>EKA GULUA.</b> Talant Management - Actual Direction of Human Potential .....	95

### FINANCIAL ECONOMICS

<b>MAYA GOGOKHIA.</b> Main Directions of National (Central) Bank Activities on the Current Stage .....	99
<b>NADIA KVATASHIDZE.</b> Classification and Measurement of Financial Assets .....	1119

---

---

**ASIE TSINTSADZE, NINO SVANIDZE.** Analysis of Change of the Social Insurance Fund with Probabilistic and Statistical Methods ...27

**NATIONAL ECONOMY IN THE PROCESSES OF GLOBAL INTEGRATION**

**EKA LEKASHVILI.** Socialist Integration in the Context of Regional Economic Integration – Antipode of Market Integration .....139

**EMIR ETERIA.** Economic Globalization and the Prospects of Georgia-European Union Trade Relations .....161

**FOLLOWING OUR PUBLICATION**

**GIORGI ABUSELIDZE. Plagiarism or calumination? - The Students Answer to the Professor regarding the Article Published in Lithuania** .....181

**BIRTHDAY ANNIVERSARIES**

Prominent Scientist, Honoured Professor, Creative Person (Professor Elene Kharabadze – 70) .....195



---

---

## СОДЕРЖАНИЕ

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

<b>Нугзар Пайчадзе.</b> Стройная и организованная система повышения квалификации руководителей . . . . .	11
<b>Мирон Тугуши.</b> Для обеспечения эффективного государственного регулирования занятости . . . . .	29
<b>Нато Чадунели.</b> Тенденций глобализации в современном мире ..	47
<b>Джемал Харитонашвили.</b> А.Смит (1742-1823) –основатель экономической науки (290 лет со дня раждений).....	59

### Менеджмент. Маркетинг. Туризм

<b>Георгий Гаганидзе.</b> Экспортный потенциал электроэнергии производимой в Грузии . . . . .	75
<b>Эка Гулуа.</b> «Талант-менеджмент» - актуальное направление управления человеческого потенциала . . . . .	85

### Финансовая экономика

<b>Майя Гогохия.</b> Основные направления деятельности национального (центрального) банка на современном этапе . . . . .	99
<b>Надя Кваташидзе.</b> Классификация и оценка финансовых активов . . . . .	119
<b>Асыко Цинцадзе, Нино Сванидзе.</b> Вероятно-статистический метод анализа изменения капитала фонда соцстрахования . . . . .	127

---

---

**Национальная экономика в процессах мировой  
интеграции**

**Эка Лекашвили.** Социалистическая интеграция в контексте региональной экономической интеграции – антипод рыночной интеграции (на примере южнокавказских стран) . . . . . 139

**Эмир Этерия.** Экономическая глобализация и перспективы торговых отношений между Грузией и Евросоюзом (на англ. языке) . . . . . 161

**по стопам нашей публикации**

**Георгий Абуселидзе.** Плагиатство или ложное свидетельство? – Ответ ученика учителью о статье опубликованной в Литве ... 181

**Наши юбиляры**

Блестящий учёный и педагог, деятельный человек (Профессору Элене Харабадзе – 70) . . . . . 195

**ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი  
და გამართული სისტემა-ორგანიზაციითა  
წარმატებული საქმიანობის საწინდარი**

**ნუგზარ კაიჭაძე**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ასოცირებული  
პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი**

დიდია ხელმძღვანელთა როლი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების გამართულ და ეფექტიან ფუნქციონირებაში. აქედან გამომდინარე, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელთა პირად და საქმიან თვისებებს, ასევე, მაღალ კვალიფიკაციას. როგორც ცნობილია, დღევანდელი სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის პირობებში, ადამიანთა პროფესიულ საქმიანობაში საჭირო ცოდნა სწრაფად ძველდება, რაც განაპირობებს კადრების, მათ შორის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების აუცილებლობას. სწორედ ამ პრობლემაზეა შესრულებული წინამდებარე სტატია. მასში, მოცემულ პრობლემაზე არსებული მდიდარი ეკონომიკური ლიტერატურის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე, გამოთქმულია ზოგიერთი ავტორისეული მოსაზრება საქართველოში ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ამჟამად არსებულ მდგომარეობასა და მისი გაუმჯობესების გზებზე.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზანია მათი მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება იმ როლებში, რომელსაც ისინი ასრულებენ მიმდინარე პერიოდსა და მომავალში უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობაზე სამუშაოდ მათი მომზადება. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება ორგანიზაციის წარმატების

## **ნუგზარ პაიჭაიძე**

საწინდარია. ამ გზით ფორმირდება ისეთი ხელმძღვანელი კადრები, რომლებიც თავიანთი საქმიანი თვისებებითა და კომპეტენციით დააკმაყოფილებენ ორგანიზაციის მიმდინარე და მომავალ მოთხოვნილებებს. კვალიფიკაციის ამადლების პროცესი შეიძლება იყოს: განჭვრეტადი, რეაქტიული და მოტივაციური. მათგან პირველი გათვლილია ადამიანების მართვასთან დაკავშირებული ზოგადი ხასიათის ხანგრძლივადიანი მიზნებზე, მეორე – მართვის სამუშაოთა შესრულებაში მიმდინარე სიძნელეთა გადალახვასა და თავიდან აცილებაზე, ხოლო მესამე – მენეჯერთა კარიერულ ზრდაზე. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამადლების განსაკუთრებული მიზნებია: 1. მენეჯერთა მიერ თავიანთი მოვალეობებისა და ამ უკანასკნელთა სარეალიზაციოდ საჭირო აუცილებელი კომპეტენტურობის დონის გაცნობიერება; 2. განვითარების პოტენციალის მქონე მენეჯერთა გამოვლენა, მათი წახალისება პირადი განვითარების გეგმების შედგენასა და რეალიზაციაში, რომლის მიზანია ხელმძღვანელთა მიერ მნიშვნელოვან საპასუხისმგებლო სამუშაოთა შესასრულებლად აუცილებელი ცოდნის ფლობა; 3. ხელმძღვანელობის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა.

ორგანიზაციას თავისი სტრატეგიული ამოცანის წარმატებით შესრულება შეუძლია მხოლოდ მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელების გულმოდგინე საქმიანობის შემთხვევაში. როგორც ნ. ფონდა მიუთითებს, სწორედ მაღალკვალიფიციურ ხელმძღვანელებს შეუძლიათ უზრუნველყონ ორგანიზაციაში ისეთი შედეგები, როგორიცაა: 1. ახალი, უფრო დიდი ამბიციების გაჩენა; 2. საწარმოთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფელი პროდუქტ-ბაზრის სტრატეგიების შემუშავება; 3. სტრატეგიული ამბიციისა და პროდუქტ-ბაზრის სტრატეგიის მხარდამჭერი სამუშაო სტრატეგიების შექმნა; 4. საწარმოს მართვის სისტემის დამუშავება და მისი

## **ჯანმრთელობის დაცვა და ჯანმრთელობის პოლიტიკა**

ეფექტიანი გამოყენება; 5. საწარმოსა და მისი ნაწილების სტრუქტურისა და რესტრუქტურისა, არსებული პრობლემების შესაბამისად; 6. მოგების ოპტიმიზაცია, გაყიდვებისა და მომსახურების დონის მუდმივი ამაღლების ხარჯზე (2, გვ. 504).

სადღეისო მოთხოვნაა ის, რომ ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს უნდა წარმართავდეს ორგანიზაცია მაშინაც კი, როცა იგი დაკავშირებულია შრომისა და პოტენციალის ინდივიდუალურ მაჩვენებელთა ამაღლებასთან. ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს სტრატეგიული მიზნების მისაღწევად როგორი ტიპის მენეჯერებია მისთვის აუცილებელი და რა გზებითაა შესაძლებელი ასეთი მენეჯერების მოზიდვა ან გამოზრდა. მაშინაც კი, როცა უპირატესობა ეძლევა თვითგანვითარებას, ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ძირითადი მიმართულებები, თუნდაც ზოგადი ფორმით, უნდა განსაზღვროს ორგანიზაციამ.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტურად წარმართვისათვის ტარდება აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები, როგორცაა: ა) ხელმძღვანელებისადმი მიმდინარე და მომავალ მოთხოვნილებათა ანალიზი; ბ) ხელმძღვანელთა არსებული და პოტენციური უნარ-ჩვევებისა და ეფექტიანობის შეფასება; გ) ხელმძღვანელებზე არსებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სტრატეგიებისა და გეგმების დამუშავება. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება მოიცავს, აგრეთვე, ხელმძღვანელობის მემკვიდრეობითობისა და ხელმძღვანელთა კარიერის აგებას.

ხელმძღვანელებზე მომავალ მოთხოვნილებათა ანალიზი ტარდება ადამიანური რესურსების დაგეგმვისას. თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელ არამდგრად პირობებში მენეჯერთა საჭირო რაოდენობაზე ზუსტი პროგნოზის გაკეთება რთულია. მიუხედავად ამისა, შეიძლება

და საჭიროცაა შეფასდეს უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რაც აუცილებელია მენეჯერებისათვის, კონკურენციის ზეწოლით წარმოშობილი მომავალი მოთხოვნილებებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობის გათვალისწინებით.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელთა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების მომავალ მოთხოვნილებებთან შესაბამისობის შეფასებას. ამასთან, მნიშვნელოვანია უნარ-ჩვევებზე სპეციფიკური მოთხოვნილებების გამოვლენა და მათი განვითარების გეგმის შედგენა იმ ანგარიშით, რომ დაკმაყოფილდეს არა მარტო მიმდინარე, არამედ მომავალი მოთხოვნილებებიც.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამადლების სტრატეგია ძირითადად ეხება იმას, თუ რის გაკეთებას აპირებს ორგანიზაცია ხელმძღვანელებზე თავისი მომავალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, თავისი მისიიდან (ბიზნეს-გეგმებიდან) გამომდინარე.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამადლება განხილულ უნდა იქნეს როგორც სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებულ მიზნობრივ მოქმედებათა ნაწილი და არა ყოვლისმომცველი პროგრამა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არავითარი სისტემატიზაცია არაა საჭირო. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ მენეჯერები იძულებულნი არიან იმოქმედონ მეტ-ნაკლებად ცვალებად სიტუაციებში და უნდა იყვნენ შესაბამისად მომზადებულები. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მიდგომების არსის სწორად გაგებას, რაც გამოიყენება ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამადლებლად და მართვის არსებული რესურსების შესაფასებლად, და იმასაც, რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ორგანიზაციის მოთხოვნილებებს.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ასამადლებლად

კონკრეტულ მეთოდებს განსაზღვრავს ორგანიზაცია, რომელიც დამოკიდებულია მის ფილოსოფიაზე, გამოყენებულ ტექნოლოგიასა და არსებულ გარემოზე. ტრადიციული ტიპის ორგანიზაცია, როგორც წესი, იყენებს კონტროლის სისტემებზე ორიენტირებულ პროგრამულ-ფორმალურ მიდგომას. ინოვაციური ტიპის ორგანიზაციამ შეიძლება იმოქმედოს ყველა ზემოდასახელებული მექანიზმის გარეშე. ასეთი მიდგომის არსი ისაა, რომ მენეჯერებს მისცეს შესაძლებლობა და სტიმულები კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ასევე – დამატებითი დავალებები და გარანტია იმისა, რომ ისინი მიიღებენ აუცილებელ რჩევებსა და მხარდაჭერას. ხელმძღვანელები სწავლობენ ხელმძღვანელობას ხელმძღვანელად მუშაობით. ასეთ შემთხვევებზე ამბობენ, რომ **„გამოცდილება მასწავლებელია“**. ეს გამოთქმა საკმაოდ სამართლიანია, თუმცა, ზოგიერთი ადამიანი სწავლობს უკეთესად, ვიდრე სხვები. სწავლაში განსხვავების მიზეზი ისაა, რომ ზოგიერთ მენეჯერს ბუნებისგან მინიჭებული აქვს მეტი უნარი ან იგი უფრო მოტივირებულია. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მმართველისგან მხარდაჭერას, მისგან ხელმძღვანელობასა და დახმარებას. ჩვეულებრივ, ასე იქცევიან ის ხელმძღვანელები, რომლებიც სრულად აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული გამოთქმა შეიძლება შეიცვალოს გამოთქმით: **„ხელმძღვანელები სწავლობენ ხელმძღვანელობას, როცა ისინი ხელმძღვანელობენ კარგი ხელმძღვანელების ხელმძღვანელობით“**. იმის მტკიცება, რომ ხელმძღვანელები ყველაზე უკეთ სწავლობენ თავიანთ თანამდებობაზე მუშაობისას, არ ნიშნავს იმას, რომ ყველაზე უკეთესია მათი ხანგრძლივად დატოვება საკუთარ პროექტებთან. ამ დროს საჭიროა მიმდინარე და მომავალ პერიოდში ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინაშე მდგომი

ამოცანებიდან გამომდინარე მოქმედება. თითოეულ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკუთარი ფილოსოფია, რაც ხელმძღვანელთა სწავლების გაუმჯობესებაში თანმიმდევრული და მოფიქრებული ჩარევის გარანტია იქნება.

როგორც ცნობილია, ხელმძღვანელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა დაქვემდებარებულთა განვითარების მართვა. კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანებიდან ერთ-ერთი სწორედ ისაა, რომ ყველა მენეჯერმა გააცნობიეროს, რომ მათ დაქვემდებარებულთა განვითარება არის მათი მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

არსებობს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი **ფორმალური** და **არაფორმალური** მიდგომები. ფორმალური მიდგომა მოიცავს: 1. კვალიფიკაციის ამაღლებას სამუშაო ადგილზე მოძღვრის, კონსულტაციების, კონტროლისა და მენეჯერების მხრიდან უკუკავშირის საშუალებით. იგი დაკავშირებულია შრომის მაჩვენებლების მართვის პროცესების რეალიზაციასა და კურატორობასთან; 2. კვალიფიკაციის ამაღლებას მუშაობის გამოცდილების მიღების საშუალებით, რომელიც გულისხმობს როტაციებს, მუშაობის ზონის გაფართოებას, საპროექტო და მიზნობრივ ჯგუფებში მონაწილეობას, აქტიურ სწავლებას, სხვა ორგანიზაციებში სამუშაოდ დროებით გადაყვანას და სხვ.; 3. შიგა ან გარე კურსებზე სისტემატურ სწავლებას; 4. დამოუკიდებელი სწავლების პროგრამებიდან გამომდინარე, სტრუქტურირებულ თეიგანვითარებას. ეს უკანასკნელი ფორმირებულია სათანადოდ დამტკიცებული, პირადი განვითარების გეგმის ან ხელმძღვანელთა სწავლების დარგში მრჩეველებთან სასწავლო ხელშეკრულებათა საფუძველზე. აქ იგულისხმება სპეციალური ლიტერატურის გაცნობა, ცოდნის მიზანმიმართული გაფართოება, ახალი უნარ-ჩვევების შექმნა სამუშაო ადგილზე და სხვ.



ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ფორმალური მიდგომები დამყარებულია პერსონალის განვითარებაში მოთხოვნილებათა გამოვლენაზე, შრომის მაჩვენებლების მართვის ან კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების მეშვეობით. მიდგომა შეიძლება სტრუქტურირებულ იქნეს საერთო ან საკვანძო კომპეტენციების მიხედვით, რაც საჭიროა მოცემულ ორგანიზაციაში მომუშავე მენეჯერებისათვის.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი არაფორმალურ მიდგომებში გამოიყენება მენეჯერების მიერ მათი ყოველდღიური მუშაობის მსვლელობისას მიღებული სასწავლო გამოცდილება. მენეჯერები სწავლობენ ყოველთვის, როცა ეჯახებიან უჩვეულო პრობლემებს, უცნობ ამოცანებს ან გადადიან სხვა სამუშაოზე. შემდეგ ისინი გამოიმუშავენ შექმნილი სიტუაციის გადაწყვეტის ახალ საშუალებებს. ისინი წარმატებით ისწავლიან, თუ მოახდენენ თავიანთი მუშაობის სწორ ანალიზს და განსაზღვრავენ როგორ და რატომ აქვთ წარმატება ან განიცადეს მარცხი. ასეთი სწავლება იქნება ეფექტური, თუ მენეჯერები შეძლებენ გამოტანილი დასკვნების წარმატებით გამოყენებას მომავალ საქმიანობაში. ეს სწავლების ყველაზე ძლიერი ფორმაა, რომლის არსი ისაა, რომ მენეჯერებმა სწავლებისას მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი გამოცდილება. ზოგიერთი მენეჯერი ბუნებრივი გზით მიდის „გამოცდილებით აღზრდის“ ხსენებულ მეთოდთან. როგორც ჩანს, ქვეცნობიერად, ისინი თანდათანობით უახლოვდებიან მოვლენის გაგებას და თავიანთი გამოცდილებიდან გამოაქვთ გაკვეთილი. ამ დროს მენეჯერები თავიანთში ავითარებენ მოვლენის თითქმის მყისიერი ანალიზის უნარს, რომელსაც ინახავენ მონაცემთა ბაზებში (ცხადია, ის ინახება მათ გონებაში) და, რაც მათ შეუძლიათ ამოიღონ ნებისმიერ მომენტში, როცა დასჭირდებათ.

ადამიანური რესურსების მართვის ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ასეთი ანალიზი ძნელია ან ხშირად არაა მასზე მოთხოვნილება. ასეთ შემთხვევაში მენეჯერების ეფექტურად სწავლის წასახალისებლად გამოიყენება შემდეგი ნახევრადფორმალური მიდგომები: ა) თვითშეფასების მნიშვნელობის წინ წამოწევა და პერსონალის განვითარებაში მოთხოვნილების გამოვლენა, მენეჯერების დარწმუნება თავიანთი შრომის მაჩვენებლების დასახულ მიზნებთან შესაბამისობის, აგრეთვე, სამუშაოს შესრულების ეფექტიანობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზის აუცილებლობაში; ბ) მენეჯერთა დარწმუნება პირადი განვითარების საკუთარი გეგმების ან დამოუკიდებელი სწავლების პროგრამების შედგენის საჭიროებაში; გ) მენეჯერების დაინტერესება თავიანთ ხელმძღვანელებთან, კოლეგებთან ან კურატორებთან ერთად საკუთარი პრობლემებისა და შესაძლებლობების განხილვით, რომლის მიზანია თვითსწავლის აუცილებლობის განსაზღვრა.

პრაქტიკაში უმეტესად ადგილი აქვს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი **ინტეგრირებულ მიდგომას**, რაც გულისხმობს როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური მეთოდების გამოყენებას. არსებობს ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ინტეგრირებული მიდგომის ხუთი სახელმძღვანელო პრინციპი: **1. მართვის რეალურობა**, რაც გულისხმობს გარიდებას გაუბრალებული წარმოდგენისაგან, რომ თითქოს მენეჯერებისათვის აუცილებელია მხოლოდ იცოდნენ და გააკეთონ ყველაფერი ის, რაც დამყარებულია მართვის ფუნქციების დაგეგმვის, ორგანიზაციის, ხელმძღვანელობის და კონტროლის კლასიკურ ანალიზზე. სინამდვილეში, მმართველობითი მუშაობა დაყოფილია ნაწილებად, ანუ ზოგიერთისთვის უფრო მნიშვნელოვანია კონტროლის ფუნქციის ღრმად ცოდნა, ზოგი-

## **===== *საქართველოს ტერიტორია და საქართველოს პოლიტიკა***

ერთისთვის—დაგეგმვის და ა. შ. სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ ბევრი პრაქტიკოსი მენეჯერი უარყოფს ხელმძღვანელთა მომზადების ზოგიერთ ფორმალურ პროგრამას. ამიტომ, მიზანშეწონილია ასეთი პროგრამები გამომდინარეობდეს კვალიფიკაციის ამაღლებას დაქვემდებარებული მენეჯერებისათვის განსაზღვრული მოვალეობებისა და კომპეტენციებისაგან; **2. აქტუალურობა.** მეტად ძნელია იმის ვარაუდი, რომ ყველა მენეჯერს სჭირდება დეტალურად ერკვეოდეს ისეთ ცნებებთან არსში, როგორცაა: სტრატეგიული მართვა, ღირებულების მატება, საბალანსო ანგარიშის ანალიზი და ა. შ. ცხადია, მათი მრავალმხრივი ცოდნა სასარგებლოა, მაგრამ ყველა მენეჯერისათვის არაა რეალურად აუცილებელი. ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება დაკავშირებული უნდა იყოს მენეჯერებისადმი იმ კონკრეტულ მოთხოვნილებებთან, რაც წარმოიშობა განსაზღვრულ სამუშაოზე. მენეჯერებისადმი მოთხოვნილებანი – ესაა არა მარტო ის, რაც მენეჯერებმა უნდა იცოდნენ ახლა, არამედ ისიც, რაც მათ უნდა იცოდნენ და შეეძლოთ გააკეთონ მომავალში, თუ მათში არის განვითარების პოტენციალი; **3. თვითგანვითარება,** რაც გულისხმობს განვითარებისადმი მენეჯერების მისწრაფების წახალისებას და ამაში მათთვის ხელშეწყობას; **4. სწავლება გამოცდილებაზე დაყრდნობით.** თუ სწავლებას აღვიქვამთ, როგორც ადამიანის ქცევის ცვლილებას, გამოცდილების მიღების საშუალებით, მაშინ მენეჯერების მაღალეფექტიანი საქმიანობისათვის ყველა აუცილებელით შეიარაღების ძირითადი მეთოდი – ესაა მათთვის შესაფერისი და სხვადასხვაგვარი გამოცდილების მიცემა, მათი კარიერის ხელსაყრელ პერიოდში და სწავლაში დახმარება; **5. სტანდარტული მომზადების შერწყმა ინდივიდუალურთან.** მისი არსი ისაა, რომ სტანდარტული მომზადებისას ყველა მენეჯერი გადის სწავლების ერთნაირ კურსს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სა-

სურველია, მაგრამ ყოველთვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მენეჯერთა სწავლებაში ინდივიდუალური მოთხოვნილებების გამოვლენასა და მათ დაკმაყოფილებას, კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე.

კომპეტენციებზე დამყარებული ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება იყენებს კომპეტენციების სტრუქტურებს ან პროფილებს პერსონალის განვითარებაში მოთხოვნილებათა გამოსავლენად, დამოუკიდებელი სწავლების პროგრამის შედგენაში დასახმარებლად ან ორგანიზაციის გარედან სწავლების შესაძლებლობათა უზრუნველსაყოფად. კომპეტენციაზე დამყარებული ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება შეიძლება შემოიფარგლოს საკვანძო ან საერთო კომპეტენციების შეზღუდული რაოდენობით, რომლებიც, ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება მისი მენეჯერების “შესაიარაღებლად“, რათა მათ წინ წასწიონ ორგანიზაცია, მისი სტრატეგიული გეგმების შესაბამისად. ასეთი კომპეტენციები შეიძლება იყოს: **ა) სტრატეგიული უნარი**, ანუ უნარი სწორად გესმოდეს ცვალებადი ბიზნესგარემო, პროდუქტ-ბაზრის განვითარებისათვის ხელსაყრელი შესაძლებლობანი, კონკურენტების პრეტენზიები, ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები და შეგუბლოს განსახდგრო ოპტიმალური სტრატეგიული რეაქციები; **ბ) ცვლილებების მართვის უნარი**, ანუ უნარი – გამოავლინო მოთხოვნილებები ცვლილებებზე, შეადგინო ცვლილებათა პროგრამები და დაარწმუნო სხვები ნებაყოფლობით მონაწილეობდნენ მათ შესრულებაში; **გ) გუნდის მართვის უნარი**, ანუ უნარი სხვადასხვა ჯგუფისა და პროფესიის ადამიანები მომართო წარმატებით იმუშაონ ერთად; **დ) ურთიერთდამოკიდებულებათა მართვის უნარი**, უნარი ეფექტურად ზემოქმედებდეს სხვებზე, მთავარი მიზნების მისაღწევად.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში მნიშ-

ვენელოვან როლს თამაშობს კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრები, რომელთა მიზანია დაეხმაროს კვალიფიკაციის ასამაღლებელ პირებს უკეთ გაიგონ, როგორ კომპეტენციას მოითხოვს მათი სამუშაო და შეადგინონ პირადი განვითარების საკუთარი გეგმები, მიმდინარე და მომავალი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და კარიერულ კიბეზე დაწინაურების მიზნით. კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრების მუშაობის ობიექტია კომპეტენციებისადმი მოთხოვნილებები, ანუ იმ კომპეტენციების განხილვა, რაც აუცილებელი იქნება მომავალში. ცენტრები თავისი მუშაობით სთავაზობს კვალიფიკაციის ამაღლების მონაწილეებს კეთილსასურველ შესაძლებლობას— გამოიკვლიონ და აღიქვან როგორი კომპეტენციები სჭირდებათ მათ ახლა და დასჭირდებათ მომავალში. რამდენადაც საქციელი განაპირობებს საქციელს, ცენტრმა მენეჯერს უნდა შესთავაზოს შესაძლებლობა— უჭურებდეს კომპეტენციებს პრაქტიკაში. ამიტომ, კომპეტენციათა სხვადასხვა სახეობის იმიტაცია ასეთი ცენტრების მნიშვნელოვანი თავისებურებაა. იგი არის კონკრეტული სიტუაციებისა და როლური თამაშების ანალიზის საფუძველზე ისეთნაირად შედგენილი კომბინაცია, რომელიც მაქსიმალურადაა მიახლოებული რეალობასთან.

კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრის მნიშვნელოვანი ფუნქციაა უკუკავშირისა და მეცადინეობის განხილვა-ანალიზი. იგი იძლევა სამომავლო რეკომენდაციებს და ახორციელებს დამრიგებლობას. ამას ატარებენ ხელმძღვანელი მუშაკები, რომელთა შემადგენლობაში შედიან რეპეტიტორები და ხაზობრივი მენეჯერები. მათ ამ მიზნით გავლილი აქვთ სპეციალური მომზადება.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლება დაკავშირებული უნდა იყოს არა მარტო ზოგადი მმართველობითი უნარ-ჩვევების ათვისებასა და სრულყოფასთან, არამედ

ლიდერული თვისებების განვითარებასთან, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს სასწავლო პროგრამებსა და პირადი განვითარების გეგმებში.

ორგანიზაციათა მმართველების მნიშვნელოვანი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ხშირად ისინი ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების უფლებამოსილების დელეგირებას ახდენენ სპეციალისტებზე, რომლის შემდეგ, სამწუხაროდ, ივიწყებენ ან იგნორირებას უკეთებენ მას. სინამდვილეში, ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხარისხით იქნება ადამიანები მისდამი ერთგულები მართვის ყველა დონეზე. უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ დაქვემდებარებულითა კვალიფიკაციის ამაღლება ნებისმიერი მენეჯერის მუშაობის ბუნებრივი და მნიშვნელოვანი ნაწილია. ისიც უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ კვალიფიკაციის ამაღლებაზე ინიციატივა უნდა წამოვიდეს მართვის ზედა რგოლიდან.

ორგანიზაციების ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ასეთი უყურადღებობა, ნაწილობრივ გამოწვეულია იმიტაც, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელის თვალსაზრისით, ორგანიზაციას არ სჭირდება განსაკუთრებულად იზრუნოს ამაზე, ვინაიდან პერსონალის შერჩევის ბუნებრივი პროცესი და კონკურენციის ზეწოლა მის გარეშეც იძლევა გარანტიას, რომ წინ წავლენ ყველაზე საუკეთესოები. ერთი შეხედვით, არსებულ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. მაგრამ, არასწორია დებულება იმის შესახებ, რომ ორგანიზაციებმა და მათმა უმაღლესმა ხელმძღვანელობამ არ უნდა იზრუნოს მათთან დასაქმებული სხვადასხვა დონის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რამდენადაც სწრაფად განვითარებადი წარმოება განუწყვეტლივ ახლახალ მოთხოვნებს უყენებს ხელმძღვანელებს, რაც, თავის

მხრივ, განაპირობებს ამ უკანასკნელთა კვალიფიკაციის ამადლებიანათვის მუდმივი ზრუნვის აუცილებლობას.

ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტთა მოსაზრებით, ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამადლებაში ორგანიზაციის ჭეშმარიტი როლი დგას ორ უკიდურესობათა შუალედში. ჯერ ერთი, სწრაფი ზრდისა და ცვლილებების პირობებში, საკმარისი არაა დაეყრდნო მხოლოდ შემთხვევითობას, ანუ ცდისა და შეცდომების მეთოდს. მეორე მხრივ, არ შეიძლება თავს მოახვიო ორგანიზაციას ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამადლების თუნდაც კარგად მომზადებული პროგრამები. როგორც პიტერ დრუკერი მიუთითებს, განვითარება – ეს ყოველთვის თვითგანვითარებაა. არაა იმაზე მეტი აბსურდული, ვიდრე თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ადამიანის განვითარებისათვის. პასუხისმგებლობა მომუშავეზეა, ყველაფერი დამოკიდებულია მის უნარზე, მის ძალასა და მონდომებაზე. რაც შეეხება ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, მათ შესაძლებლობა აქვთ წაახალისონ მომუშავეთა თვითგანვითარება ან შეაფერხონ იგი, აჩვენონ გზა მისკენ ან წაიყვანონ მცდარი გზით. მათი ვალდებულებაა განაწიონ მომუშავეები თვითსწავლებისა და წარმატებული საქმიანობისათვის..

ხელმძღვანელთათვის ყველაზე მთავარია ფლობდნენ ორგანიზატორულ უნარს. სწორედ ესაა, რაც უნდა განავითარონ მათ თავიანთ ჩვეულებრივ მოვალეობათა შესრულების პროცესში. ამასთან, ამას ისინი გააკეთებენ მნიშვნელოვნად უკეთესად, თუ ღებულობენ მხარდაჭერას, რეკომენდაციებსა და კეთილსასურველ შესაძლებლობებს თავისი ორგანიზაციისა და ზემდგომი ხელმძღვანელებისაგან. როგორც დ. მაკ გრეგორი წერდა, მენეჯერებად არ იბადებიან, მათ ზრდიან (2, გვ. 511). კომპანიის მოვალეობაა შექმნას ნორმალური პირობები სწრაფი ზრდისათვის. ეს პირობები

ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიაში შიგა გარემოსა და ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის, აგრეთვე, მართვის სტილისათვის, რომელსაც მისდევს კომპანიის უმაღლესი ხელმძღვანელი. სწორედ ისაა მთავარი პასუხისმგებელი ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამადლებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საჭიროა მენეჯერებმა თავიანთ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარი განვითარებისათვის. ორგანიზაციას შეუძლია დაეხმაროს, ხოლო ზემდგომმა ხელმძღვანელმა, განსაზღვრული ზომით, უნდა წაახადისოს მენეჯერთა თვითგანვითარება და, საჭირო შემთხვევაში, უხელმძღვანელოს მათ ამაში. ხელმძღვანელთა თვითგანვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე. წ. პირადი განვითარების გეგმების შედგენას. ხშირად ასეთ გეგმებს ადგენენ კვალიფიკაციის ამადლებას დაქვემდებარებული პირები. სასურველია, რომ ამ გეგმების შინაარსი ეყრდნობოდეს პასუხებს შემდეგ კითხვებზე: 1. როგორი დონის კომპეტენტურობის მიღწევა იგეგმება; 2. როგორია თქვენი სწავლების მიზანი, რომელ სფეროებში აიმაღლებთ მუშაობის მაჩვენებლებს და/ან რა არის ის ახალი, რის გაკეთებას შესძლებთ სწავლების შემდეგ; 3. როგორ აღწევთ მიზნებს, როგორ დავალებებს, პროექტებს, სავარჯიშოებს ასრულებთ, რას კითხულობთ, სწავლების ან კვალიფიკაციის როგორი კურსები გასურდათ გაგველოთ (განვითარების გეგმა საჭიროა დაიყოს განსაზღვრულ ეტაპებად, ხოლო ცალკეული სასწავლო დონისძიებები ჩამოითვალოს პუნქტების მიხედვით. თითოეული ეტაპისათვის სწავლების პროგრამის საერთო ხანგრძლივობა საჭიროა მიეთითოს სწავლების ფასთან ერთად, თუ სწავლა ფასიანია); 4. რომელი რესურსებია (მაგალითად, ელექტრონული სასწავლო მასალები, წიგნები, ვიდეოკასეტები, ინდივიდუალური “მოძღვარი“ და ა. შ.) თქვენთვის



აუცილებელი და სხვ.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტები. მოცემულ სფეროში მათი ძირითადი მოვალეობებია: ა) ახსნან ორგანიზაციის შესაძლებლობები ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში და მისცენ კონსულტაცია იმაზე, თუ რა როლის შესრულება შეუძლია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ორგანიზაციის მისიის რეალიზაციაში; ბ) შესთავაზონ ხელმძღვანელობას კვალიფიკაციის ამაღლებისადმი ფორმალური და არაფორმალური მიდგომები; გ) ხაზობრივ მენეჯერებთან ერთად დაამუშაონ ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საფუძვლად ასაღები კომპეტენციის სტრუქტურა; დ) მისცენ რეკომენდაციები მენეჯერებს იმაზე, თუ როგორ აიმაღლონ კვალიფიკაცია; ე) დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ მენეჯერებს პირადი განვითარების გეგმის მომზადებაში; ვ) მიაწოდონ მენეჯერებს სასწავლო მიზნებისათვის საჭირო მასალები; ზ) საჭიროების შემთხვევაში, იმუშაონ ცალკეული მენეჯერის ან ჯგუფის რეპეტიტორად ან კურატორად; თ) მმართველობითი განათლების გარე პროგრამების არჩევისას გასწიონ კონსულტაციები; ი) ხელი შეუწყონ აქტიური სწავლების წარმოებას და ა. შ.

ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი საბჭოთა პერიოდში, ისე როგორც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება, გეგმურ ხასიათს ატარებდა და ჰქონდა ყველა ის ნაკლი, რაც დამახასიათებელია ასეთი ეკონომიკისათვის. მაგალითად, არც ისე იშვიათად, ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას წმინდა ფორმალური ხასიათი ჰქონდა და შესაბამის კურსებზე ხელმძღვანელ პირს გზავნიდნენ არა ამ უკანასკნელის ცოდნის გარღმავების, არამედ მმართველობის ზედა

რგოლიდან დაშვებული დავალების (გეგმის) შესრულების აუცილებლობიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, საბჭოთა პერიოდში საქართველოში ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემა დადებით როლს ასრულებდა. ქვეყანაში მოქმედებდა ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების მრავალი ადგილობრივი, რეგიონული და რესპუბლიკური ცენტრი. ქვეყნის უმეტეს წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ფუნქციონირებდა ამ მიზნისათვის განკუთვნილი სპეციალური ფაკულტეტები და ა. შ. XX საუკუნის 80-ან წლებში, საქართველოს უმაღლესი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, შეიქმნა მმართველობითი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური ინსტიტუტი, რომელშიც მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, პროფესორები – ნუგზარ სანთელაძე, გიორგი პაპავა, ლეო ხაბურზანია და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციების მუშაობას გააჩნდა სოციალისტური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნაკლოვანება, ის, როგორც უკვე აღინიშნა, დადებით როლს თამაშობდა ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაში. XX საუკუნის 90-ანი წლებიდან დაწყებული, სოციალისტური ეკონომიკის მსხვერველამ გამოიწვია მმართველობითი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ქვეყანაში არსებული სისტემის მოშლა. იგულისხმებოდა, რომ, საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებით, მის ნაცვლად შეიქმნებოდა ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სრულიად ახალი სისტემა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა გეგმური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანებებისაგან. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. დღეს საქართველოში ხელმძღვანელი კადრების არავითარი, არც კარგი და არც ცუდი, სისტემა არ არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში, მას მხოლოდ

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ეპიზოდური ხასიათი აქვს, ე. წ. ტრენინგების სახით. ამის მიზეზებია: ბიზნესის განვითარების დაბალი დონე, ხელმძღვანელი კადრების პროფესიონალიზმის შეუფასებლობა და ა. შ. მათგან ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიცაა, რომ მოცემულ პრობლემაზე საქართველოში მეცნიერული კვლევები, რომლებშიაც ნათლად და არგუმენტირებულად იქნებოდა დასაბუთებული ხელმძღვანელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მნიშვნელობა და აუცილებლობა ორგანიზაციის მისიის შესრულებასა და ადამიანთა საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის და, შესაბამისად, დასახულები იქნებოდა ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების კონკრეტული გზები, თითქმის არ მიმდინარეობს.

ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებისადმი სათანადო ყურადღების დათმობა, რამდენადაც ორგანიზატორული უნარ-ჩვევებისა და სათანადო კომპეტენციით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელების გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობა. აუცილებელია სათანადო ყურადღება დაეთმოს ამ მნიშვნელოვანი პრობლემის მეცნიერულ კვლევას და შეიქმნას ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების მწყობრი და გამართული სისტემა, რომელიც დაემყარება სათანადო მეცნიერულ რეკომენდაციებსა და პრაქტიკის სადღეისო მოთხოვნილებებს.

---

---

**Coherent System for Improving Managers' Qualification –  
Prerequisite for Organizations to Operate Successfully**

**N. Paichadze**

The article discusses the issues related to improvement of managers' qualification such as its essence, objectives and importance on the current stage of economic development; the mechanism to develop effective system and methods for improving qualification; etc. Special attention is paid to the importance of discussing formal, informal and integrated approaches to qualification improvement issues.

The paper also discusses widespread experience of establishing qualification improvement centers and the way they function, as well as the role and importance of human resource development specialists in improving managers' qualification.

The concluding part of the paper presents a brief critical analysis of the current situation regarding improvement of managers' qualification in Georgia and suggests some of the author's ideas how the situation can be improved in this direction.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского. 8-е издание. М., 2012;
2. Армстронг М. Практика управления человеческими ресурсами. Перевод с английского М., 2007;
3. Десслер Г. Управление персоналом. М., 2003;
4. Ренделл Р., Фаей Л. Курс МВА по стратегическому менеджменту. М., 2004;
5. Литвинюк А. и др. Управление персоналом. М., 2012.

**დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფოებრივი  
რეგულირების უზრუნველყოფისათვის**

**მირიან ტულუში,**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,**  
**საქართველოს თეატრისა და კინოს**  
**სახელმწიფო უნივერსიტეტის**  
**ხელოვნების მენეჯმენტის**  
**მიმართულების სრული პროფესორი**

დასაქმება ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პროცესია, რომელიც მწვავე ფსიქოლოგიური, დემოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტებითაც ხასიათდება. ზრდასრული ადამიანებისათვის გასაგებია მოსახლეობის დასაქმების მნიშვნელობა, მაგრამ ყველასათვის ცნობილი არ არის, თუ რაოდენ რთული პრობლემაა სრული და ეფექტიანი დასაქმების მიღწევა და, რაც მთავარია, შენარჩუნება. სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ დასაქმება (მისი დონე) უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომლის მართვა-რეგულირება ცივილიზებული სამყაროს უმთავრესი ამოცანაა, რადგან სწორედ მასში ფოკუსირდება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული მიღწევებიც და წარუმატებლობით განპირობებული უარყოფითი შედეგები. დასაქმება ადამიანების საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან, რომელსაც, როგორც წესი, მოაქვს შემოსავალი, რაც მოსახლეობის არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა.

ცნობილია, რომ დასაქმების დონის მიხედვით ქვეყნები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. როგორც

წესი, დასაქმების მაღალი და უმუშევრობის დაბალი დონეა დამახასიათებელი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და განვითარებული ქვეყნებისათვის, დასაქმების შედარებით დაბალი და უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლები აქვთ განვითარებად და ე.წ. „გარდამავალი ეკონომიკის“ ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც. მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2011 წელს უმუშევრობის 5%-ზე დაბალი მაჩვენებელი ჰქონდა ნორვეგიას, ნიდერლანდებს, იაპონიას, ავსტრალიას; 5-დან 10%-მდე – გერმანიას, კანადას, შვედეთს, დიდ ბრიტანეთს, იტალიას, აშშ-ს, საფრანგეთსა და თურქეთს; 10-დან 15%-მდე – ესტონეთს, პორტუგალიას, ხორვატიასა და სლოვაკეთს; 15%-ზე ოდნავ მაღალი (15,1-15,2%) საქართველოს, ლატვიასა და ლიტვას; 17-19% - საბერძნეთსა და მონტენეგროს; 22-25% - ესპანეთსა და სამხრეთ აფრიკას; 27-32% - ბოსნია-ჰერცეგოვინასა და მაკედონიას [4, გვ.6]. ბოლო წლების საერთაშორისო პრაქტიკამ დაადასტურა, რომ დასაქმებისა და უმუშევრობის სფეროში არცთუ იშვიათია გამონაკლისებიც. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებში ამჟამად 26 მლნ-ზე მეტ ადამიანს არა აქვს სამუშაო. საბერძნეთში უმუშევრობის დონემ რეკორდულ ზღვარს მიაღწია (57,6%), ამ მაჩვენებელმა 30%-ს გადააჭარბა ესპანეთში (ზოგიერთი მონაცემებით იგი დიდად უფრო მაღალიც არის), ამ მხრივ კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა იტალიაში და ა.შ, რასაც მოსახლეობის მწვავე გამოსვლები მოჰყვა. რამდენადმე ამაღლების მიუხედავად უმუშევრობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს გერმანიას (8,1%), ნიდერლანდებს (9,1%) [8], რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ დასაქმების მაღალი და უმუშევრობის დაბალი დონის შენარჩუნება მეტად რთული ამოცანაა.

თუ საქართველოს დასაქმების სფეროში არსებულ მდგომარეობას დინამიკაში განვიხილავთ (იხ. ცხრილი), დავინა-

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ხავთ, რომ 2000-2011 წწ, მოსახლეობის რიცხვის ზრდის მიუხედავად, საგრძნობლად შემცირდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვი (2050,8 ათასიდან 1 959,3) ათასამდე, ანუ 91,5 ათასი კაცით, ასევე შემცირდა დასაქმებულთა საერთო რაოდენობა - 1 837,2 ათასიდან 1 664,2 ათასამდე, ანუ 173,0 ათასი კაცით, მათ შორის დაქირავებულთა რაოდენობა - 683,9 ათასიდან 634,1 ათასამდე, ანუ 49,8 ათასი კაცით. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც შემცირდა თვითდასაქმებულთა რიცხვიც. ამავე პერიოდში 212,0 ათასი კაციდან (რაც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიმართ 10,3%-ს შეადგენს) 295,1 ათას კაცამდე (15,1%-მდე) გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა.

ზემოაღნიშნული ინფორმაციისა და შრომის დარგის ექსპერტთა მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება გავაკეთოთ რამდენიმე დასკვნა:

**პირველი**, საქართველოში, დასაქმებისა და უმუშევრობის სფეროში უკანასკნელ ათწლეულში ჩამოყალიბებული ტენდენციები, ერთმნიშვნელოვნად, უარყოფით შეფასებას იმსახურებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის აქტიური მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, ექსპერტთა შეფასებით, დაახლოებით 1,0-1,3 მლნ ადამიანი, მიგრაციის შედეგად გასულია ქვეყნიდან, საქართველოში მაინც ვერ მოხერხდა ადგილზე მყოფი შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ვერც სრული დასაქმება და ვერც უმუშევრობის მისაღებ ზღვრამდე (მაგალითად, 8-10%-ის ფარგლებში) შემცირება, რაც პირველ რიგში, ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარების დაბალ დონეზე მიუთითებს.

დასაქმებისა და უმუშევრობის ზემოაღნიშნული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, **ერთი მხრივ**, სრულიად უპასუხისმგებლოა და მეორე მხრივ, დიმილის მომგერელია ყოფილი ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკების განცხადებები იმის შესახებ, თითქოს, ახალმა მთავრობამ (სულ რამდენიმე

საქართველოს მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლები 1998-2011 წლებში  
(ათასი კაცი) [4, გვ. 6]

## მიზან გუჯუმი

	1998 წ.	2000 წ.	2005 წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	1972,8	2049,2	2023,9	1991,8	1944,9	1959,3
დასაქმებულის ს უ ლ	1728,5	1837,2	1744,6	1656,1	1628,1	1664,2
აქდან: დაქირავებული	724,4	683,9	600,5	596,0	618,6	634,1
თვითდასაქმებული	987,1	1041,2	1143,3	1059,0	1007,1	1030,1
უმუშევარი	244,2	212,0	279,3	335,6	316,9	295,1
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეშ	1044,0	1092,3	1136,1	1139,3	1083,3	970,9
უმუშევრობის დონე, %	12,4	10,3	13,8	16,9	16,3	15,1
აქტიურობის დონე %	65,4	65,2	64,0	63,6	64,2	65,2
დასაქმების დონე %	57,3	58,5	55,2	52,9	53,8	55,4



## **===== აკონომიკური თეორია და აკონომიკური პოლიტიკა**

თვის განმავლობაში) ვერ შეძლო უმუშევრობის დონის შემცირება. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ ინერციულობა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა და ამ მხრივ მკვეთრ შემობრუნებას მოკლე პერიოდში არ უნდა ველოდოთ; **მეორე**, უმუშევრობის დონის მხრივ, მსოფლიოში ამჟამად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ოფიციალურად დაფიქსირებული უმუშევრობის დონე, არც ისე მაღალია. თუმცა, ექსპერტთა დიდი ნაწილი, მათ შორის ჩვენც, ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ ოფიციალურად დაფიქსირებული უმუშევრობის მაჩვენებელი ვერ ასახავს ქვეყანაში ამ მხრივ რეალურად არსებულ ვითარებას. ექსპერტების გათვლებით (რასაც ჩვენც ვეთანხმებით) საქართველოში უმუშევრობის მაჩვენებელი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 40-45%-ზე თუ მეტი არა, ნაკლები არ უნდა იყოს, რაც საგანგაშო მაჩვენებელია.

მოკლედ იმის შესახებ, საქართველოში უმუშევრობის ოფიციალური მაჩვენებელი თუ რატომ არ არის ძალიან მაღალი. ჯერ ერთი, უნდა აღვნიშნოთ, დასაქმებულთა და უმუშევართა მაჩვენებლის გაანგარიშების მეთოდოლოგიური ხარვეზის შესახებ. საქსტატის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით, **„დასაქმებულად** (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) ითვლება – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შემოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ”[5]. გამოდის, რომ პირს, რომელსაც აქვს ანაზღაურებადი სამუშაო

თვეში 4 საათის განმავლობაში, მაგალითად, საათში 5 ლარი, ანუ სულ 20 (4 X 5) ლარი, დასაქმებულად ითვლება, რაც მიუღებელია იმის მიუხედავად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ასეთ მიდგომას იყენებს თუ არა. ზრდასრულ ადამიანებს კარგად ახსოვთ, რომ საქართველოში, ათეული წლის წინათ, თვეში 20 ლარს უმუშევარი იღებდა შემწეობის სახით. თუ დასაქმებული უმუშევრის შემწეობაზე მეტს ვერ მიიღებს, მაშინ იბადება კითხვა: აზრი აქვს ასეთ დასაქმებას?, ან, თუ ქვეყანაში ერთი ადამიანის (შრომისუნარიანი მამაკაცის) ოფიციალურად გაცხადებული საარსებო მინიმუმი თვეში 150 ლარს შეადგენს (რაც, ჩვენი აზრით, ერთნახევარჯერ მეტი მაინც უნდა იყოს), თვეში 20 ლარიანი ხელფასი იქნება მოსახლეობის სოციალურად დაცვის გარანტი?.

გარდა ამისა, ზემოაღნიშნული განმარტების მიხედვით, დასაქმებულად ითვლება ის პირებიც, რომლებიც „ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს“, აგრეთვე სოფლად მცხოვრები ის მოსახლეობა, რომელთაც აქვთ მიწის ნაკვეთი, მიუხედავად იმისა, აქვს მისი დამუშავების შესაძლებლობა თუ არა. ამიტომაც არის, რომ 2011 წელს (და სხვა წლებშიც) საქართველოს რიგ რეგიონებში უმუშევრობის დონე (კახეთში და შიდა ქართლში -8,9%, ქვემო ქართლში-9,4, იმერეთში 9,3, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში 7,1%) დაბალი იყო [6]. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის გაუგებარია საქსტატმა რა ნიშნის საფუძველზე გააერთიანა სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და მცხეთა-მთიანეთის მონაცემები, რაც წლების განმავლობაში ცალ-ცალკე იანგარიშებოდა. მაგალითად, გურიაში, უმუშევრობის დონე ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 3,8 %-ს არ აჭარბებდა (რაც ყოველგვარ რეალობას მოკლებულია), ზემოწამოთვლილ სხვა რეგიონებში კი იგი ბევრად უფრო მაღალი იყო. არ გვსურს დავაკნინოთ სოფლად მცხოვრებთათვის მიწის ფართობების გადაცემის მნიშვნელობა, მაგრამ,

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

ამასთან ერთად, ყოფილ ხელისუფლებას უნდა ეზრუნა მათი რეალური დასაქმების პირობების შესაქმნელად. მისასაღმებელია, რომ ახალმა ხელისუფლებამ კარგად გააცნობიერა სოფლად დასაქმების დონის ამადლების მნიშვნელობა, გაანალიზა ამ მხრივ არსებული შესაძლებლობები და, ჩვენი აზრით, დასახა რეალური დონისძიებები, რომელთაგან მნიშვნელოვანია: იაფი კრედიტის მიღების შესაძლებლობა, ხენა-თესვის სამუშაოების დაფინანსება, ფერმერული ორგანიზაციების ფორმირებასა და კადრების მომზადება-კვალიფიკაციის ამადლებაში ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით კონსალტინგური მომსახურების გაწევა და ა.შ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტრადიციულად ძალზე მაღალია უმუშევრობის დონე ქალაქებში, განსაკუთრებით კი თბილისში. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2011 წელს იგი 29,3% იყო. თუმცა, ექსპერტთა გაანგარიშებით იგი ბევრად უფრო მაღალია - 46,9% [11]. თბილისში უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი წინა წლებში დედაქალაქის მოსახლეობის სტიქიური მიგრაციის შედეგად ზრდისა და ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში არსებული სერიოზული პრობლემების შედეგია. ამჟამად, თბილისის მოსახლეობა დაახლოებით 1173 ათას კაცს შეადგენს, რაც დიდად ნაკლებია მოსახლეობის იმ რაოდენობაზე (1480 ათასი კაცი), რომლის მიხედვითაც წლების განმავლობაში ხორციელდებოდა ქალაქის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმა. თბილისის მოსახლეობის მიგრაციის შემცირების ხარჯზე კლება დადებითად უნდა შეფასდეს, მაგრამ ცუდია, რომ ეს, ძირითადად, გარე მიგრაციის ინტენსივობის ზრდის და არა ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგია.

**მესამე,** როგორც უკვე აღინიშნა, აღიარებულია, რომ დასაქმება (განსაკუთრებით კი დაქირავებით დასაქმება), მოსა-

ხლეობის სოციალური დაცვის გარანტიაა. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საქართველოში დასაქმებულთა შორის დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი და წილი. საქსტატის მონაცემებით, 2000 წელს, საქართველოში დაქირავებით დასაქმებულები შეადგენდა 683,9 ათას კაცს (დასაქმებულთა 37,2%), 2011 წელს კი 634,1 ათასს (38,1%). მიუხედავად იმისა, რომ 2000-2011 წწ დაქირავებით დასაქმებულთა რიცხვი შემცირდა (რაც, რა თქმა უნდა, ცუდი მაჩვენებელია), მისი წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში რამდენადმე გაიზარდა, რაც დასაქმებულთა რიცხვის შემცირების შედეგია, რაც ასევე ნეგატიური მოვლენაა.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოში, უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეულში, დასაქმებასა და უმუშევრობას სახელმწიფო თითქმის არ არეგულირებდა, არ არსებობდა დასაქმების დასაბუთებული სახელმწიფო პოლიტიკა, არ მუშავდებოდა და რეალიზდებოდა დასაქმების მიზნობრივი პროგრამები, თუმცა, პირ-კამპანიის სახით, ამის ფორმალური მცდელობა მრავალჯერ იყო. მაგალითად, 2006 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „სამუშაო ადგილებზე პროფესიული მომზადების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც ბიუჯეტიდან გამოიყო 24 მლნ ლარი იმ მიზნით, რომ სამი თვის მანძილზე 52 000 ბენეფიციარს გადაუხდიდნენ 150-ლარიან სტიპენდიას, თუ ისინი კერძო სექტორში ნებისმიერ თანამდებობაზე გაივლიდნენ სტაჟირებას. ჩვენი აზრით, მაშინ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით სწორი შეფასება გააკეთა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“- „სამწუხაროდ, აღნიშნული პროცესის მონიტორინგი არცერთ მხარეს (არც მეწარმეებს და არც მთავრობას) არ განუხორციელებია. თავიდანვე გაირკვა, რომ პროგრამა ვერ შესრულდებოდა, რადგან ბევრი მეწარმე სუბიექტი მასში მონაწილე

## **საქონლიანი თაობისა და საქონლიანი პოლიტიკა**

პირებს ყოველგვარი ვალდებულებისაგან ათავისუფლებდა, სამსახურში სიარულს არ სთხოვდა და არც მუშაობისათვის საჭირო პირობებს უქმნიდა, თუმცა, მათ ესმარებოდა სტიპენდიის დაუბრკოლებლად მიღებაში. პროგრამის დასრულების შემდეგ მათთვის სამუშაო ადგილი არ შეუთავაზებიათ. ზოგიერთმა კომპანიამ, ხელისუფლების დავალებით, სტაჟიორების მცირე ნაწილი სამსახურში მიიღო, თუმცა შემდეგ მათი ბედით არავინ დაინტერესებულა”[9].

2006-2007 წლებში თბილისის მუნიციპალიტეტმა განახორციელა ახალგაზრდების დასაქმების პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა 5 000-მა სტუდენტმა მიიღო. სტუდენტებისათვის გათვლისწინებული იყო სხვადასხვა პროფილის სამუშაო. თუმცა, არც აღნიშნული პროგრამის შედეგი იმსახურებს დადებით შეფასებას, რადგან მისი რეალიზაციის შედეგად ახალგაზრდებში არც უმუშევართა რიცხვის შემცირებულა და არც მათი კვალიფიკაცია ამაღლებულა.

უმუშევართა დასაქმების ერთერთი პროგრამა 2007 წლის ნოემბრის პოლიტიკური დაძაბულობის მოვლენებს ემთხვევა. პროგრამის მიზანი იყო მუშახელის პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო მხარდაჭერა. იგი დიდად არ განსხვავდებოდა 2006 წლის პროგრამისგან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ეს პროგრამა ბენეფიციარების უფრო დიდი რაოდენობას ითვალისწინებდა – 25-დან 60 წლამდე ასაკის 100 000 ადამიანს. უფრო მაღალი იყო სტიპენდიაც – 200 ლარი. საინტერესოა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მთავრობის ანგარიშში მოცემული შეფასებები: „პროფესიული მომზადების მაძიებელთა რეგისტრაციის მიზნით გაიხსნა 10 ცენტრი, რეგისტრაცია განხორციელდა 5-6 დეკემბერს, ხოლო პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული სტიპენდიის გაცემა დაიწყო 15 დეკემბრიდან. 2007 წლის 23 დეკემ-

## **მირიან ტულუში**

---

ბრის მონაცემებით ბაზაში შეყვანილ იქნა 113 879 მოქალაქის მონაცემი, ხოლო 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პროგრამის ბიუჯეტიდან 109 000 მაძიებელს ავანსის სახით გადაერიცხა 21 800 000 ლარი“ [3, გვ.183].

ასეთი მნიშვნელოვანი პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული ინფორმაცია ერთობ მწირია. საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე მთავრობის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში ამასთან ერთად, განმარტებული უნდა ყოფილიყო ფაქტობრივად რამდენი კაცი მომზადდა და რა ბედი ეწია მათ. ამგვარი ინფორმაციის არარსებობამ, აგრეთვე იმან, რომ პროგრამაში მონაწილეობის მსურველების რეგისტრაციისათვის მხოლოდ პირადობის მოწმობის წარდგენა იყო საჭირო, გააძლიერა ეჭვი, რომ აღნიშნული ღონისძიება საქართველოს 2008 წლის დასაწყისში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატისათვის მხარდაჭერაზე იყო გათვლილი.

საინტერესოა 2006-2008 წლებში დასაქმების პროგრამებში მონაწილე მეწარმეების მიერ დასაქმებულთა რაოდენობის განსაზღვრის მიზნით საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები. დადგინდა, რომ მონიტორინგის პერიოდისათვის დასაქმებული იყო პროგრამებში მონაწილეთა მხოლოდ 10%, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საქართველოში მაღალი უმუშევრობის არსებობა საფუძველს მოკლებული არ არის, რაც აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ყველა ასპექტის ღრმად გააზრებასა და მათ დასარეგულირებლად ქმედითი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ საქართველოში განხორციელებული დასაქმების პროგრამებადწოდებული ღონისძიებები კლასიკური ფორმით პროგრამებს არ წარმოად-

გენდა, რადგან მათში გაწერილი არ ყოფილა შეფასების კრიტერიუმები (მაგალითად, რომელი პროფესიის რამდენი ადამიანი მომზადდებოდა ან კვალიფიკაციას აიმაღლებდა, კვალიფიკაციამაღლებული პირები სად დასაქმდებოდნენ, განსახორციელებელი ღონისძიებების პასუხისმგებელი შემსრულებლები, ვადები და ა.შ.), რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდებოდა პროგრამების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, მართლაც რომ დიმილის მომგვრელია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის მიერ ახლახან გაკეთებული განცხადება: “ჩვენი მუშაობის მთავარი საგანი დასაქმება იქნება. უახლოეს დღეებში ჩვენ გამოვაქვეყნებთ კონცეფციას დასაქმების შესახებ და გვინდა, ეს კონცეფცია საქართველოს მთავრობასთან ერთად განხორციელდეს»[10]. კარგია, თუ დასაქმება, ყოფილი ხელისუფლებისათვის მომავალში მაინც იქნება მთავარი პრიორიტეტი.

დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირება, სხვა ღონისძიებებთან ერთად, საკანონმდებლო ბაზისა და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას საჭიროებს. საქართველოში 1991-2005 წლებში დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის საკანონმდებლო ბაზას წარმოადგენდა 1991 წელს მიღებული და 2001 წელს დაზუსტებული კანონი „დასაქმების შესახებ“ და საბჭოთადროინდელი შრომის კოდექსი, რომელიც რამდენიმე ცვლილების მიუხედავად, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. მართალია, დასაქმების მარეგულირებელი კანონმდებლობა არსებით სრულყოფას საჭიროებდა, მაგრამ სრულყოფის ნაცვლად, 2006 წლის მაისში მიღებულ იქნა შრომის ახალი კოდექსი, „დასაქმების შესახებ“ კანონი კი ძალადაკარგულად გამოცხადდა. ამასთან ერთად, გაუქმდა ყველა კანონქვემდებარე აქტი, რომელიც არეგულირებდა უმუშევართა პროფესიულ მომზადება-

გადამზადებას, საზოგადოებრივ სამუშაოებს, სამუშაო ადგილების სუბსიდირებას, უმუშევრისათვის შემწეობის დანიშნისა და გაცემის წესებს და ა.შ. შესაბამისად, დღეისათვის საქართველოში დასაქმების სახელმწიფო რეგულირებისათვის საკანონმდებლო ბაზა შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს. არ გვაქვს „დასაქმების შესახებ“ კანონი (რომელსაც თითქმის ყველა ქვეყანა იყენებს), გვაქვს „შრომის კოდექსი“, მაგრამ იგი დაუბალანსებელი და ზოგადია. არადა, ამ დოკუმენტის მიღების პროცესში გამოთქმული კრიტიკა (მათ შორის ჩვენ მიერ გამოთქმულიც, რომელიც მაშინ, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მიერ აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნაშიც კი აისახა) საქართველოს პარლამენტის უმრავლესობამ არ გაითვალისწინა და 2006 წელს „შრომის კოდექსი“ ამ სახით მიიღო. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის გენერალური მდივნის ბატონ გაი რაიდერის მოკლე შეფასება: „ჩემი ოცწლიანი გამოცდილების გადასახედიდან გამიჭირდება უფრო ცუდი და დაუბალანსებელი „შრომის კოდექსის“ გახსენება, ვიდრე თქვენია. იგი ეწინააღმდეგება იმ საერთაშორისო პრინციპებს, რომლებზეც საქართველოს მთავრობას ხელი აქვს მოწერილი. თქვენი კოდექსი დასაქმებულთა ინტერესების უპულელებელყოფის ნიმუშს წარმოადგენს“ [12].

დღეს, როცა ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ სრულიად სამართლიანად გადაწყვიტა „შრომის კოდექსის“ სრულყოფა, გამოჩნდნენ ადამიანები (ხელისუფლების საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიცია), რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ დააკნინონ ამ კანონპროექტის მნიშვნელობა, თითქოსდა დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობის დაბალანსება (დამსაქმებელი დასაბუთების გარეშე ვეღარ შეიძლება დასაქმებულის სამუშაოდან დათხოვნას, გაიზრდე-



ბა ზეგანაკვეთური სამუშაოების ანაზღაურება, გაძლიერდება სოციალური პარტნიორობა და ა.შ.) შეაფერხებს დასაქმებულთა რიცხვის მატებას და უმუშევრობა კიდევ უფრო გაიზრდება და ა.შ. სინამდვილეში ეს ასე არაა. **ჯერ ერთი**, დღეს მოქმედი და დამსაქმებელზე მორგებული „შრომის კოდექსი“, თუ როგორ ასტიმულირებდა დასაქმების დონის ამაღლებას, ოფიციალური სტატისტიკიდან კარგად ჩანს (კოდექსის მიღებიდან დღემდე შემცირდა როგორც ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, ასევე დასაქმებულთა რიცხვი); **მეორე**, ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ დასაქმებული - ადამიანია და მას აქვს უფლებები (პირველ რიგში, შრომისა და დასვენების, ნორმალური გასამრჯელოს მიღების უფლება), რასაც უნდა იცავდეს კანონი და არა დამსაქმებლის კეთილი ბუნება და ხასიათი; **მესამე**, თუ საქართველოს მიზანი ნატოსა და ევროსტრუქტურებში ინტეგრაციაა, შეიძლება მისი რეალიზება ბატონყმურ ურთიერთობებზე დამყარებული კანონებით?.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მისასაღმებელია, რომ საქართველოს ხელისუფლება ინტენსიურად მუშაობს „შრომის კოდექსის“ ახალ პროექტზე, რომელშიც, როგორც ჩანს, არსებითი ხასიათის ცვლილებები იქნება შეტანილი.

წლების განმავლობაში დასაქმების სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციულ სისტემა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა: 1991 წლიდან 2000 წლამდე საქართველოში შრომისა და დასაქმების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებდა შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2000 წლიდან აღნიშნული სამინისტრო შეუერთდა ჯანდაცვის სამინისტროს და 2000-2005 წლებში შრომის საკითხებისადმი ყურადღება მკვეთრად შესუსტდა, რაც განაპირობა იმან, რომ შრომის სამინისტრომ დაკარგა სტრუქტურული დამოუკიდებლობა და ახალი

სამინისტროს შემადგენლობაში შევიდა დეპარტამენტის სტატუსით, გარდა ამისა, ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ინიშნებოდა ექიმები, რომლებსაც გაუჭირდათ ამ სფეროს უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება. ამის გამო დაიწყო ამ დეპარტამენტის ფუნქციებისა და მომუშავეთა რაოდენობის შეკვეცა და 2005 წლის დეკემბერში შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი საერთოდ გაუქმდა. ამჟამად, სამინისტროს დებულებაში აღარ არის შრომის სფეროსთან დაკავშირებული არც ერთი ფუნქცია და ტერმინი „შრომა“ მხოლოდ სამინისტროს სახელწოდებაში ფიგურირებს.

1991 წლიდან 2006 წლის ივლისამდე, საქართველოში ფუნქციონირებდა **დასაქმების სახელმწიფო სამსახური**, რომელსაც სახელწოდება (შრომის ბირჟა, დასაქმების დეპარტამენტი, დასაქმების სახელმწიფო ფონდი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური) ხშირად ეცვლებოდა, მაგრამ მისი დანიშნულება არსებითად ერთი და იგივე იყო - სამუშაოს მაძიებლების აღრიცხვა, დასაქმების მიზნით საშუაშაველო მომსახურება, უმუშევართა პროფესიული მომზადება-გადამზადება, უმუშევართა დროებითი დასაქმებისათვის საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზება, უმუშევრებისათვის შემწეობის დანიშვნა და ა. შ. აღნიშნული სამსახურის საქმიანობა უნაკლო არ იყო, მაგრამ მთლიანობაში იგი ასრულებდა მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. სახელმწიფო მხარდაჭერისა და განვითარების ნაცვლად, დასაქმების სამსახურმა 2005 წლის ბოლოს, როცა იგი გადაკეთდა „დასაქმებისა და სოციალური დახმარების სააგენტოდ“, რეალურად შეწყვიტა არსებობა, ხოლო 2006 წლის ივლისში იურიდიულადაც გაუქმდა (მის ბაზაზე შეიქმნა „სოციალური სუბსიდიების სახელმწიფო სააგენტო“). ამჟამად საქართველოში არ არსებობს რაიმე სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც სამუშაოს მაძიებლებს შესთავაზებდა

## **ჯანმრთელობის თემატიკა და ჯანმრთელობის პოლიტიკა**

უფასო საშუალებლო სერვისს. სასიამოვნო გამონაკლისია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების ცენტრის (JCRC) საქმიანობა ქ. თბილისსა და ქ. ბათუმში, რომელიც ფინანსდება ჩეხეთის მთავრობის მიერ (დეტალური ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე [www.jcrc.ge](http://www.jcrc.ge)). მაგრამ, ერთი პატარა ცენტრი, თანაც უცხოეთის დროებით დაფინანსებაზე მყოფი, რა თქმა უნდა, არ არის საკმარისი დასაქმების სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობის შესაცვლელად. სამწუხაროდ, ქვეყანაში სათანადოდ ვერ განვითარდა დასაქმებისა და უმუშევრობის რეგულირების ხელშემწყობი კერძო სამსახურები, რომლებიც ამ მხრივ არსებულ მძიმე მდგომარეობას გარკვეულწილად შეამსუბუქებდა.

საქართველოში დასაქმებისა და უმუშევრობის მართვა-რეგულირების მიზნით საჭიროა:

- ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვის გადიდება დაქირავებულთა დანქარებული ტემპით ზრდისა და თვითდასაქმებულთა თანდათანობითი შემცირების პირობებში, რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს სხვადასხვა (როგორც საგარეო, ასევე საშინაო) წყაროებიდან ინვესტიციების ფართოდ მოზიდვის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ადამიანური რესურსების ხარისხობრივი შემადგენლობის მკვეთრად ამაღლების გზით;

- ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი პოლიტიკის, კონცეფციისა და ამის საფუძველზე დასაქმების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია. პირველ რიგში კი საშუალო და მცირე ბიზნესის ექსტენსიური განვითარებისა და ამ სფეროში დასაქმების მიზნობრივი პროგრამის რეალიზაცია;

- ახალი „შრომის კოდექსის“ დროულად მიღება;

- „დასაქმების შესახებ“ ახალი კანონის მიღება. კატეგორიულად მიუღებლად მიგვაჩნია მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს საქართველოში „შრომის კოდექსის“

მიღების შემდეგ „დასაქმების შესახებ“ სპეციალური კანონი საჭირო აღარ არის. შრომის დარგის სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ „შრომის კოდექსით“ „დასაქმების შესახებ“ კანონის ჩანაცვლება მართებული არ არის, რასაც საერთაშორისო გამოცდილებაც ადასტურებს. იგი მოქმედებაშია არამხოლოდ განვითარებად, არამედ ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც დასაქმება და უმუშევრობა მწვავე პრობლემა არაა;

- ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების დასარეგულირებლად აუცილებელია შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურის შექმნა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების გაერთიანებამ ვერ გაამართლა, რადგან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემას საკუთარი პრობლემები ძალზე ბევრი აქვს და მის ხელმძღვანელობას ძალიან უჭირს შრომისა და სოციალური დაცვის სფეროს მართვა. ამიტომ, მართებულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გამოიყოს ცალკე სამთავრობო სტრუქტურის სახით. ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში (მათ შორის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი), საქართველოშიც აუცილებელია შეიქმნას (აღდგეს) **„შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“**, მას კი შეუერთდეს ამჟამად არსებული „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო“ და გაერთიანების შემდეგ შეიქმნას „საქართველოს შრომის, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და მიგრაციის სამინისტრო“. სამინისტროს დასახელებაში სიტყვა - „მიგრაციის“ დამატება, პირველ რიგში, იძულებითი მიგრანტების (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, ეკომიგრანტების, სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილთა) პრობლემების ეფექტიანად მართვისთვისაა გამიზნული, ამასთან, შიგა და გარე მიგრაციის

## **ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

სხვა საკითხებიც არ იქნება მივიწყებული. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ახალი სამინისტროს შექმნის იდეა უმაღლეს ადმინისტრაციულ-მმართველობითი ხარჯების ზრდასთან ასოცირდება, მაგრამ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული სამთავრობო სტრუქტურის შექმნა, მართლაც შეიძლება რაიმე მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯების გარეშე (მოხდება ამჟამად არსებული და ფუნქციურად მომიჯნავე სამინისტროების რეორგანიზაცი-გაერთიანება), დასაქმებისა და უმუშევრობის, აგრეთვე, მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში კი შედეგები ბევრად უკეთესი იქნება.

### **Regarding Ensuring Effective State Employment Mechanism**

**M. Tughushi**

The article analyses current employment and unemployment rates in Georgia and the causes for this undesired situation. It is noted that in 2000-2011 the number of economically active and employed people significantly reduced. The number of self-employed people also decreased though not very sharply. Unemployment increased. It's noted that employment tendencies developed in Georgia in recent years can be evaluated negatively. The author considers that the information regarding the unemployment rate in Georgia provided by the National Statistics Office of Georgia is not realistic and based on the experts' views he supposes that the unemployment is 2.5 – 3 times more than the official statistics say. The article briefly provides the author's views regarding the directions of regulating employment and unemployment in Georgia.

---

---

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს შრომის კოდექსი, 25 მაისი 2006, №3132;
2. საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილების პროექტი, 2013;
3. საქართველოს მთავრობის ანგარიში საქართველოს 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, თბ., 2008;
4. geostat.ge, დასაქმება და უმუშევრობა (წლიური ნაშრომი), 2011;
5. geostat.ge, სამუშაო ძალის სტატისტიკა (ძირითადი ცნებები და განმარტებები);
6. geostat.ge, 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის უმუშევრობა რეგიონალურ ჭრილში 2006-2011 წწ;
7. geostat.ge, დასაქმება და უმუშევრობა;
8. <http://news.ge/ge/news/story/42071>), 8 იანვარი, 2013 წელი;
9. [http://www.transparency.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=210&info\\_id=344](http://www.transparency.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=210&info_id=344);
10. <http://www.interpressnews.ge>, 15 მარტი, 2013;
11. ლ. ვაშაკიძე, უმუშევრობის მდგომარეობა საქართველოში, 2009 წელი (საქართველოს უნივერსიტეტის ფონდი);
12. გაზეთი „ბანკები და ფინანსები“, №130, 12 ივლისი, 2006 წელი.

**გლობალიზაციის ტენდენციები  
თანამედროვე მსოფლიოში**

**ნატო ჩაღუნელი**

**ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის  
დოქტორანტი**

გლობალიზაციის კონცეფცია გულისხმობს როგორც ეროვნულ საზღვრებს გარეთ საქონლისა და რესურსების მზარდი ნაკადების მოძრაობას, ასევე ურთიერთშემავსებელი ორგანიზაციული სტრუქტურების ჯგუფის ჩამოყალიბებას საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობისა და ტრანზაქციების ფართო ქსელის სამართავად. სხვანაირად რომ ვთქვათ, გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ფირმები და ფინანსური ინსტიტუტები ფუნქციონირებს ტრანსნაციონალურად, ე.ი. ეროვნულ საზღვრებს გარეთ. ასეთ იდეალურ სამყაროში ეროვნული სახელმწიფო აღარაა განსაკუთრებული ეკონომიკური სუბიექტი საკუთარი მიზნების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების ავტონომიური ძალაუფლებით. პასუხისმგებლობაც ადეკვატურად გლობალური იქნებოდა ღია საბაზრო სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების – საკუთრების უფლების დაცვისა და სტაბილური მონეტარული სისტემის არსებობაზე, საერთო ეკონომიკური მდგომარეობა კი – დამოკიდებული გლობალური ბაზრის სტიმულებზე ფირმების რეაგირებასა და გლობალური რეგულაციების ეფექტიანობაზე.

თუმცა, მსოფლიო ეკონომიკა შორსაა ასეთი ზესახელმწიფოებრივი პირადიგმისაგან. „**არსებული სიტუაციის უფრო შესატყვისი აღწერაა გლობალური ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, სადაც ბაზრებსა და, აგრეთვე, საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას შორის ზღვარგადამკვეთი კავ-**

**შირები ახლა იმდენად ძლიერია, რომ ნებისმიერ ქვეყანაში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის საზღვრებსგარეთ არსებული პოლიტიკა და განვითარებული მოვლენები” [1, გვ.70].** მიუხედავად ამისა, ქვეყნის რესურსულ შესაძლებლობებს, ინსტიტუციურ რეგულირებასა და პოლიტიკურ არჩევანს დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ეკონომიკური მდგომარეობისათვის, რაც, აგრეთვე, განსაზღვრავს ამ მდგომარეობაზე საერთაშორისო ძალების გავლენის ფორმას.

გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციების გასაანალიზებლად პირველი ნაბიჯია გლობალიზაციის ინტენსივობის გაზომვა. თანამედროვე პერიოდში გლობალიზაციის გაზომვა ცენტრალური საკითხი გახდა აკადემურ, ბიზნესმენთა, მედიისა თუ პოლიტიკურ წრეებში. შვეიცარიელი პროფესორი ალექს დრეჰერი, ავსტრალიელი პროფესორი ნოელ გასტონი და ჰოლანდიელი პროფესორი პიმ მარტენსი თავიანთ წიგნში, სახელწოდებით „გლობალიზაციის გაზომვა: მისი შედეგების შეფასება“, აღნიშნავენ, რომ გლობალიზაციის ეფექტების შესახებ კვლევათა უმეტესობა გლობალიზაციის გასაზომად იყენებს ისეთ მანკენებლებს, როგორცაა საერთაშორისო ვაჭრობა და კაპიტალის ნაკადები, რასაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია გასცეს პასუხი [2, გვ.25].

გლობალიზაციის ინტენსივობა შეიძლება გავზომოთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ შემუშავებული ეკონომიკური გლობალიზაციის ინდიკატორებით, რომლებიც შემოთავაზებულია პროპორციების ფორმით და წარმოსდგებიან საბაზისო სტატისტიკური მონაცემებიდან. ამ ინდიკატორებით იზომება გლობალიზაციის პროცესის ინტენსივობა მის სხვადასხვა ასპექტში. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საერთაშორისო ვაჭრობა,





## **ნახო ჩაღუნელო**

---

ინდოეთსა და ჩინეთში ზრდამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა OECD-ის საშუალო მაჩვენებელს [4].

ამრიგად, ანგარიშგებით პერიოდში ვაჭრობის გლობალიზაცია მთელ მსოფლიოში უმთავრესად ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ვაჭრობისაგან განსხვავებით, აღნიშნულ პერიოდში, პუი-ს ნაკადები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, ქვეყნიდან გასული პუი-ების პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით, შემცირდა OECD-ის წევრი 34 ქვეყნიდან 22-ში. მათ შორის, ბელგიაში (25), ფინეთში (15), დანიაში (15), გაერთიანებულ სამეფოში (14), ჰოლანდიასა (13) და ლუქსემბურგში (13 პროცენტული პუნქტით). OECD-ის დანარჩენ ქვეყნებში აღინიშნა უმნიშვნელო ზრდა (0,2-დან 6 პროცენტულ პუნქტამდე). აღნიშნული მაჩვენებელი შემცირების ტენდენციით ხასიათდება ევროკავშირში, მისი 2005-2010 წლების საშუალო მაჩვენებელი 2000-2004 წლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 13%-ით, მაშინ როცა იგივე მაჩვენებელი დიდი ოცეულსა და OECD-ში გაიზარდა, შესაბამისად, 20 და 14%-ით. შემცირების ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე შემოსული პუი-ების ნაკადები [5].

პირდაპირი ინვესტიციის ძირითადი მოტივაცია გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებაა პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის. პირდაპირი უცხოური საინვესტიციო პოზიცია, როგორც მშპ-ის პროცენტი, გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური საინვესტიციო ურთიერთობების ინტენსივობას.


2010 წელს, 2000 წელთან შედარებით, გასული პუი-ს პოზიციის პროცენტული მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით გაიზარდა OECD-ის წევრი 34 ქვეყნიდან 33-ში, ხოლო ახალ ზელანდიაში უმნიშვნელოდ შემცირდა (0,04 პროცენტული პუნქტით). ლუქსემბურგში, ირლანდიასა და ბელგიაში

**ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა**

აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა სულ მცირე 115 პროცენტული პუნქტით, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში ზრდის მაჩვენებელი მერყეობდა 87-დან 2 პროცენტულ პუნქტამდე. რაც შეეხება საშუალო მაჩვენებელს, მან ანგარიშგებით პერიოდში 25%-დან 59%-ს მიაღწია [5].

თუ აღნიშნულ მაჩვენებელს გავაანალიზებთ რეგიონებისა და ქვეყანათა ჯგუფების მიხედვით, ვნახავთ, რომ იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც ევროკავშირში, ისე დიდ ოცეულსა და OECD-ში (დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2. გასული პუი-ს პოზიცია (მშპ-ის %) (მოსწორებული დონეებით), 2000-2010<sup>1</sup>**




რაც შეეხება შემოსულ პუი-ების პოზიციის ანალოგიურ მაჩვენებელს, საანგარიშო პერიოდში იგი გაიზარდა OECD-ის 34 ქვეყნიდან 30-ში, ამასთან ბელგიაში ზრდამ მიაღწია 113 პროცენტულ პუნქტს, ხოლო ლუქსემბურგში, ისლანდიასა და შვეიცარიაში – სულ მცირე 71 პროცენტულ პუნქტს. აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა მხოლოდ დანიაში, ახალ ზელანდიასა და ირლანდიაში, შესაბამისად, 1, 5 და 11 პროცენტული პუნქტით. აღნიშნული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება აგრეთვე, როგორც მთლიანად ევროკავშირში, ისე დიდი ოცეულსა და მთლიანად OECD-ში (დიაგრამა 3).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშგებით

## ნატო ჩალუნელი

პერიოდში პუი-ს ნაკადები მთელ მსოფლიოში უმთავრესად კლების ტენდენციით ხასიათდება, პუი-ს პოზიცია იზრდება.

დიაგრამა 3. შემოსული პუი-ს პოზიცია (მშპ-ის %) (მოსწორებული ღონებით), 2000-2010 წ. [5]



ლანდშაფტი ტექნოლოგიისა და ცოდნისათვის თანდათან უფრო გლობალური ხდება. მაშინ როცა ინვესტიციები კვლევებსა და განვითარებაში (R&D) ჯერ კიდევ ძლიერ კონცენტრირდება OECD-ის წევრ ქვეყნებში, OECD-ის არაწევრი ქვეყნების წილი მსოფლიო R&D-ში თანდათან იზრდება. 2007 წელს OECD-ის არაწევრი ქვეყნების ხვედრითმა წონამ R&D-ზე OECD-ის წევრი და არაწევრი ქვეყნების ბიზნესსექტორის საერთო დანახარჯებში შეადგინა 15%, 2008 წელს – 16%, 2009 წელს – 19%, ხოლო 2010 წელს – 33%. კვლევებსა და განვითარებაზე OECD-ის არაწევრი ქვეყნების ბიზნესსექტორის ერთობლივ დანახარჯებში უმსხვილესი წილი ეკუთვნის ჩინეთს (76%, 2010 წელს), მის შემდეგაა რუსეთი (16%), რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ჩინეთს [6].

კვლევებსა და განვითარებაზე მთლიანი დანახარჯების (GERD-ის) მიხედვით ჩინეთი იკავებს მსოფლიოში მესამე ადგილს, აშშ-ის და იაპონიის შემდეგ [6].

უკანასკნელ პერიოდში ბიზნესსექტორის კვლევებისა და განვითარების დაფინანსებაში მნიშვნელოვან როლს



ინტენსივობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საზომია. ამით იზომება უცხოური ფილიალების და მშობელი კომპანიების საქმიანობის ინტენსივობა მოცემულ ქვეყანაში.

2009 წელს, უცხოური ფილიალების წილი წარმოების მთლიან ბრუნვაში, მერყეობდა 79%-დან (ირლანდია) 5%-მდე (იაპონია). დიდი შედეგების ქვეყნებს შორის აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე მაღალი დონე ახასიათებდა გაერთიანებულ სამეფოსა (47%) და საფრანგეთს (30%). მათ შემდეგ კი – აშშ-სა და იტალიას. OECD-ის იმ ქვეყნებს შორის, რომელთა მონაცემები ხელმისაწვდომია, აღნიშნული მაჩვენებლის ყველაზე დაბალი დონე აჩვენა იაპონიამ [7].

დასაქმებას უცხოურ ფილიალებში ჰქონდა იგივე ტენდენცია, რაც მათ ერთობლივ ბრუნვას, იმ განსხვავებით, რომ უცხოური წილი საწარმოო სექტორის მთლიან დასაქმებაში უფრო მცირე იყო, ვიდრე მთლიან ბრუნვაში, გარდა ფინეთისა, სადაც უცხოური წილი დასაქმებაში 1%-ით აღემატება ბრუნვის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, საწარმოო სექტორის მთლიან დასაქმებაში უცხოური ფილიალების წილი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2009 წელს, 2003 წელთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა OECD-ის წევრ 23 ქვეყნიდან 19-ში. ორ ქვეყანაში არ შეცვლილა, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში შემცირდა მხოლოდ 1 პროცენტული პუნქტით, როცა სლოვაკეთში, უნგრეთსა და ჩეხეთში გაიზარდა სულ მცირე 13 პროცენტული პუნქტით.


უმეტეს ქვეყანაში საწარმოო სექტორში უცხოური ფილიალების წილი დამატებულ ღირებულებაში ბრუნვასთან შედარებით უფრო მცირეა და ეს განსხვავება მერყეობს 1-დან 14-მდე, ხოლო ირლანდიასა და ფინეთში უცხოური წილი დამატებულ ღირებულებაში აღემატება ბრუნვის ანალოგიურ მაჩვენებელს. პოლონეთში აღნიშნული მაჩვენებლები ერთმანეთს უტოლდება [7].

რაც შეეხება უცხოური ფილიალების საქმიანობის ინ-


**ჯანმრთელობის მართვა და განვითარების პოლიტიკა**

ტენსიობას დინამიკაში, 2009 წელს, 2003 წელთან შედარებით, უცხოური ფილიალების ხვედრითი წილი საწარმოო სექტორის მთლიან დასაქმებაში გაიზარდა OECD-ის 22 ქვეყნიდან 18-ში, ზრდა მერყეობდა 20-დან 1 პროცენტულ პუნქტამდე, ამასთან აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა 3 ქვეყანაში, ერთში კი თითქმის არ შეცვლილა (დიაგრამა 5). 2009 წელს, 1999 წელთან შედარებით, ბრუნვის ანალოგიური მაჩვენებელი აგრეთვე გაიზარდა OECD-ის 20 ქვეყნიდან 17-ში, ზრდა მერყეობს 24-დან 2 პროცენტულ პუნქტამდე, ამასთან აღნიშნული მაჩვენებელი უმნიშვნელოდ შემცირდა 2 ქვეყანაში, ერთში კი თითქმის არ შეცვლილა (დიაგრამა 6).

**დიაგრამა 5. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიან დასაქმებაში (წარმოება), (2000 და 2009)წ**



**დიაგრამა 6. უცხოური ფილიალების წილი ქვეყნის მთლიან ბრუნვაში (წარმოება) (2000 და 2009 წ.)**



დასასრულს, ჩვენ მიერ განხორციელებული ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ 2000-2010 წლებში გლობალიზაცია მთელ მსოფლიოში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ამასთან, ყველაზე სწრაფი ზრდით ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტექნოლოგიის ინტერნაციონალიზაცია. 2000-2010 წლებში OECD-ის ქვეყნებში გლობალიზაციის ინტენსივობის მაჩვენებლის ზრდამ საშუალოდ გასული პუი-ის პოზიციის მიხედვით – 227, შემოსული პუი-ის პოზიციის მიხედვით კი – 123 % შეადგინა, ხოლო ტექნოლოგიის სფეროში, 2007-2010 წლებში – 100%, მაშინ, როცა იმავე წლებში ანალოგიურმა მაჩვენებელმა საერთაშორისო ვაჭრობისა და მეკ-ების საქმიანობის მიხედვით, მხოლოდ 8 და 20% შეადგინა, შესაბამისად.

## **Globalization Tendencies in the Contemporary World**

**N. Caduneli**

The concept of globalization refers both to an increasing flow of goods and resources across national borders and to the emergence of a complementary set of organizational structures to manage the expanding network of international economic activities and transactions. In other words, in global economic system companies and financial institutions operate transnationally - i.e. beyond the national boundaries. In such an ideal world, a state is no longer an important economic institution with autonomous decision-making power in the pursuit of national objectives. Those public goods that are needed to maintain an open market system, such as protection of property rights and a stable monetary system would become a global respon-



sibility. Overall economic performance would depend upon the response of firms to global market incentives and the effectiveness of global regulations.

Though, the world economy is far from such a supranational paradigm. *“A more appropriate description of the current situation is global economic inter-dependence, where cross-border linkages between markets and production and financial activities are now so strong that economic activities in any country are significantly influenced by the policies and circumstances outside its boundaries”*. Nevertheless, a country’s resources, institutional arrangements and policy choices greatly influence national economic performance and also determine the impact of international forces on it.

In order to analyze the current tendencies of globalization, first of all the intensity of globalization should be measured. This can be measured by the indicators developed by the Organization for Economic Co-operation and Development (OECD).

As these indicators show, in 2000-2010 international trade increases all around the world, flows of foreign direct investments reduces, while foreign direct investment positions increases. Internationalization of technology and extent of economic activities of multinational enterprises also increase. Thus, in the reporting period, economic globalization mainly deepens all around the world. In addition, internationalization of technology and foreign direct investments are characterized by the most rapid growth.

1. UNCTAD, Trade and Development Report, 1997, New York and Geneva;
2. Dreher A, Gaston N, Martens P, Measuring Globalisation: Gauging Its Consequences, Springer, New York, 2008, 218 p;
3. OECD, Measuring Globalisation: Handbook on Economic Globalisation Indicators, France, 200;
4. UNCTAD, International Trade and National Accounts Database, 2011 and IMF, World Economic Outlook Databases: <http://unctadstat.unctad.org/ReportFolders/reportFolders.aspx>; <http://www.imf.org/external/pubs/ft/weo/2012/01/weodata/index.aspx/>
5. OECD, Foreign Direct Investment Statistics, 2012 October; <http://stats.oecd.org/Index.aspx?themetreeid=-200#>.
6. OECD, Main Science and Technology Indicators Database, Jul, 2012: <http://stats.oecd.org/Index.aspx?themetreeid=-200#>
7. OECD, Activity of Multinationals Database, 2012 October: <http://stats.oecd.org/Index.aspx?themetreeid=-200#>.

**აღამ სმითი (1723-1790)–ეკონომიკური  
მეცნიერების ფუძემდებელი  
(დაბადებიდან 290 წელი)**

**ჯემალ ხარიბონაშვილი  
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
თსუ ასოცირებული პროფესორი**

290 წელი შესრულდა გენიალური ეკონომისტის ადამ სმითის დაბადებიდან. ადამ სმითს განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკური აზრის ისტორიაში. იგი იყო ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი. მართალია, ეკონომიკური მეცნიერების საფუძველი ჩაყრილი იყო ჯერ კიდევ უ. პეტის, პ. ბუაგილბერის, ფ. კენესა და ა. ტიურგოს შრომებში, რომლებმაც ჩამოაყალიბეს თეორიული ხასიათის ზოგიერთი დებულება და ეკონომიკური მეცნიერებისთვის მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპები, მაგრამ მხოლოდ ა. სმითმა მოიყვანა ყოველივე აღნიშნული მთლიან სისტემაში და მისი მეცადინეობით ეკონომიკურმა აზრმა შეიძინა მეცნიერების ხასიათი. თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები პ.სამუელსონი და უ. ნორდჰაუსი ეკონომიკის დამწეობად სწორედ ა. სმითს მიიჩნევენ [1, გვ. 9]. ისინი ა.სმითს მოიხსენიებენ ყველა დროის გამოჩენილ ეკონომისტთა ლიდერებში. ესენია: ა. სმითი, კ.მარქსი, ჯ.კეინზი, რ.ლუკასი და სხვა [1, გვ. 9]. კ. რ. მაკკონელი და ს. ლ. ბრიუ ა. სმითს ასახელებენ წარსულის უდიდესი ეკონომისტების ხუთეულში – ა. სმითი, დ. რიკარდო, ჯონ სტიუარტ მილი, კ. მარქსი და ჯ. კეინზი [2, გვ. 7]. თანამედროვე ამერიკელი ეკონომისტები რ. ჰეილბრონერი და ლ. ტუროუ მიუთითებენ: „რათა გავივით ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი მიზანი, უმჯობესია მივმართოთ სამი უდიდესი ეკონომისტის – ადამ სმითის, კარლ მარქსისა და ჯონ მეინარდ კეინზის ნაშრომებს [3, გვ. 23].

როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელიანტი ა. სენი აღნიშნავს, ა. სმითის განსაკუთრებული წვლილია ის, რომ მისი იდეების საფუძველზე მიეცა ახალი ფორმა ეკონომიკური თეორიის როგორც მეცნიერების საგანს. ბევრი რამ ეკონომიკური მეცნიერების შესახებ, აგრეთვე საბაზრო ეკონომიკის შესახებ ჩვენთვის ცნობილია მისი ნაშრომებიდან. სმითს კანონზომიერად უწოდებენ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მამას, რამდენადაც მან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა მისი როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებაში [4, გვ. 25]. ამავე აზრისაა ქართველი ეკონომისტი ი. ქვაჩახიაც, რომელიც მიუთითებს, რომ ადამ სმითმა დაიპყვირა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მამამთავრის სახელი [5, გვ. 8].

რაში მდგომარეობს ა.სმითის იდეების აქტუალობა? ამ კითხვაზე ძნელია პასუხის გაცემა იმიტომ, რომ მისი აზრები დღეს შეიძლება გაგებულ იქნეს ძალიან ფართოდ. ა.სმითის მიერ ჩამოყალიბებული მსჯელობის სტრატეგია ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის. სწორედ ამ იდეებს აქვს დღეს მნიშვნელობა.

ა. სმითი იყო დიდად განათლებული პიროვნება. დაწყებითი ცოდნა მან მიიღო თავის მშობლიურ ქალაქ კერკოლდში (შოტლანდია). ა. სმითი იყო უნდერკინდი. იგი 14 წლის ასაკში შევიდა გლაზგოს უნივერსიტეტში, სადაც თავი გამოიჩინა ბეჯითი სწავლით, რის გამოც მას, გამონაკლისის სახით, ნება დართეს სწავლა განეგრძო ოქსფორდის არისტოკრატიულ უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ა. სმითი გლაზგოში ეწეოდა საპროფესორო მოღვაწეობას. 1759 წ. მისი ლექციები გამოქვეყნებულ იქნა წიგნად – „ზნეობრივ გრძნობათა თეორია“, რომელმაც ავტორს დიდი სახელი მოუხვეჭა. 1764 წლიდან ა. სმითმა თავი დაანება საპროფესორო მოღვაწეობას და დაიწყო არისტოკრატ ბერკლეს აღზრდა. მან თავის მოწაფესთან ერთად იმოგზაურა საფრანგეთში, სადაც გაეცნო ფ. კენესა და ა. ტიურგოს. მათთან ურთიერთობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ა. სმითის შეხედულებების ჩამოყალიბებაზე.

სამი წლის აღმზრდელითი მოღვაწეობის შემდეგ ა. სმითი დაბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქში და კვლევადიება დაიწყო ეკონომიკური თეორიის სფეროში. ამ მუშაობის ნაყოფი იყო მისი მთავარი ნაწარმოები – „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ (1776 წ.), რომელშიც გამოიკვლია სიმდიდრის წარმოშობის არსი, მისი აღმოცენებისა და განვითარების პირობები. ამ ნაშრომმა ავტორს მსოფლიო სახელი მოუხვეჭა.

ასმითი იყო სამრეწველო გადატრიალების წინა ხანის ეკონომისტი. იმ პერიოდში აღმოცენდა ეკონომიკური აზრის ახალი პრობლემები და აუცილებელი გახდა წინანდელი დებულებების გადასინჯვა. ვაჭრების შემცველად მოვიდა მრეწველი კაპიტალისტი, რომლის ეკონომიკური პლატფორმა დასაბუთებას საჭიროებდა. ამიტომ, სანამ თავის ეკონომიკური მოძღვრებას ჩამოაყალიბებდა, საჭირო იყო ნიადაგი გაეთავისუფლებინა წინამორბედი შეხედულებებისაგან.

სამრეწველო გადატრიალების შუქზე მერკანტილისტური დოქტრინა ძალიან უმწოდ გამოიყურებოდა – მისი რეცეპტები და პროტექციონიზმი, სამეურნეო ინიაციაცივის შემბოჭველი ფაქტორი გახდა. კ. მარქსის განმარტებით, კლასიკოსები, როგორც, მაგალითად, ადამ სმითი და დევიდ რიკარდო იმ ბურჟუაზიის წარმომადგენლებია, რომლებიც ებრძოდნენ ფეოდალური საზოგადოების ნარჩენებს, ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ისეთი ახალი ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებისათვის, რომელთა განვითარება ფართო გზას გაუხსნიდა მწარმოებლური ძალების ზრდას და ახალ გაქანებას მისცემდა მრეწველობისა და ვაჭრობის აღმავლობას [6. გვ. 145].

სიმდიდრის წყაროს ბურჟუაზია სამრეწველო წარმოებაში ეძიებდა. საგარეო ვაჭრობა დაყვანილ იქნა მრეწველობის მომსახურების როლამდე. ამიტომ, ა. სმითი მერკანტილიზმს შუასაკუნობრივ სისულელედ თვლიდა. იგი ამტკიცებდა, რომ სიმდიდრე არის არა ფული, არამედ ის, რაც შეისყიდება ფულით.

## ქვეალ სარიტონაშვილი

---

ა.სმითმა გამოაშკარავა, აგრეთვე, ფიზიოკრატიზმის უშინაარსობა მხოლოდ მიწათმოქმედების ნაყოფიერებისა და მრეწველობის უნაყოფობის შესახებ. ა. სმითმა მოახერხა მნიშვნელოვანი ზომით გადაელახა სახალხომეურნეობრივი პროცესების ანალიზისადმი დარგობრივი მიდგომა. ა. სმითის ეკონომიკურ შეხედულებებს საფუძვლად უდევს იდეა იმის შესახებ, რომ საზოგადოების სიმდიდრე იქმნება წარმოების პროცესში დახარჯული ადამიანის შრომით.

ა.სმითის მიხედვით, სიმდიდრის გადიდება დამოკიდებულია შრომის მწარმოებლურობაზე, რომლის ზრდის ძირითადი ფაქტორია შრომის დანაწილება. ა. სმითის თქმით ხალხთა სიმდიდრე და მისი გამრავლება დამოკიდებულია შრომის დანაწილების განვითარებაზე. მისი აზრით, შრომის დანაწილება სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გაცვლისადმი მიდრეკილების გამოხატულების ფორმა. შრომის დანაწილებაში ხელავს იგი შრომის გაცვლას შრომაზე.

შრომის დანაწილებისა და გაცვლის განვითარებას უკავშირებს ა. სმითი ფულის წარმოშობასა და გამოყენებას. ფულის წარმოშობას ა. სმითი ხსნის ტექნიკური მიზეზებით, რაც იქმნება საქონელთა ურთიერთგაცვლის დროს. მას ფული განსაკუთრებულ საქონლად მიაჩნდა. ფულის ფუნქციებს შორის ა. სმითმა განსაკუთრებით გამოყო მიმოქცევის საშუალების ფუნქცია. მან იცოდა, რომ ფული, აგრეთვე, ღირებულების საზომი, გადახდის საშუალება და მსოფლიო ფულია. ა. სმითმა ოქროსა და ვერცხლის ფულთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა ქალაქის ფულს და მიზანშეწონილად მიიჩნია ოქროსა და ვერცხლის შეცვლა ქალაქის ფულით.

ა.სმითის ეკონომიკური მოძღვრების მნიშვნელოვანი მონაპოვარია ღირებულების შრომითი თეორია. ამ საკითხში მან გააგრძელა უ. პეტის შეხედულებანი ა.სმითის დამსახურებაა ის, რომ მან საქონლის ღირებულება განსაზღვრა მასზე გაწეული შრომის დანახარჯებით. იგი ერთმანეთისგან განასხვავებდა საქონელთა საბაზრო და ნამდვილ ფასს. ამ უკანასკნელში იგი გულისმობდა ღირებულებას. ა. სმითი წერდა, რომ სიტყვა

ღირებულებას აქვს ორი სხვადასხვა მნიშვნელობა. ზოგჯერ იგი გამოსახავს რაიმე საგნის სარგებლიანობას, რომელსაც იძლევა ამ საგნის ფლობა. ასევე მას აქვს სხვა ნივთზე გაცვლის უნარი. პირველს შეიძლება ვუწოდოთ სახმარი ღირებულება, მეორეს – საცვლელი ღირებულება [7, გვ. 33].

ა.სმითი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ღირებულებას ქმნის საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა, რომელიც იხარჯება მატერიალური წარმოების სფეროში. ეს არის ა. სმითის ღირებულების მეცნიერული თეორია. მაგრამ იგი გარკვეულ ნაკლოვანებებს შეიცავს. ა. სმითმა ვერ გაიგო, რომ საქონელში არსებობს წინააღმდეგობა სახმარ ღირებულებასა და ღირებულებას შორის. ხოლო საქონელმწარმოებელთა შრომა ორადი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, ა. სმითი საქონლის ღირებულებიდან გამორიცხავდა მუდმივი კაპიტალიდან გადმოტანილ ღირებულებას. საქონლის ღირებულებას აიგივებდა ახლად შექმნილ ღირებულებასთან. ასევე, ამტკიცებდა, რომ სოფლის მეურნეობაში ღირებულების შექმნაში, გარდა შრომისა, ბუნებაც მონაწილეობს.

ა.სმითი აღნიშნავდა, რომ შრომის დანაწილების დროს ადამიანი მდიდარია ან ღარიბი იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობის შრომას ფლობს იგი ან რა რაოდენობის შრომა შეუძლია იყიდოს მან. აქედან გამომდინარე იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი საქონლის ღირებულება უდრის იმ შრომის რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია იყიდოს, ანუ მიიღოს განსაკარგავად [7, გვ. 35]. ღირებულების ნაყიდი შრომის განსაზღვრით, ა. სმითი ფაქტობრივად განსაზღვრავდა საქონლის ღირებულებას მისი მყიდველობითი უნარის შრომასთან შეფარდებით. ეს იგივეა, განვსაზღვროთ „შრომის რაოდენობა,” ანუ უფრო სწორად – ხელფასი. მან ვერ გაიგო, რომ მუშა კაპიტალისტს მიჰყიდის სამუშაო ძალას და ხელფასი მის მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილია. ამ განსაზღვრების მეორე ვარიანტში ა. სმითი ღირებულებას განსაზღვრავდა შემოსავლებით. მისი განმარტებით საცვლელი ღირებულება შედგება მხოლოდ შემოსავლებისგან: ხელფასის, მოგებისა და

რენტისაგან (v+m). ეს მტკიცება ეწინააღმდეგება ღირებულების შრომით თეორიას. სამაგიეროდ, იგი გზას ხსნის წარმოების სამი ფაქტორის (შრომა, კაპიტალი და მიწა) თეორიისათვის. ეს იდეა შემდეგში ისესხეს და ფართოდ გამოიყენეს ოპტიმისტური სკოლის წარმომადგენლებმა (ჟ.ბ.სეი, ფ. ბასტია).

ხელფასს ა. სმითი განსაზღვრავდა როგორც შრომის ფასს. მას თვლიდა შრომის ბუნებრივ ანაზღაურებად. ის არ იზიარებდა იმდროინდელ ლიტერატურაში გავრცელებულ აზრს იმის შესახებ, რომ მაღალი ხელფასი მუშებს აზარმაცებს და შრომის სტიმულს უკარგავს. ა. სმითი მოითხოვდა მაღალი ხელფასის დაწესებას. იგი აღნიშნავდა, რომ, მაღალი ხელფასი შრომის მწარმოებლურობის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

მოგებად ა. სმითი მიიჩნევდა შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც რჩება ხელფასის გამოკლებით. მან მიუთითა, რომ მოგება მუშის შრომით იქმნება კაპიტალისტური წარმოების ყველა დარგში, სადაც კი შრომა იხარჯება. მოგება იქმნება იმიტომ, რომ მუშა მუშაობს სამუშაო დროის ნორმების ზევით, იმაზე მეტს, რაც აუცილებელია მისი ხელფასის ეკვივალენტის შექმნისათვის. სხვა შემთხვევაში, ა. სმითს მოგების ქვეშ ესმოდა ნაშთი რენტისა და პროცენტის გამოკლებით. ამ შემთხვევაში იგი მოგებას უწოდებდა ფუნქციონერი კაპიტალისტის შემოსავალს. მისი გაგებით, სამრეწველო მოგება წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმას. ამის განშტოებად მიაჩნდა მას მიწის რენტა და სარგებელი, რომელსაც ზედმეტი ღირებულების მითვისებაში მონაწილე სხვადასხვა კლასი ღებულობს.

ა.სმითის თეორიაში ზედმეტი ღირებულება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი – მოგება, რენტა, სარგებელი, არის მხოლოდ მუშის შრომის შედეგი. ა. სმითი უარყოფდა აზრს, თითქოს, მოგება იყოს კაპიტალისტის ხელფასი საწარმოთა ზედამხედველობისა და მართვისათვის. მისი აზრით, მოგების სიდიდე განისაზღვრება არა მეთვალყურეობასა და მართვაზე გაწეული შრომის სიმძიმითა და სირთულით, არამედ



წარმოებაში გამოყენებული კაპიტალის სიდიდით. ა. სმითი მოგებას განიხილავდა, როგორც კაპიტალის დაბანდებისათვის მეწარმის რისკის ანაზღაურებას.

კაპიტალს ა. სმითი განიხილავდა, ერთი მხრივ, როგორც ღირებულებას, რომელიც დაქირავებული შრომის ექსპლუატაციის შედეგად იძლევა ნამეტს, მეორე მხრივ, კაპიტალს განმარტავდა, როგორც საგნების მარაგს, რაც საჭიროა შემდგომი წარმოებისათვის, როგორც წარმოების საშუალებების მარაგს. მან კაპიტალი გააიგივა მის ნივთობრივ მატარებელთან, როგორცაა წარმოების საშუალებები, რაშიც დაგროვილია შრომა, ე.ი. წინანდელი შრომით შექმნილი საშუალებანი. შემდგომ მან განავითარა ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ცნებები და მათი მოქმედება გაავრცელა მატერიალური წარმოების ყველა სფეროზე.

ა.სმითი კაპიტალის ყველაზე დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევს იმას, რომ მას მოაქვს მოგება. ამას საფუძვლად უდევს კაპიტალის დაყოფა ძირითად და საბრუნავ ნაწილებად. ა. სმითის განსაზღვრით, „ძირითადი კაპიტალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის გასაუმჯობესებლად, სასარგებლო მანქანებისა და სამუშაო იარაღების ან მსგავსი საგნების საყიდლად, რომლებიც შემოსავალს, ანუ მოგებას იძლევიან მფლობელის გამოუცვლელად ან შემდგომ მიმოქცევაში შეუსვლელად. ამიტომ ასეთ კაპიტალებს შეიძლება სრულიად შესაბამისად ეწოდოს ძირითადი კაპიტალები” [7, გვ. 312]. ა. სმითის მიხედვით, ძირითადი კაპიტალი მფლობელს არ იცვლის, რჩება მის ხელში და მიმოქცევაში არ მონაწილეობს. საბრუნავი კაპიტალი კი მონაწილეობს მიმოქცევაში და მესაკუთრისათვის მოგების მიღებას უზრუნველყოფს. „იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს პროდუქციის აღმოსაცენებლად, გადასამუშავებლად ან გასაყიდად მოგებით ისევ გაყიდვის მიზნით. ამგვარად გამოყენებული კაპიტალი არ აძლევს მის გამომყენებელს არავითარ შემოსავალს ან მოგებას სანამ იგი მის მფლობელობაში დარჩენილი ან შენარჩუნებული აქვს თავისი წინანდელი ფორმა. პროდუქტები, რომელიც ვაჭარს ხელთ აქვს, არ აძლევს მას

## **ჩემალ სარიტონაშვილი**

შემოსავალს ანუ მოგებას, სანამ იგი მათ არ გაჰყიდის ფულზე. ფულიც მას აგრეთვე ნაკლებ სარგებლობას აძლევს, სანამ იგი მას კვლავ არ გასცვლის პროდუქტებზე... მისი კაპიტალი მუდამ მიდის მისგან ერთი სახით, და მხოლოდ ასეთი მიმოქცევის გზით, ანუ თანმიმდევნო გაცვლა გამოცვლის გზით, შეუძლია კაპიტალს მისცეს მას მოგება. ამიტომ ასეთ კაპიტალებს შეიძლება სრულად შესაბამისად ეწოდოს საბრუნავი კაპიტალი” [7, გვ. 327].

ნაყოფიერი და უნაყოფო შრომის შესახებ მსჯელობისას ა. სმითი ამტკიცებდა, რომ შრომა ნაყოფიერია წარმოების ყოველ დარგში, სადაც იგი გადაიცვლება კაპიტალზე, რის შედეგად ქმნის მოგებას. უნაყოფოა შრომა, რომელიც არ იცვლება კაპიტალზე, არ ქმნის მატერიალურ პროდუქტს და არ ადიდება საქონლის ღირებულებას. უნაყოფო შრომა უშუალოდ იცვლება შემოსავალზე. ა. სმითის აზრით, რაც უფრო მცირეა საზოგადოებაში არანაყოფიერი მუშაკები, მით უფრო სწრაფად შეიძლება გაიზარდოს მისი სიმდიდრე.

ა.სმითის მოძღვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეას. ა. სმითი თითქმის სრულიად უარყოფდა სახელმწიფოს ჩარევას სამეურნეო საქმიანობაში და ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად ეკონომიკური თავისუფლება მიაჩნდა. იგი მოითხოვდა კონკურენციის თავისუფლებას, კონკურენციულ ბრძოლას. ა. სმითი სახელმწიფოს აკისრებდა მხოლოდ ისეთ ფუნქციებს (ქვეყნის თავდაცვა, ბანკოტების გამოშვება და ა.შ.), რაც დადებით როლს შეასრულებდა თავისუფალი კონკურენციის, ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფაში.

ა. სმითი მიიჩნევდა, რომ მრეწველები და ვაჭრები განუხრელად ცდილობენ თავისუფალი კონკურენციის დათრგუნვასა და შეზღუდვას, საზოგადოებისთვის საზიანო მონოპოლიის შექმნას. (14, გვ. 218)

ა. სმითის აზრით, საქონლის, ფულის, კაპიტალის და შრომის თავისუფალი მოძრაობის დროს, საზოგადოების რესურსები გამოყენებული იქნება ყველაზე რაციონალურად, ოპ-

ტიმალურად. მისი ეკონომიკური მოძღვრების ალფა და ომე-  
გა იყო კონკურენციის თავისუფლება. იგი წითელ ზოლად  
გასდევს მთელ "ხალხთა სიმდიდრეს." ამ პრინციპს ა.  
სმითი უსადაგებდა ექიმებს, უნივერსიტეტის პროფესორებსაც  
და... მღვდლებსაც კი. თუ ყველა სარწმუნოებისა და სექტის  
ღვთის მსახურთ მიეცემათ ერთმანეთს შორის თავისუფალი  
კონკურენციის საშუალება, არც ერთ ჯგუფს არ ექნება პრი-  
ვილეგია, და მით უმეტეს მონოპოლია, მაშინ ისინი ყველაზე  
ნაკლებად იქნებიან ზიანის მომტანნი. (14, გვ. 195)

ა. სმითმა წამოაყენა „უხილავი ხელი“ პრინციპი. ამ  
პრინციპის მიხედვით, თითოეული ადამიანის მამოძრავებელი  
მხოლოდ პირადი ინტერესებია, რაც, საბოლოო ანგარიშით, სა-  
ზოგადოებრივ ინტერესებსაც ესმიანება. თავის წიგნში – „გა-  
მოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შე-  
სახებზე,“ სმითმა აღწერა ჰარმონია კერძო და საზოგადოებრივ  
ინტერესებს შორია. როგორც ა. სმითი აღნიშნავდა: „ყოველი  
ინდივიდი ცდილობს ისეთნაირად აამოქმედოს საკუთარი კაპი-  
ტალი, რომ მან მაქსიმალური მოგება მოიტანოს. ჩვეულებრივ  
მას განზრახვა არა აქვს შემოქმედება მოახდინოს საზოგა-  
დოებრივ ინტერესებზე და არ იცის რამდენად შემოქმედებს  
იგი მათზე. ინდივიდი მისწრაფვის მხოლოდ საკუთარი უსა-  
ფრთხოებისა და სარგებლობისაკენ, და მას უხილავი ხელი  
წარმართავს, რათა ბოლოს და ბოლოს შეგავლენა მოახდინოს  
იმაზე, რაც მის განზრახვაში არ შედიოდა. საკუთარი ინტერე-  
სების დაცვით იგი (ინდივიდი) ხშირ შემთხვევაში დიდად უწ-  
ყობს ხელს საზოგადოების აყვავებას, ვიდრე იმ შემთხვევაში  
თუკი ამას შეგნებულად შეეცდებოდა“ [7, გვ. 189].

უხილავი ხელის მოქმედებაა: „ჩვენ საკუთარ პურს ვი-  
ღებთ არა პურის მცხობელის (ხაბაზის) მოწყალებით, არამედ  
მისი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე“.

ადამიანთა თანამშრომლობას საფუძვლად უდევს ის, რომ  
ყველა მათგანი მოქმედებს საკუთარი ინტერესების შესაბამი-  
სად [5, გვ. 8]. სმითი ამტკიცებდა რომ ბაზარზე ეკონომიკური  
გაცვლისთვის არავითარი სხვა მოტივაცია არ არსებობს, გარ-  
და პირადი ინტერესისა [4, გვ. 89].

ა.სმითმა შეადგინა ახალი ეკონომიკური სისტემის მოქმედების სქემა, რომელიც იმ პერიოდში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მკვიდრდებოდა. მისი აზრით, ამ სისტემის გამართული მუშაობისათვის აუცილებელია ორი პირობის არსებობა. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევისგან განთავისუფლება და კონკურენციის თავისუფლება.

ა.სმითი „უხილავი ხელის“ პოლიტიკას უნივერსალურ მექანიზმად მიიჩნევდა. მისი აზრით, იგი მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავს როლს ასრულებს საზოგადოებაში. მაგრამ ეკონომიკაში თავისუფლების კონცეფციამ კაცობრიობის განვითარებაში მსოფლიო მიზიდულობის კანონის როლი მაინც ვერ შეასრულა [8, გვ. 86].

უხილავი ხელის დოქტრინა ისეთ მეურნეობას მიეკუთვნება, რომელზეც ყველა ბაზარი სრულყოფილი კონკურენციით ხასიათდება. ესაა სიტუაცია, რომლის დროსაც ყველა საქონელს და მომსახურებას თავისი ფასი გააჩნია და ბაზარზე იყიდება. ამასთან, არც ერთი ფირმა და არც ერთი მომხმარებელი არ შეიძლება ძალზე მნიშვნელოვანი იყოს იმისთვის, რომ ზეგავლენა მოახდინოს საბაზრო ფასებზე.

ა.სმითმა აღმოაჩინა კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის შესანიშნავი თვისება. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ბაზარი აწარმოებს სასარგებლო საქონლისა და მომსახურების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობას არსებული რესურსების პირობებში. მარამ, იქ, სადაც გაბატონებულია მონოპოლიები, გარემოს დაბინძურება ან სხვა უსუსურობანი, უხილავი ხელის შესანიშნავი ეფექტიანი საშუალებები შეიძლება გაქრეს კიდევაც [1, გვ. 8].

არასრულყოფილ კონკურენციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მყიდველებს ან გამყიდველებს შეუძლიათ ფასებზე ზემოქმედების მოხდენა. არასრულყოფილი კონკურენციის არსებობისას ბაზრებს არ შეუძლიათ რესურსების ეფექტიანი განვითარება. მოცემულ ეტაპზე სახელმწიფო შეიძლება ამოქმედდეს და დაიწყოს რეგულირება. „საბაზრო აქტივობის ნეგატიური შედეგების დაძლევა სახელმწიფოს მხრივ გარკვეული

რეგულირების გარეშე შეუძლებელია” [8, გვ. 90].

აღამ სმითის დროიდან მოყოლებული, საბაზრო ეკონომიკამ მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა. როგორც პ. სამუელსონი და უ. ნორდჰაუსი აღნიშნავენ, „სმითის ვარაუდი საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ, დააფიქრებს თანამედროვე ეკონომისტებს, როგორც კაპიტალიზმის მომხრეებს, ასევე კრიტიკოსებს. მიუხედავად ამისა, კიდევ ორი საუკუნე გაივლის და გამოცდილების დაგროვებისა და დაფიქრების შემდეგ გამოვლინდა ამ დოქტრინის ჩარჩოები და პრაქტიკული შეზღუდვები. ცნობილია, რომ არსებობს „ბაზრის უსუსურობა” და იგი ყოველთვის როდი იძლევა საუკეთესო შედეგებს. ბაზრის ერთ-ერთი უსუსურობა დაკავშირებულია მონოპოლიებსა და არასრულყოფილი კონკურენციის სხვა ფორმებთან. “უხილავი ხელის” სხვა შეცდომა წარმოიშობა ბაზრის გარშემო თანამდევნი, ანუ გარე ეფექტების არსებობასთან დაკავშირებით, როგორცაა დადებითი გარე ეფექტები – სამეცნიერო აღმოჩენები და უარყოფითი თანამდევნი მოვლენები – გარემოს დაბინძურება. ბაზრის გარეშე ეკონომიკური ნაკლოვანებაა შემოსავლის ისეთი განაწილება, რომელიც არახელსაყრელია პოლიტიკური ან ლოგიკური თვალსაზრისით. თუკი არსებობს თუნდაც ერთი ელემენტი, აღამ სმითის დოქტრინა უხილავი ხელის შესახებ, უკვე აღარ მუშაობს და მთავრობა შეიძლება ჩაერიოს, რათა „განკურნოს” დაავადებულნი უხილავი ხელი” [1, გვ. 97].

XIX საუკუნის დასასრულს, კაპიტალიზმის მზარდმა განვითარებამ აწმ და დასავლეთ ევროპის ინდუსტრიული ქვეყნები სახელწიფოს ჩაურევლობის პრინციპის უარყოფამდე მიიყვანა. მთავრობებმა სულ უფრო მზარდი ეკონომიკური როლის შესრულება იწყეს მონოპოლიების რეგულირებით, გადასახადების აკრეფით, ხანდაზმულთა დახმარების უზრუნველყოფით და ა.შ.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში ინგლისელი ეკონომისტის ჯ. მ. კეინზის მიერ აღდგენილ იქნა „ხილული ხელის” დოქტრინა. თუ პადეოლიბერალურ დოქტრინაში სახელმწი-

ფოს მიკუთნებული ჰქონდა „ღამის გუშაგის“ როლი, კეინზურ მოდელში სახელმწიფოს ღირიჟორის როლი აქვს მიკუთვნებული. თუმცა, ეკონომისტთა ერთი ნაწილი არ ეთანხმება ამას და და ლიბერალიზმის პოზიციაზე რჩება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, „უხილავი ხელის“ ნეოლიბერალური მოძღვრება სახელმწიფო დოქტრინად იქნა აღიარებული დასავლეთ გერმანიაში. XX საუკუნის 80-90-იან წლებში ნეოლიბერალიზმი არა მარტო გერმანიაში გაბატონდა არამედ, იგი გავრცელდა ინგლისში, აშშ-სა და პოსტსოციალისტური სივრცის ქვეყნებშიც.

მაგრამ, 2008 წ. დაწყებულმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა კვლავ თავდაყირა დააყენა სიტუაცია. როგორც თანამედროვე პოლონელი პროფესორი გ. კოლოდკო აღნიშნავს, ამ კრიზისის ფონზე ნეოლიბერალიზმმაც კრახი განიცადა. „სრულად განსაზღვრულად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ნეოლიბერალური მოდელის კრახთან [9, გვ. 12]. დღეს მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები იძულებულნი არიან, ჩაერიონ ეკონომიკაში და არაპოპულარული პროტექციონიზმიც კი გაატარონ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ევროპული ქვეყანა თავს იკავებდა სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევაზე, მათ მაინც მოუწიათ იძულებითი ნაბიჯის გადადგმა [10, გვ. 13]. ჯონ მიქლზუეთი აღნიშნავს, რომ კრიზისის პირობებში კონგრესიდანაც იქნება პროტექციონისტული მოთხოვნები აშშ-შიც [11, გვ. 9]. რაბინ ბიუ მიუთითებს, რომ „უმუშევრობის ზრდა მთავრობებს მოტივაციას აძლევს, საკუთარი სკამის შენარჩუნების მიზნით პოპულისტურ პროტექციონიზმს მიმართონ [12, გვ. 14].

„ლესე ფერ“ პრინციპის საყოველთაობას არ ვექვემდებარება ჩინეთის თანამედროვე ეკონომიკური განვითარების გზაც. იქ კონვერგენციული პროცესები საფუძვლიანად ხორციელდება. სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვანია. ჩინეთს და სოციალური ეკონომიკის ქვეყნებს კრიზისი არ შეხებია. ასეთ ვითარებაში ჩინეთმა აშშ-ს ასესხა 3 ტრილიონი დოლარი. რამოდენიმე თვის წინ საერთაშორისო სავალუტო ფონდის პრე-

ზიდენტმა ჩინეთს მოუწოდა ფინანსურად დაეხმაროს კრიზისს დაქვემდებარებულ ქვეყნებს.

როგორც თანამედროვე ამერიკელი მეცნიერი ა.სენი აღნიშნავს, ა.სმითს წმინდა საბაზრო მექანიზმი აბსოლუტურად იდეალურად არ მიაჩნდა. ის მსჯელობდა იმის შესახებაც, რომ ადამიანს მართავეს არა მარტო პირდი სარგებელი, არამედ კეთილგონიერებაც. „კეთილგონიერება“ არის სათნოება, რომელსაც ადამიანისათვის ყველაზე მეტი სარგებელი მოაქვს. კაცთმყოფარეობა, სამართლიანობა, დიდსულოვნება, საზოგადოებრივი დოვლათის შექმნის სურვილი, რომელიც ფრიად სასარგებლოა სხვა ადამიანებისათვის. უკანასკნელმა ეკონომიკურმა კრიზისმა ნათლად აჩვენა, რომ ნორმალურმა საზოგადოებრივებს მოწყობამ აუცილებელია უარი თქვას არარეგულურებად და უსახდვრო ანგარებაზე.

ახალი კეინზელების (გრ. მენქიუ, ჯ. აკერლოფი, ჯ. იელენი, ო. ბლანშარი, ნ. კიოტაკი) ძალისხმევით შეიქმნა თანმიმდევრული მაკროეკონომიკური თეორია, რომელშიაც დასაბუთებულია „უხილავი ხელის“ არაეფექტიანობა მაკროეკონომიკურ დონეზე (18. გვ.227).

თავის ქცევაში ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, მის წინაშე მდგომი მიზნების მიღწევის ოპტიმიზაციის პოზიციიდან გამოდის. ასეთი მიზნებია საოჯახო მეურნეობისათვის სარგებლიანობის, ხოლო ფირმებისათვის მოგების მაქსიმიზაცია. მაგრამ, homo ekonomikus-ის თანამედროვე გაგების თანახმად, ის ბევრად უფრო რთული მიზნების მატარებელია, რადგან, წმინდა ეკონომიკური მისწრაფებების გარდა, მას სოციალური მიზნების გათვალისწინებაც უხდება, რაც რაციონალურობის ხარისხს აფართოებს. კითხვაზე, თუ რამდენადაა რაციონალური ადამიანის ქცევა-პასუხი მნიშვნელოვანწილად საზოგადოებრივი სისტემის რაციონალურობაზეა დამოკიდებული. თავისუფალი ბაზარი მხოლოდ და მხოლოდ თეორიული კონსტრუქციაა, რაც გამოიყენება ბაზრის ზოგად კანონზომიერებათა შესწავლის მიზნით. რეალურად კი ამ კანონზომიერებებიდან გადახრებს ბაზარზე ძალიან ხშირად აქვს ადგილი, ამიტომ,

თავისუფალი ბაზრის, როგორც იდეალური ბაზრის მოდელი უნდა იყოს ის ეტალონი, რომლისკენაც ბაზრის სახელმწიფო რეგულირება უნდა ისწრაფვოდეს. თავისუფალი ბაზრის ნაკლოვანებათა გამოსწორების ფუნქცია ეკონომისტთა დიდ ჯგუფს სახელმწიფოზე გადააქვს და თვლის, რომ სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და ერთი მხრივ, გააკეთოს ის რისი გაკეთებაც არ შესწევს ბაზარს, ხოლო, მეორე მხრივ კი, ბაზარზე შეაფერხოს თავისუფლების ელემენტების შეზღუდვა იქ მოქმედი კერძო სუბიექტების მიერ. იმის გამო, რომ სახელმწიფოს ბაზარში ჩარევის ფიასკო ან საერთოდ უგულებელყოფილია, ან მიჩნეულია მეორეხარისხოვან პრობლემად, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის სხვადსხვა თეორიულ კონსტრუქციას ეკონომისტთა შორის არაერთი მხარდამჭერი ყავს, წერს პროფესორი ვ.პაპავა. [13. გვ. 29,30,42,46,52].

ა.სმითის დიდი დამსახურებაა „აბსოლუტური უპირატესობის“ პრინციპის ჩამოყალიბება, რომლის მიხედვით, ამა თუ იმ ქვეყანას ან პიროვნებას, სხვების მიმართ, გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა გარკვეულ საქმიანობაში, ამიტომ, მას უჯობს უპირატესად ეს საქმე აკეთოს და მისი შედეგით გამოვიდეს შრომის საზოგადოებრივ ან საერთაშორისო დანაწილებაში. მაგალითად, ნიკარაგუას აბსოლუტური უპირატესობა გააჩნია კანადასთან შედარებით ბანანის წარმოებაში, ვინაიდან კანადაში ბანანი არ იწარმოება. სამაგიეროდ, კანადას შეფარდებითი უპირატესობა აქვს ნიკარაგუასთან მარცვლეულის წარმოებაში, რადგან კანადაში მარცვლეულის მოყვანა ნაკლები დანახარჯებით შეიძლება. ადვოკატს აბსოლუტური უპირატესობა აქვს კომპიუტერზე მბეჭდავთან შედარებით იურისპრუნდენციაში, რადგან კომპიუტერზე მბეჭდავმა სამართალი არ იცის, სამაგიეროდ, ის ადვოკატთან შედარებით შეიძლება ნაკლები დანახარჯებით ბეჭდავს. ადვოკატი იურისპრუნდენციაში 1 საათის მუშაობისთვის 100 დოლარს იღებს, ხოლო მბეჭდავი ბეჭდვისთვის 10 დოლარს. ადვოკატს შეუძლია თავისი ტექსტი თვითონ დაბეჭდოს და 10 დოლარი დაზოგოს, მაგრამ 90 დოლარის დანაკარგი ექნება. ამიტომ, მას უჯობს 10 დოლარი



მბეჭდავს გადაუხადოს და ტექსტი დააბეჭდინოს.

ა.სმითის მიერ ჩამოყალიბებული აბსოლუტური უპირატესობის პრინციპი დღესაც გამოიყენება შრომის საერთაშორისო დანაწილებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ჰექშერ-ოლინის თეორია, რომლის მიხედვითაც ქვეყნებმა უნდა ისარგებლონ წარმოების ფაქტორით. განვითარებული ქვეყნები გამოდიან კაპიტალის ფაქტორით. განვითარებადი ქვეყნები (საქართველო) შრომის ფაქტორით, რიგი ქვეყანა (აზერბაიჯანი, კუვეიტი, ვენესუელა) – რესურსული ფაქტორით.

ამრიგად, ფართოა ა. სმითის შეხედულებების სპექტრი, რასაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. ა. სმითის აზრები ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიო გლობალური ფინანსური კრიზისის ასახსნელად და საშუალების გამოსანახად არა მარტო მისგან თავის დასაღწევად, არამედ მისადები, წესრიგიანი საზოგადოების ასაშენებლად. მის ნაშრომებში გაშუქებულია ისეთი ფუნდამენტური ცნებებიც, როგორცაა სამართლიანობა და მიუკერძოებლობა.

### **Adam Smith (1772-1823) – the Founder of Economic Science**

**J. Kharitonashvili**

Adam Smith was a founder of contemporary economic science. He is regarded to be one of the three most famous economists: A. Smith, K. Marx and J. Keynes. A. Smith contributed to development of economics as a science. A. Smith scientifically analyzed value, salary, profit, capital and other economic categories.

The idea of economic liberalism plays an important role in A. Smith's doctrines. He almost absolutely opposed government intervention in economics and considered that economic freedom was the base for economic policy. A. Smith insisted on fair competition and competitive struggle. He offered the idea of invisible hand.

A. Smith developed the principles of absolute advantage. According to this theory a country holds absolute advantage in some kind of

economic activities. Thus, this country should specialize in this activities.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. პ. სამუელსონი, უ. ნორდჰაუსი, ეკონომიკის, თბ., 1992;
2. კ.რ.მაკკონელი, ს.ლ.ბრიუ, ეკონომიკის, ნაწილი I, თბ., 1993;
3. რ. ჰეილბრონერი, ლ. ტუროუ, ეკონომიკა ყველასათვის, ლონდონი, 1991 (რუს.);
4. А. Сен, Адам Смит и современность, жур. «Вопросы экономики», №11, 2011;
5. ი. ქეჩახია, თეორიული ეკონომიკა, თბ., 1996;
6. К. Маркс, Нишета философии, К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 4, М., 1955;
7. ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ტომი I, თბ., 1938;
8. გ. თოდუა, ადამ სმითი და თანამედროვე ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2000;
9. Гж. Колодко, Неoliberalизм и мировой экономический кризис, жур. «Вопросы экономики», №3, 2011;
10. ს. პავლიაშვილი, საქართველოში ეკონომიკური კრიზისი გავლენა შედარებით ნაკლებად იგრძნობა, გაზ. „24 საათი“, №225, 18.10.2009;
11. ჯ. მიქლზუეთი, ამერიკის ახალი იმედი, ჟურნ. „მსოფლიო-2009“. The World in 2009;
12. რ. ბიუ, ცოტა ნელა, ჟურ. „მსოფლიო-2009“. The World in 2009;
13. ვ. პაპავა, არატრადიციული ეკონომიკის, თბ., 2011;
14. ა. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989;
15. ა. სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1996;
16. ვ. პაპავა, საბაზრო თანასწორობის დოქტრინა, თბ., 1999;
17. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008;
18. ე. მექვაბიშვილი, თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები, თბ., 2012.

**საქართველოში წარმოვაულნი  
ელექტროენერჯის საექსპორტო  
კოტენსიალი**

**გიორგი ლაღანიძე**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი**

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია ახალი სამუშაო ადგილების ფორმირება, რაც შეუძლებელია სამრეწველო წარმოებისა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული ტემპებით ზრდის გარეშე. მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქციის წარმოება, რომლის ექსპორტირება შესაძლებელი იქნება დიდი მოცულობით. ზოგადად, ექსპორტის ზრდა უნდა იყოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. ექსპორტის ზრდა, რომ ახალი საექსპორტო პროდუქტების გარეშე შეუძლებელია, აქსიომატურ ჭეშმარიტებათა რიცხვს მიეკუთვნება. ახალი საექსპორტო პროდუქტების ძიებაში, ბოლო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლება აქცენტს ინვესტორისათვის განსაკუთრებული პირობების შექმნაზე აკეთებდა. ამ მიდგომაში მალე დაგვანახა, რომ ისეთი ფუნდამენტალური საკითხების, როგორცაა ქვეყნის განვითარების პოლიტიკური ვექტორების უცვლელობა, უსაფრთხოების გარანტიები - გადაწყვეტის გარეშე ეს მიდგომები სწრაფ და ხელშესახებ ვეფქტს არ მოიტანდა. ამდენად გარკვეული ხნის წინ დაუბრუნდით ტრადიციულ, კონკურენტულ უპირატესობაზე დაფუძნებულ მიდგომას.

უდავოა, რომ რეალური კონკურენტული უპირატესობა ნებისმიერი განვითარების სტრატეგიის ფორმირების საფუძველია. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი პროდუქციის

გამოვლენა, სადაც საქართველოს ექნება კონკურენტული უპირატესობა. ამ საკითხის განხილვისას არ უნდა გამოგვრჩეს ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტი, როგორცაა ამ ეტაპზე ამ პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტირების მაჩვენებლები. ეკონომიკურ ლიტერატურაში ამ ტიპის მაჩვენებლად მიჩნეულია გამოვლენილი კონკურენტული უპირატესობის და ლა-ფაიეს ინდექსები. ეს ინდექსები კარგად ზომავენ არსებული საექსპორტო პროდუქციის რეალურ კონკურენტულ მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, თუმცა ნაკლებადაა ორიენტირებული უკვე არსებული საექსპორტო პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტირების ინტენსიფიცირებაზე, ან ახალი საექსპორტო პროდუქტების გამოვლენაზე. სწორედ ამ ინდექსებს იყენებს საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, ცალკეული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შეფასებისათვის.

ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, განვითარების სტრატეგიის საფუძველი უნდა იყოს კონკურენტული პროდუქცია, პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ პროდუქციას, რომლის რესურსიც საქართველოში საკმარისად ბევრია. ცხადია, ამ ფონზე, რეალურია ელექტროენერჯის, განსაკუთრებით კი ჰიდროენერჯის წარმოების პერსპექტივები. მართლაც, ძალიან დიდია საქართველოს ჰიდროენერჯის წარმოების პოტენციალი.

თუმცა, თუ უახლოეს ისტორიას გადავხედავთ, ელექტროენერჯის საგარეო ვაჭრობის ბალანსი (ექსპორტს მინუს იმპორტი) მხოლოდ 2007 წელს გახდა დადებითი.

2010 წელს ელექტროენერჯის ექსპორტმა შეადგინა 36537.0 ათასი აშშ დოლარი, რაც საქართველოს მთელი ექსპორტის 2,3% იყო, ხოლო მსოფლიო ელექტროენერჯის ექსპორტის - 0,11%; 2009 წელს ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად იყო 20077.0, 1,77% და 0,06%. 2011 წელს: 38976.0 ათასი აშშ დოლარი, 1,4% და 0.1%. 2012 წელს საქართველოს

**მენეჯმენტი. მარკეტინგი. ბუჩიზმი**

კვლავ უარყოფითი ბალანსი აქვს: ელექტროენერჯის ექსპორტმა შეადგინა 17 422,2 ათასი აშშ დოლარი, რაც შეადგენს 2012 წლის საქართველოს მთლიანი ექსპორტის 0,7%-ს.

განვიხილოთ ეს მაჩვენებელი წლების მიხედვით (იხ. ცხრილი 1)

საქართველოს ელექტროენერჯის საგარეო  
ვაჭრობის ბალანსი (ათას აშშ დოლ.)[1]  
ცხრილი 1

წლები	ბალანსი
2000	-7606.4
2001	-2465.3
2002	-10541.3
2003	-19788.7
2004	-30719.3
2005	-34388.4
2006	-18864.7
2007	5221.9
2008	-1785.3
2009	9957.7
2010	23458.9
2011	8248.0
2012	-20132.0

რა განაპირობებს ელექტროენერჯის ექსპორტის თავისებურებებს, რა ახდენს ზეგავლენას მსოფლიო განვითარების ტრენდებზე? ცხადია, რომ ელექტროენერჯის მოხმარება არ შემცირდება, რაც არ უნდა ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიები გამოვიყენოთ. ელექტროენერჯის მოხმარება მუდმივად მზარდი ტრენდით იქნება წარმოდგენილი. ელექტროენერჯის ერთ გარკვეულ რეგიონში ჭარბი წარმოება, გეოგრაფიულად დაშორებულ, ხმელეთით არადაკავშირებულ რეგიონებში დეფიციტს ვერ აღმოფხვრის. ელექტროენერჯის წარმოება და მოხმარება ერთდროული პროცესია და ამდენად მისი მიწოდება ტექნოლოგიურად საკმაოდ რთულია. თავისთავად

## ბიორგი ლაღანიძე

ცხადია, საქართველოს შემთხვევაში, ელექტროენერჯის ექსპორტის თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საქართველოს სახმელეთო მეზობლების ელექტროენერჯით ვაჭრობის ბალანსი. (იხ.ცხრილი 2)

ელექტროენერჯით ვაჭრობის ბალანსი (ათას აშშ დოლარში) [2]

ცხრილი 2

წელი	რუსეთი	თურქეთი	სომხეთი	აზერბაიჯანი
2010	985894.0	160683.0	20614.0	11580.0
2009	594298.0	122437.0	-1397.0	22813.0
2008	930478.0	57812.0	-1332.0	16836.0
2007	430675.0	147287.0	-2503.0	-13743.0
2006	588023.0	105366.0	+8703.0	-37146

როგორც ცხრილის მონაცემები ადასტურებს, საქართველოს სახმელეთო მეზობლებს უახლოეს პერიოდში ელექტროენერჯის დეფიციტის პრობლემა არა აქვთ, თუმცა, გასათვალისწინებელია ასევე ელექტროენერჯის წარმოებისა და მოხმარების სეზონური თავისებურებები, ანუ სავსებით დასაშვებია, რომ ერთ გარკვეულ პერიოდში კონკრეტული ქვეყანა ახდენდეს ელექტროენერჯის ექსპორტს, ხოლო სხვა სეზონში იმპორტს. ამ პრაქტიკას საქართველოც მიმართავს და ამდენად შესაძლებელია არსებობდეს ელექტროენერჯის სახმელეთო მეზობლებზე ექსპორტის გარკვეული პოტენციალი. ასევე, შესაძლებელია, არა სახმელეთო მეზობლებზე ექსპორტი. ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნეს რამდენიმე პირობა: მიმდები ქვეყანა არ უნდა იყოს ძალიან დაცილებული ექსპორტიორ ქვეყანას, ქვეყნებს შორის არსებული გადაამცემი ხაზები უნდა პასუხობდეს საჭირო ტექნიკურ მოთხოვნებს, ქვეყნებს შორის არსებულ სატრანზიტო ქვეყნებში

უნდა იყოს პოლიტიკური სტაბილურობა და ზოგადად ამ ქვეყნებს უნდა ქონდეთ კარგი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები.

2010 წელს, საქართველოს მთავრობა საკმაოდ ფართო პროპაგანდას უწევდა საქართველოდან ხორვატიაში ელექტროენერჯის ექსპორტს. თავისთავად ეს ფაქტი ძალიან დადებითია და აჩვენებს, რომ ზემოთაღნიშნული პირობების შემთხვევაში, ელექტროენერჯის ექსპორტი, საკმაოდ დაცილებულ მანძილებზეც შეიძლება განხორციელდეს. ხორვატია, შესაძლებელია ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო პარტნიორი აღმოჩნდეს, კერძოდ, 2010 წელს ხორვატიის ელექტროენერჯის საგარეო ვაჭრობის ბალანსი დეფიციტური იყო -337115.0 ათასი აშშ დოლარი, შედარებისათვის, იმავე პერიოდში საბერძნეთის ანალოგიური მაჩვენებელი იყო -156352.0 ათასი აშშ დოლარი.

ყოველივე აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ელექტროენერჯის როგორც საექსპორტო პროდუქტის განვითარებას, გარკვეული პერსპექტივა გააჩნია;

2. ამ პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული არა მხოლოდ საწარმოო დანახარჯებზე, არამედ სატრანზიტო ქვეყნებთან შეთანხმებებზე;

3. კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში მიწოდებისას უნდა გავითვალისწინოთ მიმღებ ქვეყანაში მოქმედი ტარიფების თავისებურებები და ტექნიკური სირთულეებიდან გამომდინარე (უფრო შორი მანძილიდან მოწოდება) აქცენტი ავიღოთ უფრო დაბალ ფასებზე. სამწუხაროდ ამ პროდუქციაში უფრო მაღალი ხარისხით კონკურენცია გამოირიცხულია;

4. მიწოდება გაცილებით უფრო მოწვლადია, ვინაიდან მწარმოებელი და მიმღები ქვეყნების კლიმატურ პირობებს ემატება სატრანზიტო ქვეყნებში კარგი კლიმატური პირობების აუცილებლობა.

ყველა ეს პირობა, ცხადია, არ იძლევა ცალსახად დადებით სურათს და არ გვაძლევს ძალიან სანუგეშო პროგნოზს, თუმცა, ამ მიმართულების განვითარება ზოგადი ტენდენციიდან (ელექტროენერჯის მოხმარების მზარდი ტენდენცია) გამომდინარე აუცილებელია.

განვიხილოთ ელექტროენერჯის როგორც ექსპორტის ხელშემწყობი პირობის, განვითარების შესაძლებლობები.

ა) ელექტროენერჯია, როგორც საერთო რესურსი. ქართველი ექსპორტიორების, განსაკუთრებით სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელი კომპანიებისათვის, უმწვავესია საფასო კონკურენციით ბრძოლა. სამრეწველო პროდუქციის მწარმოებლებისათვის ტარიფის დაწვევა ან სეზონური ტარიფის შეთავაზება ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული იქნება პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებისათვის, დანახარჯების შემცირებისათვის და შესაბამისად, ეს ხელს შეუწყობს ექსპორტის ზრდას. მიზანშეწონილია ეს საკითხი განვიხილოთ იქნეს კომპლექსში სხვა საკითხებთან ერთად, კერძოდ, იმ სფეროებში, სადაც ასევე არსებობს სხვა ბუნებრივი პოტენციალი. მაგ. სამშენებლო მასალების წარმოება, სადაც საქართველოს აქვს ობიექტური უპირატესობები. თუ ამ საკითხს განვიხილავთ იაფი ელექტროენერჯის მიწოდების გათვალისწინებით, საწყის ეტაპზე საკმაოდ მიმზიდველი პერსპექტივა გამოჩნდება:

ბ) ელექტროენერჯია, როგორც სპეციფიური რესურსი. ამის ნათელი მაგალითია ნებისმიერი მეტალბის დნობის ტექნოლოგიები, სადაც აღნიშნული დნობა ელექტროდუმელებში ხორციელდება. აქ ელექტროენერჯია უკვე ხდება კონკურენტული უპირატესობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია გამოინახოს ძალიან ენერგოტევადი ტექნოლოგიები, რითაც წარმოებულ პროდუქციას მიენიჭება უპირატესობა. ცხადია, ელექტროენერჯიაზე მხოლოდ დაბალი ტარიფით გართულებდა ინ-



ვესტორთა დაინტერესება, შესაძლებელია განხილული იქნეს დაბალი ტარიფი ელექტროენერგიაზე და სპეციალური საგადასახადო შეღავათების ერთობლივი გამოყენების მექანიზმები. ამ შემთხვევაში, ძალიან მნიშვნელოვანია განისაზღვროს ამ ტიპის შეღავათების მინიჭების შემდეგ რა ეფექტს მიიღებს საქართველო. როგორც წესი, ტექნოლოგიები, რაც ენერგოტექვადია, მოითხოვს მაღალკვალიფიცირებულ მუშახელს, საკმაოდ მცირე რაოდენობით. ასეთ შემთხვევებში უნდა განისაზღვროს როგორც პირდაპირ ამ წარმოებებში დასაქმებულთა რაოდენობა, ასევე სხვა სფეროებში ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პერსპექტივა;

გ) ელექტროენერჯის მოხმარების ზრდა იმ დარგებში, რომლებიც ხელს უწყობს მომსახურების ექსპორტს ან რეექსპორტს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის იმ ობიექტების განვითარება, რომლებსაც ელექტროენერგია დიდი რაოდენობით ჭირდება. ასეთია საზღვაო პორტების და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარება.

დავიწყოთ სარკინიგზო ინფრასტრუქტურით. ალბათ არაეინ არ ეწინააღმდეგება საქართველოსა და თურქეთის რკინიგზების დაკავშირების იდეას, ვინაიდან ამ პროექტის დასაველეთის და აღმოსაველეთის სარკინიგზო დაკავშირებას პოზიტივის გარდა არა აქვს სხვა დატვირთვა. თავისთავად ცხადია, რომ ტვირთების უზარმაზარი ნაკადების მოძრაობა ორივე მიმართულებით, ქმნის საქართველოსათვის უნიკალურ შესაძლებლობას გახდეს რეგიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო ჰაბი. ამ შემთხვევაში აუცილებელია თანამედროვე მაღალტექნოლოგიური სასაწყობო მეურნეობის განვითარება, რომელიც დიდი ოდენობით ელექტროენერჯიას მოიხმარს. აქვე უნდა აღინიშნოს საქართველოს ახალი ხელისუფლების ინიციატივები აფხაზეთის რკინიგზის გახსნაზე. განვიხილოთ ამ წინადადებების წმინდა ეკონომი-

კური ასპექტები. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში დასავლეთი-აღმოსავლეთი სარკინიგზო ფუნქციას ემატება ჩრდილოეთი-სამხრეთი მარშრუტების რეალური გატარების შესაძლებლობა. ეს კი, უკვე საქართველოს, რეგიონული მნიშვნელობის სატრანსპორტო ჰაბიდან გადააქცევს მსოფლიო მნიშვნელობის სატრანსპორტო ჰაბად.

ამავე ასპექტით უნდა განვიხილოთ საზღვაო პორტების თემა. ამჟამად არსებული საზღვაო პორტები ემსახურება დასავლეთი-აღმოსავლეთი და პირუკუ სატრანსპორტო მიმართულებებს. აქედან აღმოსავლეთი-დასავლეთის მიმართულებაზე ყველაზე მნიშვნელოვანია ნავთობპროდუქტები, ხოლო დასავლეთი-აღმოსავლეთის მიმართულებაზე - გაბარიტული სამრეწველო პროდუქცია. აღნიშნული პორტები დარჩება ამ მიმართულების მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის ობიექტებად. ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებაც მსჯელობს კიდევ ერთი საზღვაო პორტის აუცილებლობაზე. ხაზი ესმება მხოლოდ ერთ პარამეტრს, რომ პორტი უნდა იყოს ღრმა, ანუ მაღალი წყალწვევის ტანკერებს უნდა შეეძლოს ადვილად შემოსვლა. თუ ამ საკითხის წმინდა ეკონომიკურ ასპექტს განვიხილავთ, ეკონომიკური ლოგიკა ძალზე ადვილი წარმოსადგენია: პროდუქციის დიდი რაოდენობით შემოტანა ამცირებს ერთეულის გადაზიდვის ხარჯებს, რაც გლობალიზაციის პირობებში ერთიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურების განვითარების ძირითადი სტიმულია. თავის მხრივ, ეს უნდა გახდეს კიდევ ერთი ძალიან სერიოზული სტიმული საქართველოში სატრანსპორტო ჰაბის ჩამოყალიბებისათვის.

ცალკე უნდა განვიხილოთ სატრანსპორტო ჰაბის უპირატესობის გამოყენება ამწეობი წარმოების განვითარებისათვის. ყველა ტიპის მაკომპლექტებელი დეტალების არსებობა ძალიან კარგ ფონს ქმნის ამწეობი წარმოების განვითარებისათვის. ამ ტიპის წარმოებების საერთო დან-

ახარჯებში ელექტროენერგია არ იკავებს მაღალ ხვედრით წილს, თუმცა მისი სიიაფე ხდება დამატებითი სტიმული კონვეიერული ამწეობის წარმოების განვითარებისათვის. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნის შესაძლებლობას.

შეჯამებისათვის, ალბათ, მნიშვნელოვანია ყველა ასპექტის გათვალისწინება. ელექტროენერგიის წარმოებას ცალსახად უნდა მივანიჭოთ პრიორიტეტი. თავისთავად ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ძალიან მნიშვნელოვანია დასაქმების ზრდის მიმართულებით. შესაძლებელია ჰიდრო ელექტროსადგურების მშენებელი და შემდეგ ოპერატორი კომპანიებისათვის გათვალისწინებულ იქნეს საგადასახადო შეღავათები, რაც ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვს გაზრდის და დადებითად აისახება დასაქმების ტრენდებზე. მაქსიმალურად უნდა იქნას გათვალისწინებული მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში სატრანზიტო პირობები. ელექტროენერგიის მიწოდების თავისებურებების გათვალისწინებით ამან მნიშვნელოვნად არ უნდა გააძვიროს ელექტროენერგია, რომელიც წარმოებულა საქართველოში და მიეწოდება მაგ. სამხრეთ ევროპას.

მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ, და პირველ რიგში, აღმასრულებელმა, გამოთქვას მზადყოფნა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტებისათვის სპეციალური ტარიფების დაწესების შესახებ. ასევე განხილული იქნეს სეზონური ტარიფების ამოქმედების შესაძლებლობა ამავე ობიექტებისათვის. ამდენად, პოტენციურ ინვესტორებს გაუჩნდებათ განცდა, რომ სერიოზული საინვესტიციო პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ხელისუფლება მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მათ და ამავდროულად ტარიფების დიფერენცირება და სეზონურობა გამყარებული იქნება საკანონმდებლო დონეზეც.

## Export Potential of the Electrical Energy Produced in Georgia

G. Gaganidze

In the scientific paper the author analyzes the export potential of Georgia for the electrical energy. Demand from the Georgia's neighboring countries for this product is analyzed. The opportunity to increase the production of electrical energy and thus create favorable conditions for production of other export-oriented products is also evaluated. The author is trying to identify what type of strategic decisions should be made in order to increase the competitiveness of the electrical power generation sector.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია, <http://www.geostat.ge>
2. საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი, ITC, <http://www.intracen.org>

**„ტალანტი – მენეჯმენტი“ – ალამიანის  
პოტენციალის მართვის აქტუალური  
მიმართულება**

**ეკატერინე ბულუა,  
ეკონომიკის დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი**

სოციალური სისტემების წარმატება ცალსახად დეტერმინებულია ადამიანური რესურსების სწორად წარმართვით. თითქოს, ერთი შეხედვით, მარტივი მტკიცებულება აქტუალურობას არ კარგავს, მუდმივი განსჯის ობიექტია, თუ როგორ მოხერხდეს ამ პოსტულატის განივთება რეალურ სამყაროში, სადაც გადაულახავია უმუშევრობა, სიღარიბე და უკეთეს შემთხვევებში, მთელი სიმძაფრით წარმოჩინდება თვითრეალიზების, თუ სამუშაოთი კმაყოფილების ტოტალური ნაკლებობა. კაცობრიობის ჰუმანიზაცია მსგავსი ტიპის კოლაფსებთან არათავსებადია. თვითკრიტიკულმა ინტელექტმა ვერ უნდა აიტანოს რესურსების უკმარისობის პირობებში ასეთი „გაჟონვები“, აღიაროს ეს ჩამორჩენილობა და მეტად განვითარდეს, მოძებნოს გზები, რათა მიღწეული იქნეს კაცობრიობის უმთავრესი მიზანი და შედეგი – ადამიანი მისი პოტენციალის საუკეთესო გამოვლინებებით.

პოტენციალის მართვის რაკურსები, მიზნის შესაბამისად, განსხვავებულ მიმართულებებს იძენს. პოტენციალი არის ფარული არარეალიზებული, გამოუყენებელი რესურსების ერთობლიობა, რომელიც განვითარების და მართვის შემთხვევაში, შესაძლოა გახდეს გამოსადეგი და წარმატების წყარო. პიროვნების, ორგანიზაციის, ქვეყნის წარმატების საწინდარი რესურსების ოპტიმალური გამოყენებაა. რესურსებში მოიაზრება: სამეწარმეო უნარი, ადამიანური რესურსები, შრომა, ინ-

ფორმაცია, კაპიტალი, ტექნოლოგია, მიწა. თუმცა, ამ რესურსებიდან, მიწის გარდა, ყველა ადამიანისეულია. ამავე დროს, ადამიანი (მისი თვისებები, უნარები) არის ყველა რესურსის გამოყენების წინაპირობა შესაბამისად, აქტუალურია ადამიანის ფარული თუ აშკარა უნარების გამოვლენა, ინტელექტის, ტალანტის, პოტენციალის გამოყენების წარმატებასთან პირდაპირი კორელაციის გამო. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებებიდან აქტუალურია: პიროვნების ტალანტის შეფასება და მისი მართვის მეთოდოლოგიის შემუშავება—დანერგვა; წარმატებისა და ტალანტის მართვის, ტალანტის და ინტელექტის ურთიერთმიმართების საკითხების გარკვევა.

ტალანტის მართვის სისტემა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთჯერადი, მხოლოდ მიკროჯგუფებზე განვრცობადი პროცესი. ის უნდა აღვიქვათ როგორც ერთიანი პროცესი, რომელიც თავის მთლიან ეფექტურობას და ეფექტიანობას აღწევს მაშინ, როცა დანერგილია სამ განზომილებაში:

- ინდივიდის დონეზე – ეს არის საკუთარ თავში ტალანტების შეფასება, გამოვლენა, მართვა. შესაბამისი მეთოდოლოგიის შემუშავება, მის გამოყენებაში დახმარება, თვითდაკვირვება, თვითგამოკვლევა, რაც ამ სფეროში განსაკუთრებით აქტუალურია, ობიექტის სირთულიდან გამომდინარე.

- მიკროდონეზე – ორგანიზაციაში, ინსტიტუციებში მომუშავეთა ტალანტების შეფასება, გამოვლენა, სტიმულირება, განვითარება, ასევე ტალანტების მოზიდვა და დამაგრება. მაგალითისთვის, ბიზნესისადმი პრაგმატული მიდგომების ინტერესშია ყველაზე ძვირადღირებული – ადამიანური რესურსის რეალური ღირებულების (Employee Value Proposition – (EVP)) – მასზე დანახარჯებისა და მისგან მიღებული სარგებლის თანაფარდობის – დადგენა ხანგრძლივადიან პერიოდში. აქ იკვეთება ადამიანური რესურსების მართვის წმინდა ემპირიული მიდგომებიც. სქემა 1–ზე [1] წარმოდგენილია ტალანტის მართვის ციკლი, რომლის გამოყენება სამივე დონეზე მეტნაკლებად შესაძლებელია.

• მაკროდონეზე ეს არის ქვეყანაში ყოველი ადამიანის ტალანტის გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობის სისტემის მუდმივი ფუნქციონირება.



თითოეულ დონეზე ტალანტების მენეჯმენტს ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა და სირთულე, რაც განსაკუთრებულ მიდგომებს საჭიროებს. თუმცა, შედეგი სწორი სტრატეგიის შემთხვევაში თვალშისაცემია – ტალანტის მართვა იძლევა საფუძველს გამოვლინდეს, გაიზარდოს და ათვისებული იქნეს ყველა პოტენციალი, რაც ზოგადად ეფექტიანობის მიღწევის მთავარი წინაპირობაა.

ასეა, რომ მიმდინარე გამოწვევები საჭიროებს სათანადო საპასუხო ქმედებებს – ტალანტების მართვის საჭიროების გაცნობიერებას, სტრატეგიების შემუშავებას, დანერგვას. თუ გავერკვევით უფრო სიღრმისეულად ტალანტის არსში, აღმოვაჩინოთ საკითხის სირთულეს. ტალანტი არის პიროვნების ბუნებრივი მიდრეკილება ან უნარ-ჩვევა. მისი სინონიმია ნიჭი, ნიჭიერება. ამის შესახებ მეცნიერთა შეხედულებები გან-

სხვაგვებუღია. ძირითადად მიიხნევა, რომ ის არის ბუნებით მიმადლებული, მინიჭებუღი, ობიექტურად არსებუღი. ანალოგიურად, ნიჭიერის ინგლისურ შესატყვისს – „Talented“–ს აქვს სინონიმი – „დასახუქრებუღი“ – “Gifted”. მეცნიერთა ნაწიღი კი მიიხნევს, რომ მისი „შეძენა“, „გამომუშავება“ შესადლებულია. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ნიჭი აუცილებლად ვღინდება ყვეღა შემთხვევაში, ამიტომ, არანაკლებ მნიშვნელოვანია ტადანტის შეფასება-გამოვლენა-განვითარება-გამოყენება, ანუ მართვა. ტადანტის მართვის მეთოლოლოგია გარკვეულწიღად შესწავლიღია, თუმცა, დღემდე კვლევის ობიექტია მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიერ და მიიხნევა, რომ ამ მხრივ სიზუსტისგან კაცობრიობა ჯერ კიდევ შორსაა და ხშირად იცვღის გეზს. კვლევებს ართულებს ხანგრძლივადიან პერიოდში დაკვირვების აუცილებლობა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კვლევის ობიექტის განსხვავებუღობა, თვითდაკვირვების შემთხვევაში კი – სუბიექტივიზმის არსებობა.

ნიჭიერების შესაფასებლად დღესაც გამოიყენება ინტელექტუალური ასაკის ბიოლოგიურ ასაკთან შეფარდების ანალიზი, თუმცა სხვადასხვა ასაკში და პირობებში ეს კოეფიციენტი არადეკვატურია. პიროვნების ნიჭიერად შერაცხვის კრიტერიუმებიც ასევე იცვლება. ხშირად, ბავშვები, რომელთაც აქვთ ხანმოკლე ბავშვობა – ადრეულ ასაკში ბრძენდებიან, რომლებიც განვითარებით უსწრებენ თანატოლებს, მოზრდილ ასაკში არაფრით გამოირჩევიან მათგან, თუმცა არსებობენ გამონაკღისებიც. ამასთან, არის საწინააღმდეგო შემთხვევები: არაფრით გამორჩეული ბავშვები ან მოზარდები, რომლებიც არ ავღენენ განსაკუთრებულ ტადანტს, ზრდასრულ ასაკში აღწევენ გასაოცარ წარმატებებს. მიიხნევა, რომ მათ ვისაც რთული აზროვნება აქვთ, ბავშვობა უხანგრძლივდებათ, რადგან მეტ დროს მოითხოვს „რთული ტვინის“ გამოყენების შესწავღლა, თუმცა, არც ეს თეორია ამართლებს ყვეღა შემთხვევაში. ნიჭიერად მიხნეულ მოზარდთა სტატისტიკურ უმრავღესობაზე დაკვირვებით მეცნიერები თანხმდებიან, რომ ყოველგვარი გადახრა ნორმალური პარამეტრებისგან, დარღვევაა და



სერიოზულ მეთვალყურეობას საჭიროებს. მაგალითად, გამოვლენილია, რომ „ვერბალისტები“ (სწრაფი და ბევრი საუბრისკენ მიდრეკილება), „ერუდისტები“ (ინფორმაციისა და უნარ-ჩვევების დამახსოვრების უნარი) ხშირ შემთხვევაში „ცრუ“ ინტელექტუალები არიან, ან ამ უნარის უკან შესაძლოა იმალებოდეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი, „ნამდვილი“ ნიჭი და ვერ გამოვლინდეს ყურადღების სხვა მიმართულებით გადატანის გამო. ამავე დროს, არსებობენ „მიძინარე ვარსკვლავები“ – ფარული ნიჭის მქონენი, რომელთა გამოვლენა პიროვნების, ოჯახის, განათლების სისტემის, ქვეყნის მნიშვნელოვანი ფუნქციაა. დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყოველ ბუნებრივად, ნორმალურად განვითარებად (ჯანმრთელ) ადამიანს აქვს ერთი ან მეტი მიდრეკილება. ასეთ შემთხვევებში უნიჭობის გამოვლენა მიიჩნევა როგორც აღზრდის მარცხი. ასევე ხშირად აქვს ადგილი ტალანტის არასტაბილურ გამოვლინებებს. ადამიანები თანაბარზომიერად არ ავლენენ ტალანტს. ხშირია შემთხვევა, როცა ერთი შეხედვით „საშუალო ტალანტი“ ავლენს საოცარ „გაბრწყინებას“ და პირიქით, „კაშკაშა ვარსკვლავები“ მოკლე ან ხანგრძლივი დროით განიცდიან რეცესიას. ზოგიერთის „ტალანტი“ კი საშუალო, თანაბარზომიერი ქმედითობის უნარით ვლინდება.

ტალანტის ცნება მჭიდროდ უკავშირდება ინტელექტის ცნებას, რამდენადაც თვით ინტელექტის გაგება ძალიან გაფართოვდა.

ინტელექტი განმარტებულია როგორც პიროვნების შესაძლებლობა შეიძინოს და გამოიყენოს საკუთარი რესურსები (თვისებები, ცოდნა, უნარ-ჩვევები). ზოგადად, ის განიხილება როგორც დასწავლის, პრობლემის დასმისა და გადაწყვეტის უნარი.

არსებობს ხისტი მიდგომებიც – გამოუყენებელი ნიჭი ეს არის პოტენციური შესაძლებლობა, თუმცა, ეს არ არის ტალანტი. ტალანტი არაფერია მისი გამოყენების უნარის გარეშე. გრეგორი გურჯიევი, ცნობილი ფილოსოფოსი, საფრანგეთის ადამიანის ჰარმონიული განვითარების ინსტიტუტის

დამაარსებელი, მიიხნევს, რომ ადამიანი არ რეალიზდება მისი თანაბარზომიერი, ჰარმონიული, სულიერი, ფიზიკური და ემოციური განვითარების გარეშე, რომელიც სამ საფეხურში გამოვლინდება. ესენია: ინდივიდუალური განვითარება, გუნდთან მუშაობის უნარი და სისტემის შექმნისა და მართვის უნარი [2, გვ. 21].

ცნობილი ფსიქოლოგი აიზენკი [3, გვ. 227] (Hans Jürgen Eysenck) განასხვავებს ბიოლოგიურ, ფსიქომეტრულ, სოციალურ ინტელექტს.

**ბიოლოგიური ინტელექტი (ინტელექტი A)** ნეირო-ფიზიოლოგიური და ბიო-ქიმიური ფაქტორების გავლენით ყალიბდება, დაკავშირებულია ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქთან. ის გენეტიკურად დეტერმინებულია და წარმოადგენს ინდივიდისთვის დამახასიათებელი ფუნქციონირების ბიოლოგიურ ბაზას.

**ფსიქომეტრული ინტელექტი** იზომება ინტელექტუალური ტესტებით, დეტერმინდება, როგორც ბიოლოგიურ ინტელექტით, ასევე სოციალურ-კულტურულ ფაქტორებით.

**სოციალური ინტელექტი (ინტელექტი B)** მოიცავს ინტელექტი A-ს, დაკავშირებულია პიროვნების უნართან მოახდინოს ინტელექტის სოციალიზაცია.

ინტელექტის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ჰოვარდ გარდნერის (Howard Gardner (1983, 1993)), რობერტ სტერნბერგის (Robert Sternberg (1988, 1997)), დევიდ პერკინსის (David Perkins (1995)) ნაშრომები. ზოგადად ინტელექტი განიხილება როგორც:

**დასწავლის უნარი** – ნიშნავს ფორმალური და არაფორმალური სწავლის, გამოცდილების, განათლების მიღების უნარს

**პრობლემის დასმის უნარი** – გულისხმობს პრობლემური სიტუაციის შეცნობის და ნათლად დეფინიცირების უნარს

**პრობლემის გადაწყვეტის უნარი** – მოიცავს ამოცანების დასმას, პროდუქტის შექმნას, რთული პროექტების განხორციელებას.

**პოვარდ გარდნერმა** [4, გვ. 8] შეძლო ინტელექტის რვა სახესხვაობის იდენტიფიცირება:

**1.ლინგვისტური ინტელექტი (Linguistic)** – სიტყვების ეფექტურად გამოყენების უნარი, როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით;

**2.ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი (Logical-mathematical)** – კალკულირების, გაზომვის და რთული მათემატიკური ოპერაციების შესრულების უნარი;

**3.სივრცული ინტელექტი (Spatial)** – სამყაროს და მისი გარდაქმნების ვიზუალურად ზუსტად აღქმის უნარი.

**4.განხეულეზულ-კინეტიკური ინტელექტი (Bodily-kinesthetic)** – იდეების, გრძნობების, შესაძლებლობების გამოხატვა სხეულის გამოყენებით და შეფასების უნარი აღდგენისა თუ ტრანსფორმირებისთვის;

**5.მუსიკალური ინტელექტი (Musical)** – მუსიკალური ფორმების აღქმის, ჩაწვდომის, განსხვავების, ტრანსფორმირების, გამოხატვის შესაძლებლობა;

**6. ინტერპერსონალური ინტელექტი (Interpersonal)** – ადამიანის უნარი აღიქვას, შეიცნოს, განასხვავოს სხვა ადამიანების განწყობა, ზრახვები, მოტივაცია, გრძნობები;

**7.ინტრაპერსონალური ინტელექტი (Intrapersonal)** – საკუთარი თავის შეცნობის და მის საფუძველზე ადაპტირების უნარი;

**8.ნატურალისტური ინტელექტი (Naturalistic)** – ბუნების, ცხოველთა ქცევების, არქეოლოგიის და ანთროპოლოგიისადმი ინტერესი და მათი შეცნობის უნარი.

**რობერტ სტერნბერგმა** [5, გვ. 504-528] ინტელექტის სამი სახეობა განასხვავა:

**პრაქტიკული ინტელექტი (Practical intelligence)** – ფორმალური და არაფორმალური განათლების ჩამოყალიბების უნარი, გარემოში ადაპტირების უნარი;

**ემპირიული, ცდისეული ინტელექტი (Experiential intelligence)** – უნარი გაუმკლავდეს ახალ სიტუაციებს, ახალ სიტუაციებში მოახდინოს ავტომატური ადაპტაცია, უნარი იფიქროს ახალ გზებზე;

**კომპონენტური ინტელექტი** (Componential intelligence) – ინფორმაციის დამუშავების უნარი: მეტაკოგნიტური, შესრულების, წარდგენის, ცოდნის შექმნის უნარი, უნარი უხელმძღვანელოს კოგნიტურ პროცესებს.

**დევიდ პატრიკსა** [6, გვ. 121-227] კვლევებით დაასაბუთა, რომ შესაძლებელია ინტელექტის გაუმჯობესება, გადახადისება ცოდნის გადაცემის, კოგნიტური უნარების დაუფლების საფუძველზე. მან გამოყო ინტელექტის სამი სახეობა:

**1. ნერვული ინტელექტი** (Neural intelligence). ნევროლოგიკური სისტემის ეფექტურობა და სიზუსტე. ის შესაძლოა იყოს როგორც თანდაყოლილი, გენეტიკური, ასევე შექმნილი. შესაბამისად, შესაძლებელია მისი გაუარესება, ან გაუმჯობესება;

**2. ცდისუფლი, ემპირიული ინტელექტი** (Experiential intelligence) – აკუმულირებული ცოდნა და გამოცდილება, განსხვავებულ გარემოში მიღებული გამოცდილებები. ის შესაძლებელია იყოს გააზრებული როგორც ყველა გამოცდილების აკუმულირება. ემპირიული ინტელექტი იზრდება, მდიდრდება გამოცდილების მიღების კვალდაკვალ;

**3. გონებრივი ინტელექტი** (Reflective intelligence) – აღიქმება როგორც კონტროლის სისტემა, იძლევა ნერვული და ემპირიული ინტელექტის სწორად გამოყენების საშუალებას, მოიცავს პიროვნების პრობლემებთან გამკლავების, სწავლების, რთული ამოცანების გადაწყვეტის სტრატეგიებს, დამოკიდებულებებს, რომელიც აძლიერებს სიმტკიცეს, სისტემატიზაციის უნარს. მოიცავს თვით-მონიტორინგს და თვით-მენეჯმენტს. აზროვნების ჩვევები შესაძლებელია იქნეს დასწავლილი და გაუმჯობესდეს.

მიუხედავად მრავალი დეფინიციისა, თანამედროვე მენეჯმენტი ინტელექტს განიხილავს ბაზისური ინტელექტის, ემოციური ინტელექტის და სოციალური ინტელექტის ჭრილით. ამ მიმართულებით კვლევას ჩარლზ დარვინმა ჩაუყარა საფუძველი, რომელიც სწავლობდა ინტელექტის კოგნიტურ ასპექტებს, დამახსოვრების და პრობლემის გადაწყვეტის უნარებს.

ემოციური ინტელექტი დღეისათვის ასოცირდება **დენიელ გოლმენის** [7, გვ. 253] ( ანიელ ოლემან) თეორიებთან. ის მოიცავს თვითშემეცნებას, თვითკონტროლს, თვითრეგულაციას, მოტივაციას, ემპათიას და სოციალურ უნარ-ჩვევებს.

**ედუარდ თორდაიკმა** (Edward Lee Thorndike) არაკოგნიტური ინტელექტის გამოსახატად გამოიყენა ტერმინი სოციალური ინტელექტი – ესაა უნარი მოახდინო საკუთარი უნარების სოციალიზაცია, გაიგო და მართო სხვა ადამიანების უნარები. სოციალური ინტელექტი განიხილება როგორც ინტელექტის უმაღლესი დონე.

გავრცელებულია, აგრეთვე, ინტელექტის დონეებად დეფინიცირება. გამოყოფენ ინტელექტის პირველ დონეს, იგივე ბაზისურ ინტელექტს, რაც დასწავლით, დამახსოვრებით მიიღება და აისახება ინტელექტუალურ კოეფიციენტში, ანალიტიკური აზროვნება (დასწავლილი თეორიების ანალიზის უნარი); მრავალმხრივი ინტელექტი (სხვადასხვა სფეროების დაკავშირების უნარი), ემოციური ინტელექტი და სოციალური ინტელექტი [8, გვ. 18-45].

გავრცელებულია ინტელექტის შეფასების რაოდენობრივი მეთოდებიც. არსებობს ინტელექტის სკალა. პიროვნებას 85-114 დიაპაზონის კოეფიციენტით აქვს საშუალო ინტელექტი, 115-124 – საშუალოზე მაღალი დონე, 125–134 – ტალანტი, 135-144 – მაღალი ტალანტი, 145–164 – გენიოსი, 165-179 – გენიოსის მაღალი დონე, 180-200 – გენიოსის ყველაზე მაღალი დონე >200 – არაგაზომვადი გენიოსობა. თუმცა, ამ შეფასებათა სისტემას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, რადგან ვერ დასტურდება კორელაცია მაღალ ინტელექტუალურ კოეფიციენტსა და წარმატებას შორის [9].

ტალანტის გამოვლენაში აღიარებულია გენეტიკის, ხასიათის, კვების, აღზრდის, გარემო-პირობების როლი. ტალანტ-მენეჯმენტში ამ ფაქტორების გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

ტალანტ-მენეჯმენტი ორგანიზაციის დონეზე დაკავშირებულია პერსონალის გამოუვლენელი შესაძლებლობე-

ბის, ნიჭის, ინტელექტის მართვასთან. ეს თეორია უკავშირდება ცნობილი კონსალტინგური ფირმის – „მაკ კინზი და კომპანიის“ (McKinsey & Company) საქმიანობას, რომელმაც ჩატარებული კვლევის საფუძველზე გამოაქვეყნა ნაშრომი: „ბრძოლა ტალანტისთვის“ [10], სადაც კომპანიის წარმატების წინაპირობად განხილულია ტალანტის გამოვლენა, მოზიდვა, დამაგრება, ხელშეწყობის, მხარდაჭერის განვითარების აუცილებლობა. ეს იდეები განმტკიცდა მაკ კინზის ჯგუფის გვიანდელ შრომებშიც. დამუშავებულია ტალანტის მართვის სტრატეგიები მრავალფეროვნულ კომპანიებში [11]. ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფმა (BCG – Boston Consulting Group) წარმოადგინა ტალანტების შექმნის ტაქტიკა [11], ტალანტისთვის ბრძოლის საპირწონედ. BCG დღემდე ერთგულობს მის მიერ არჩეულ სტრატეგიას – მხოლოდ პიროვნებების უპირატესობების მიღწევით არის შესაძლებელი ორგანიზაციების მხრიდან კონკურენტუპირატესობის მიღწევა [13]. „ბეინ და კომპანია“ (Bain and Company) – პერმანენტულად ესმაურება ტალანტ-მენეჯმენტის აქტუალურ მიმართულებებს. ამ კონსალტინგურ ფირმას 400-ზე მეტი შრომა აქვს გამოქვეყნებული ტალანტ-მენეჯმენტის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით [14].

დღეისათვის ღირებული მეცნიერული თეორიების უმრავლესობა კონსალტინგური ჯგუფების მიერ ყალიბდება. მათ აქვთ თეორიული და პრაქტიკული კომპეტენცია აღდო აუდონ თანამედროვე გამოწვევებს – შექმნან აქტუალური თეორიები და მათი პოპულარიზაციის ბერკეტები. ტალანტის მართვის თეორიები მსგავსი ტიპის საუკეთესო ჯგუფების ყურადღების ცენტრშია რადგან:

- აშკარაა საუკეთესო ტალანტებისა და საუკეთესო ბიზნეს შედეგების კორელაცია;
- ტალანტი არის ღირებულების შექმნის სწრაფად მზარდი რესურსი;
- ბიზნესი იქმნება მეტად რთულ და დინამიკურ კონტექსტში;

- მმართველები და ფინანსური ბაზრები მოითხოვენ რთულად ზრდადია;
- დასაქმებულთა მოლოდინი მუდმივად იცვლება;
- სამუშაო ძალის ხელფასი „ტალანტებისთვის ბრძოლის“ შესაბამისია.

როდესაც მენეჯერებს უწევთ არჩევანის გაკეთება მრავალ პრიორიტეტს შორის, მათ ურჩევენ გაიხსენონ ძველი ჩინური ანდაზა: „თუ გინდა ერთწლიანი კეთილდღეობა – გაზარდე მწვანილი, თუ გინდა ათწლიანი კეთილდღეობა – გაზარდე ხე, თუ გინდა საუკუნოვანი კეთილდღეობა – გაზარდე ადამიანები“ [15] და ამბობენ, რომ ადამიანების გაზრდის უნარი, ასევე, ტალანტია.

## **Talent Management - Actual Direction of Human Potential**

**E. Gulua**

The success of social systems is unambiguously determined by managing human resources in an appropriate way. It is permanently discussed how to exteriorize this postulate in real life where unemployment and poverty still can't be overcome and in better cases the lack of self-realisation or satisfaction with work is clearly expressed. Humanization of society is incompatible with such collapses. Self-critical intelligence should not be able to become accustomed to such “leakages”; one should confess this failure and develop himself, find ways to achieve the supreme target of humanity – a human, with the best detections of its potential.

According to objectives there are different ways to manage the potential. Potential is the unity of existing, covert and unrealized resources which might become the source of success in case of appropriate management and development.

Respectively, the issues to demonstrate covert or explicit skills is very important as the use of talent, potential and intelligence is directly correlated with success. Thus, the pressing issues from the human resource management directions are evaluation of talent, development and imple-

mentation of the management methodology, find out interdependence of success and talent management as well as talent and intelligence.

Talent management system could not be discussed as a separate process related with only micro groups. It must be perceived as a whole process, which can attain total efficiency and effectiveness when Employee Value Proposition (EVP) is growing and it is implemented on three levels: individual, macro and micro levels.

Talent management includes the processes of identification of talent, planning, development, realization, stimulating, maintaining, growing, transforming and applying and this creates the basis for detecting, developing and utilizing all potentials, that are the background for total effectivity.

Talent identification is a very important process. There are many approaches in this direction. In recent researches talent is not only the ability of quickly remembering information. Talent does not exist without using it successfully in real life.

George Gurdjieff - founder of "The Institute for the Harmonious Development of Man" considers that an individual cannot realize oneself without his/her harmonious spiritual, physical and emotional development which includes individual development, team working skills, system creating and managing skills.

Hans Jurgen Eysenck differentiates biological, psychometrical and social intelligence. Also, there are very important findings belonging to Howard Gardner, Robert Stenberg and David Perkins.

Intelligence can be defined on different levels: the first level – basic intelligence (learning, memorizing skills); the second level – analytical skills; the third level - multilateral intelligence; the fourth level – emotional intelligence and the fifth one – social intelligence.

Despite of diversities of definitions, modern management considers intelligence through basic intelligence, emotional and social intelligence. The fundamental research work in this directions has been made by Charles Darwine, he learned the cognitive aspects of intelligence, memorizing and problem solving skills. The concept of emotional intelligence is associated with the theories of Daniel Goleman. According



to these theories emotional intelligence includes self-cognition, self-controlling, self-regulation, motivation, empathy and social skills. Edward Lee Thorndike used the term social intelligence to explore non cognitive intelligence - the ability of socialization, understanding and managing others. The social intelligence is considered to be the highest level of intelligence.


It is confirmed that the talent is affected by genetics, character, food, training and environment. It is significant to consider these factors in talent management process.

Talent management, as the main aspect of organizational human resource management system, is associated with McKinsey & company and the work “The War for Talent”. This theory was developed in later researches of this group. Talent management strategies are elaborated for multinational companies. The Boston Consulting Group (BCG) creates talent making tactics against “the war for talents”. BCG is faithful to this concept that corporative competitiveness could be achieved only in case of individual advantages. „Bain and company“ permanently replays talent management actual trends (Bain and Company). This group has published several hundreds of works about this issue.

Nowadays, valuable scientific theories are developed by consulting groups, they have theoretical and practical competences to be sensitive to face modern challenges, develop theories and popularize, promote them. Talent management theories are popular because: there is an obvious correlation between the best talents and the best business performance; talent is growing resource of value creating processes; business is made in complex and dynamical context, etc.

As managers have to make choice between the various priorities they are advised to remember the following old Chinese proverb: If you want one year of prosperity, grow grain, if you want ten years of prosperity, grow trees, if you want a hundred years of prosperity, grow people”, in addition, the skill of “growing people” also is a talent.

1. <http://www.heidrick.com/Pages/Default.aspx>;
2. Георгий Иванович Гурджиев, Беседы с учениками, Париж, август 1922 г;
3. Hans J. Eysenck, Intelligence: A New Look, New Brunswick, New Jersey, 2000;
4. Howard Gardner, Frames of Mind: The Theory of Multiple intelligence, 2011;
5. The Cambridge Handbook of Intelligence, edited by Robert J. Sternberg, Scott Barry Kaufman, Cambridge University Press 2011;
6. David Perkins. The Emerging Science of learnable Intelligence. USA. 1995;
7. Daniel Goleman, Emotional Intelligence, International Bestseller, Harvard Business School Press, 2004;
8. Neil M. Glass , Management Master class: A Practical Guide To The New Realities of Business, 1998;
9. <http://www.wilderdom.com/intelligence/IQWhatScoresMean.html>
10. “The War For Talent” Elizabeth G. Chambers, Mark Foulon, Helen Handfield-Jones, Steven M. Hankin, Edward G. Michaels III, August 1998;
11. Martin Dewhurst, Matthew Pettigrew, and Ramesh Srinivasan, How multinationals can attract the talent they need, June 2012;
12. „ Make Talent, Not War“ Jean-Michel Caye and Karin Hinshaw, December 14, 2011;
13. Rainer Strack, Jean-Michel Caye, Vikram Bhalla, Peter Tollman, Carsten von der Linden, Pieter Haen, and Horacio Quiros, Creating People Advantage, October 18, 2012;
14. Michael Mankins, Alan Bird and James Root, How to turn star performers into a star team, January 15, 2013;
15. <http://juniorbiz.com/40-chinese-proverbs-for-entrepreneurship>.



**მაია გოგონია**  
**ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,**  
**ასოცირებული პროფესორი**

მოძღვრება ცენტრალური ბანკის შესახებ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერებაა. ეს ფულის მიმოქცევის ეფექტიანობაზეც აისახება. „ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემაში ცენტრალური ბანკი წამყვან როლს ასრულებს. მის საქმიანობაზე დამოკიდებული როგორც ეროვნული ეკონომიკის, ასევე ქვეყნის საბანკო სისტემის მდგრადი განვითარება. არეგულირებს რა ფულის მიმოქცევას ნაღდი და უნაღდო ფორმით, ცენტრალური ბანკი ქმნის გადამწყვეტ ეკონომიკურ წანამდებრებს შრომის პროდუქტების გაცვლისათვის, საქონლისა და მომსახურების მოძრაობისათვის მწარმოებლიდან საზოგადოებრივ სიკეთეთა მომხმარებლისაკენ“ [1, გვ. 36]. სწორედ ზემოაღნიშნული განაპირობებს საკვლევი პრობლემის აქტუალურობას. კვლევის მიზანია ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების წარმოჩენა, თანამედროვე ტენდენციების, საერთაშორისო პრაქტიკის, საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანებისა და ფუნქციების გაანალიზებით. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ურთიერთდაკავშირებული ამოცანები: 1) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრინციპებისა და თანამედროვე ინსტრუმენტების (საკრედიტო ორგანიზაციების რეფინანსირება, საპროცენტო პოლიტიკა, ღია ბაზრის პოლიტიკა და სარეზერვო მოთხოვნების სისტემა) გამოყენების მექანიზმის ეფექტიანობის დასაბუთება; 2) ორ-

განიზაციული სტრუქტურის მიხედვით განსხვავებული საზედამხებველო სისტემების სხვადასხვა მოდელის შედარება. სტატიაში აღნიშნული საკითხების ახლებურად წარმონეწის საფუძველზე, გაკეთებულია დასკვნა, რომ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებს ეკონომიკის მართვაში, უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოსატყლი სახელმწიფოებრივი თავისებურება, თავისი სტრატეგიითა და ტაქტიკით, მაგრამ უშვებდეს ეროვნული ბანკის რეაქციას ეკონომიკური კონიუნქტურის დროით ცვლილებებზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დადგენილი ორიენტირების მკაცრმა დაცვამ, მაგალითად ფულადი მასის ნაზარდისა წლის განმავლობაში, ფულზე მოთხოვნის ცვლილებისას, შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური შედეგები ან ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვა, ეს კი თავის მხრივ, ამცირებს ნდობას ეროვნული ბანკის საქმიანობისადმი. ეკონომიკური სუბიექტების ნდობაზე ეროვნული ბანკისადმი, დიდადაა დამოკიდებული საქმიანი აქტივობა. „თავისი წარმოშობის მომენტისათვის ცენტრალური ბანკები მოსახლეობის თითქმის შეუზღუდავი ნდობით სარგებლობდნენ. ცენტრალური ბანკი მათ უბრალოდ დიდ საზოგადოებრივ ბანკად მიაჩნდათ, რომლის ამოცანა საზოგადოებისათვის მსახურება იყო. ამავე დროს, ადამიანები თვლიდნენ, რომ ცენტრალური ბანკის სახელმწიფოებრივი სტატუსი მათ გაკოტრებისაგან იცავდა” [2, გვ. 88]. თუმცა, ისტორია ცხადყოფს, რომ სახელმწიფო ხელისუფალთ შეუძლიათ ბოროტად ისარგებლონ ძალაუფლებით. თანამედროვე ისტორიაში ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის პრინციპი სულ უფრო დომინირებადი ხდებოდა როგორც თეორიაში, ასევე საკანონმდებლო პრაქტიკაში. საზინის ფისკალური ინტერესების ზეწოდის დამღუპველობას დაემატა კონიუნქტურული პოლიტიკური ინტერესები, მათ შორის წინასაარჩევნო იდეები.

ცენტრალური ბანკის საქმიანობის ერთ-ერთი პრინციპია სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებთან საკუთარი საქმიანობის კოორდინირება. ცენტრალური ბანკის საქმი-

ანობა უცვლელი არ არის, ის იცვლება ეკონომიკურ კონიუნქტურასთან ერთად. ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტადიაზე ბანკი ამცირებს ან ზრდის სარეზერვო მოთხოვნებს კომპერციული ბანკებისადმი, რეფინანსირების განაკვეთს, გადასინჯავს საკრედიტო ინსტიტუტების ლიკვიდობის რისკებს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების პრაქტიკული ასპექტები გულისხმობს რიგი საკითხის შემუშავებას, რომელთა შორისაა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტული ობიექტის შერჩევა: ფულზე მოთხოვნა თუ ფულის მიწოდება, საპროცენტო განაკვეთი, თუ ფულის რაოდენობა. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებისას მნიშვნელოვანია ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხი, ისევე, როგორც საბანკო სისტემის სტაბილურობას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ-ი) მიერ გატარებული თანამედროვე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ უნდა იყოს მიმართული მხოლოდ ფასების სტაბილურობაზე. არ არის შემთხვევითი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში მიზანს წარმოადგენს მაქსიმალურად მდგრადი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა და ფასების სტაბილურობა, ხოლო ევროპის ცენტრალური ბანკები თავის ფულად-საკრედიტო სტრატეგიას უკავშირებენ ეკონომიკის მუდმივ მდგრად განვითარებასა და დასაქმების მაღალ დონეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მონეტარულ (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკაში კრედიტის როლი ძალზე სუსტია. „საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის შეფასებისას ვექტორული ავტორეგრესიის მოდელის გამოყენებით მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ საბანკო სესხების ფაქტორის მნიშვნელობა ფასებთან და რეალურ მშპ-თან მიმართებით მთლიანობაში ვერ იქნა დადასტურებული. აღნიშნული ფაქტი შეიძლება აიხსნებოდეს საბანკო კრედიტის მცირე როლით საქართველოს ეკონომიკაში. თუმცა, სესხების

დეკომპოზიციის შემდეგ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებად, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები ფასებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს” [3, გვ.1]. ეკონომიკისთვის კი საკრედიტო ურთიერთობები პირველხარისხოვანია – კრედიტის გამოყენების მასშტაბსა და ეფექტიანობაზე გარკვეულწილადაა დამოკიდებული ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა. საწარმოების დაკრედიტებაში ბანკების როლის ზრდა მიიღწევა ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში საპროცენტო განაკვეთების როლის გაზრდით (მისი შემცირება დონემდე, რომელიც შეესაბამება ეკონომიკის განვითარების მიზნობრივ ორიენტირს). თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ რეფინანსირების განაკვეთის ცვლილება აწმყოში ჯერ-ჯერობით არ ახდენს უშუალო გავლენას ეკონომიკის საწარმოო სექტორსა და მშპ-ს ზრდაზე. „საბანკო სექტორში კაპიტალის კონცენტრაციის ხარისხი მატულობს, ეს გარემოება ნეგატიურად ზემოქმედებს კრედიტების ხელმისაწვდომობაზე, უწინარესად, მათი სიძვირის გამო. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოში სესხებზე საპროცენტო საშუალო შეწონილი განაკვეთი 26% აღწევს, დეპოზიტებზე კი – 10%-ის ფარგლებშია, მაშინ როდესაც მსოფლიო საბანკო პრაქტიკაში მარჯა 6,2% არ აღემატება” [4, გვ. 9].

სებ-ი, ფულად-საკრედიტო რეგულირების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ზემოქმედებს საბანკო სისტემის ლიკვიდობის დონეზე, რისთვისაც ითვალისწინებს ცვლილებებს რეზერვებზე საბანკო სისტემის მოთხოვნაში და მიისწრაფვის გამოიყენოს საპროცენტო განაკვეთები, რომელთა როლი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში გაიზრდება. ამასთან, რეფინანსირების განაკვეთის დაუსაბუთებელმა ცვლილებამ შეიძლება მცდარი ორიენტირები მისცეს საკრედიტო ორგანიზაციებს მათი საპროცენტო პოლიტიკისათვის. საზღვარგარეთ სააღრიცხვო განაკვეთის ცვლილება, თუნდაც მეოთხედი პროცენტით, ეკონომიკის მდგომარეობაზე არსებით გავლენას ახდენს.

თუ ინფლაციის ტარგეტირება მიიღწევა ფულადი მასის

რეგულირებით (შემცირებით) ცენტრალური ბანკის მხრიდან მკაცრი რესტრიქციული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში, ეს გამოიწვევს მშპ-ს მონეტიზაციის დონის მკვეთრ შემცირებას. ამასთან, ეკონომიკა შესაძლოა მოხვდეს ე.წ. ინფლაციურ (ლიკვიდობის) მახეში: მიმოქცევაში ფულის რაოდენობის მკვეთრი შემცირება იწვევს მოთხოვნისა და საწარმოთა ფონდებში საბრუნავი სახსრების ხვედრითი წონის მკვეთრ კლებას, რის შედეგადაც წარმოება იკვეცება, იზრდება არგადახდები და აღმოცენდება ახალი ინფლაციური ტალღა წარმოების უფრო დაბალ დონეზე, დროებითი ფინანსური სტაბილიზაცია მიიღწევა წარმოების შემდგომი „კვდომის“ ხარჯზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეთოდების არჩევა იმაზეა დამკიდებელი, რა არის მისი პრიორიტეტული ობიექტი: ფულზე მოთხოვნა თუ ფულის მიწოდება, საპროცენტო განაკვეთი თუ ფულის რაოდენობა. თავის მხრივ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ობიექტების პრიორიტეტების არჩევანი იმაზეა დამკიდებელი, რა უფრო „ძლიერად“ ზემოქმედებს ეკონომიკაზე – ფულზე მოთხოვნა თუ მისი მიწოდება, ფაქტობრივად კი – საპროცენტო განაკვეთი თუ ფულის რაოდენობა.

მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემდეგ ინსტრუმენტებს იყენებენ: სავალდებულო რეზერვების ნორმატივის, ანუ სარეზერვო მოთხოვნის ცვლილება, ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკა, ანუ კომერციული ბანკების მიერ ცენტრალური ბანკისაგან სახსრების სესხების ან კომერციული ბანკების სახსრების ცენტრალურ ბანკში დეპონირების მექანიზმის ცვლილება, ოპერაციები ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით.

სავალდებულო რეზერვების ნორმის ცვლილება დღეისათვის გამოიყენება როგორც ყველაზე მარტივი ინსტრუმენტი ფულად-საკრედიტო სფეროს უსწრაფესი აწეობის მიზნით. მონეტარული პოლიტიკის ეს ინსტრუმენტი, სპეციალისტების აზრით, რომლებიც მოცემული პრობლემით არიან დაკავებული, ყველაზე მძლავრია, მაგრამ ამავედროულად ყველაზე უხეში, რამეთუ ეს-

ება მთელი საბანკო სისტემის საფუძვლებს. სავალდებულო რეზერვების ნორმის თუნდაც უმნიშვნელო ცვლილებას უნარი შესწევს გამოიწვიოს დიდი ცვლილებები საბანკო რეზერვების მოცულობასა და კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკაში.

ცენტრალურ ბანკს შეუძლია დაადგინოს ერთი ან რამოდენიმე საპროცენტო განაკვეთი ოპერაციების სხვადასხვა სახეობაზე ან გაატაროს საპროცენტო პოლიტიკა საპროცენტო განაკვეთის ფიქსაციის გარეშე. ცენტრალური ბანკის საპროცენტო განაკვეთები არ არის სავალდებულო კომერციული ბანკებისათვის თავის კლიენტებთან ან სხვა ბანკებთან საკრედიტო ურთიერთობებისას. მაგრამ, ოფიციალური სააღრიცხვო განაკვეთის დონე კომერციული ბანკებისათვის ორიენტირია საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას. ამასთან, სწორედ ეს ისტრუმენტი აჩვენებს, რომ მისი შედეგების განჭვრეტა ნაკლებადაა შესაძლებელი. მაგალითად, რეფინანსირების განაკვეთის შემცირება განიხილება როგორც ღონისძიება, რომელიც აფართოვებს ფულის მიწოდებას. მაგრამ, რეფინანსირების განაკვეთის შემცირება გავლენას ახდენს პროცენტის საბაზრო განაკვეთზე, რომელიც მცირდება, შედეგად იზრდება მოთხოვნა ნაღდ ფულსა და სხვა აქტივებზე, რომლებზე მოთხოვნაც იმყოფება უკუდამოკიდებულებაში პროცენტის განაკვეთის დონესთან. თავის მხრივ, მოთხოვნა დეპოზიტებზე მცირდება – მულტიპლიკატორი შემცირდება, მაგრამ როგორ და რა პერიოდში მოახდენს რეფინანსირების განაკვეთის შემცირება გავლენას საბანკო მულტიპლიკატორზე, რთული სათქმელია. ამიტომ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში უნდა განვასხვაოთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდები. რეფინანსირების განაკვეთის გადასინჯვასთან ერთად იცვლება ლომბარდული კრედიტის, „ოვერნაით“ კრედიტის, რეპო ოპერაციების და ცენტრალურ ბანკში დეპოზიტებზე მოხიდული ბანკების სახსრების პროცენტები.

ცენტრალური ბანკის ოპერაციები ღია ბაზარზე აწყმომში



მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია. ცენტრალური ბანკი ყიდის ან ყიდულობს წინასწარ დადგენილი კურსით ფასიან ქაღალდებს, მათ შორის სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს, რომლებიც აფორმირებენ ქვეყნის შიგა ვალს. ეს ინსტრუმენტი ითვლება კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდებებისა და ლიკვიდობის რეგულირების ყველაზე მოქნილ ინსტრუმენტად. ოპერაციები ღია ბაზარზე ტარდება ცენტრალური ბანკის მიერ, ჩვეულებრივ, მსხვილი ბანკებისა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების ჯგუფთან ერთად და კვლავ შეიძლება აღვნიშნოთ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგების განუჭვრეტადობა იმასთან დაკავშირებით, რომ ღია ბაზარი – ფინანსური ბაზარია. ღია ბაზარზე გაყიდვების ზრდა იწვევს ფინანსური აქტივების მიწოდების ზრდას, შედეგად, საპროცენტო განაკვეთების ზრდას, რაც თავის მხრივ, აისახება მულტიპლიკატორის გაზრდაზე, ეს კი რამდენადმე დაფარავს ფულადი ბაზის შემცირების ეფექტს და პირიქით, ღია ბაზარზე შესყიდვის ოპერაციებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ აქტივებზე მოთხოვნის ზრდა, საპროცენტო განაკვეთებისა და მულტიპლიკატორის შემცირება.

ზემოთ განხილულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტრადიციულ ინსტრუმენტებთან ერთად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში შესაძლოა, აგრეთვე, დადგინდეს ფულადი მასის ზრდის ორიენტირები და განხორციელდეს სავალუტო რეგულირება. ცენტრალური ბანკი ატარებს სავალუტო ინტერვენციებს, რათა მაქსიმალურად მიუახლოვოს ეროვნული ვალუტის კურსი მის მყიდველობითუნარიანობას და, ამავე დროს, მიღწეულ იქნეს კომპრომისი ექსპორტიორებისა და იმპორტიორების ინტერესებს შორის. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების ოპტიმალური კომბინაცია დამოკიდებულია ფინანსური ბაზრების განვითარების სტადიასა და სტრუქტურაზე, ცენტრალური ბანკის როლზე ქვეყნის ეკონომიკაში. მაგალითად, სააღრიცხვო განაკვეთების (რეფინანსირების განაკვეთების) პოლიტიკა,

რომელიც მნიშვნელობით მეორე ადგილს იკავებს ცენტრალური ბანკის ღია ბაზრის პოლიტიკის შემდგომ, ჩვეულებრივ, ტარდება ცენტრალური ბანკის ღია ბაზარზე საქმიანობასთან შესაბამისობით.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საბანკო სისტემის სტაბილურობა, საბანკო სექტორი ის არხია, რომლითაც ფულად-საკრედიტო რეგულირების იმპულსები მთელ ეკონომიკას გადაეცემა. ზემოქმედებს რა საკრედიტო ინსტიტუტებზე, ის ქმნის გარკვეულ პირობებს მათი ფუნქციონირებისათვის, შესაბამისად, ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკების საქმიანობის რეგულირება შეიძლება განვიხილოთ, აგრეთვე, როგორც ცენტრალური ბანკის მხრიდან ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირების ერთ-ერთი მიმართულება.

თანამედროვე პირობებში ვითარდება საბანკო ზედამხედველობის სისტემის რისკზე ორიენტირებული მოდელი. საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების მნიშვნელოვანი პირობაა მისი სახელმწიფო რეგულირება. საბანკო ზედამხედველობა მოიცავს საკრედიტო ინსტიტუტების მიმართ მოთხოვნების დადგენისა და ცხოვრებაში გატარების ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მთელი საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. ფართო გაგებით საბანკო ზედამხედველობა წარმოადგენს რეგულირებას, რამეთუ, ჯერ ერთი, მოიცავს საბანკო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების განსაზღვრულ სფეროებს და ინსტრუმენტებს, მეორეც, თან ახლავს გადაწყვეტილებათა მიღება, რომელიც არეგულირებს საბანკო სისტემის რაოდენობრივ და ხარისხობრივ სტრუქტურას, აგრეთვე საკრედიტო ინსტიტუტების მიმდინარე საქმიანობის ორგანიზაციულ და ეკონომიკურ ასპექტებს, მათ შორის – საბანკო რისკების მართვის სისტემის თუმცა, ზოგიერთ პუბლიკაციაში საბანკო ზედამხედველობა დაყვანილია საკრედიტო ორგანიზაციების მიერ საკანონმდებლო აქტების და საზედამხედველო ორგანოს მარეგულირებელი

ნორმების დაცვის კონტროლზე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კონტროლი მართლაც ახასიათებს ზედამხედველობას, მაგრამ როგორც მისი ერთ-ერთი ფუნქციის გამოვლინება. საბანკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპის საერთო ტენდენციაა თვითრეგულირების როლის ზრდა, რაც გამოიხატება მსოფლიო საბანკო თანამეგობრობის საქმიანობის გაფართოებით, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის სახით, რომელიც საბანკო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე, შეიმუშავებს საბანკო საქმიანობის ერთიან წესებს, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. ქვეყნების უმეტესობა ითვალისწინებს ამ რეკომენდაციებს, მათ შორის უმნიშვნელოვანესია – ბანკების კაპიტალის საკმარისობის შეფასების რეკომენდაციები, საბანკო რისკების შეფასებისა და კორპორაციული მართვის ორგანიზების მიდგომები. ზედამხედველობის სისტემის მთლიანობა უზრუნველყოფილია მისი სამართლებრივი საფუძველით, რომელიც შედის ამ სისტემაში დამოუკიდებელი ელემენტის სახით.

გამოიყოფა საზედამხედველო სისტემების რამოდენიმე ტიპი, რომელიც განსხვავდება ორგანიზაციული სტრუქტურით. პირველ ტიპს მიეკუთვნება ქვეყნები, სადაც საზედამხედველო საქმიანობა მთლიანად თავმოყრილია ცენტრალურ ბანკში: ესპანეთი, საბერძნეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუსეთი, პორტუგალია. მეორე ტიპს მიეკუთვნება იაპონია და კანადა, ამ ქვეყნებში საზედამხედველო ფუნქციები განაწილებულია ცენტრალურ ბანკსა და ფინანსთა სამინისტროს შორის. ზედამხედველობის ამ მოდელის არჩევანი დაფუძნებულია მოსაზრებაზე, რომ ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო ან ფინანსთა სამინისტრო ფლობს მეტ ობიექტურობას ბანკების ფინანსური მდგრალობის შეფასებისას, ამიტომ შეუძლია უზრუნველყოს უფრო ეფექტიანი ზედამხედველობა.

საზედამხედველო სისტემის მესამე ტიპს ადგილი აქვს ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა: გერმანია, საფრანგეთი, აშშ და სხვა. ამ მოდელში, ცენტრალურ ბანკთან ერ-

თად, ზედამხედველობის სისტემაში ჩართულია სპეციალურად შექმნილი ორგანოები. ანალიტიკური სამუშაოს ჩატარებისას ადგილი აქვს სხვადასხვა საზედამხედველო ორგანოს საქმიანობაში გარკვეულ დუბლირებას. ექსპერტების აზრით, ასეთი დუბლირება ზრდის ზედამხედველობის ეფექტიანობას, რამეთუ რამოდენიმე საზედამხედველო ორგანოს არსებობა ქმნის ერთ-გვარ „შეკავებათა და საპირწონეთა სისტემას“.

მეოთხე მოდელი ეხება ქვეყნებს, რომელთაც მიიღეს კანონმდებლობა მეგარეგულატორის შექმნის შესახებ ფინანსური მოსმასურების ბაზარზე, ანუ ორგანოსი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას ფინანსური ბაზრის ყველა სექტორზე (საბანკო, სადაზღვევო, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე). ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება: ავსტრია, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია და სხვ.

დღეისათვის სებ-ი უფლებამოსილია განახორციელოს საფინანსო სექტორის ზედამხედველობა: „ეროვნულ ბანკს მინიჭებული აქვს სრული უფლებამოსილება, ზედამხედველობა გაუწიოს კომერციული ბანკების, არასაბნკო სადეპოზიტო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, სადაზღვევო ორგანიზაციების, გადამზღვეველი კომპანიების, არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლების, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, აქტივების მმართველი კომპანიების, ანგარიშვალდებული საწარმოების, საგადასახდო სისტემის ოპერატორისა და საგადასახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობას“ [5, გვ.16].

სებ-ის მიერ საფინანსო სექტორის ზედამხედველობის ფუნქციის შესრულების ძლიერი მხარეებია:

- ზედამხედველობის ორგანული კავშირი ეროვნული ბანკის საქმიანობის ისეთ მიმართულებებთან, როგორიცაა, საგადასახდო ბრუნვის ორგანიზება და საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება, რომლის პროცესშიც ეროვნული ბანკი

სისტემატურად შეისწავლის საკრედიტო ინსტიტუტების ფინანსურ მდგომარეობას;

- ეროვნულ ბანკში გამოცდილი ანალიტიკოსების არსებობა, რომელთაც კარგად იციან საბანკო საქმე;

- ინტეგრაციული პროცესები, რომელსაც ადგილი აქვს ფინანსურ ბაზრებზე, შესაძლებელს ხდის ეროვნული ბანკის მიერ ზედამხედველობა განხორციელდეს ყველა ფინანსურ ინსტიტუტზე. ეროვნული ბანკი ფლობს დიდხალ ინფორმაციას, რამეთუ შეისწავლის საშინაო და საზღვარგარეთის ფულად და ფინანსურ რისკებს.

საზედამხედველო სისტემების სხვადასხვა ტიპის არსებობა იწვევს მუდმივ დისკუსიებს მათი ღირსებებისა და ნაკლოვანებების თაობაზე, ზედამხედველობის ორგანიზების ოპტიმალური ვარიანტის დასაბუთებისათვის.

საზღვარგარეთის გამოცდილების შესწავლა გეიხვენებს, რომ საზედამხედველო ორგანოები ფლობენ ბანკების ფინანსური მდგრადობის შეფასების განსხვავებულ ანალიტიკურ და სტატისტიკურ მეთოდებს. ზოგიერთი მეთოდიკა ატარებს დისტანციური სარეიტინგო სისტემების ხასიათს (აშშ – სისტემა *CAMELS*, საფრანგეთი – *ORAP*, იტალია – *RATROC*), სხვები – რისკების კომპლექსური შეფასების (დიდი ბრიტანეთი – *RATE*, ნიდერლანდები – *RAST*), ზოგი ადრეული გაფრთხილების სისტემას წარმადგენს (საფრანგეთი – *SAABA*). ამ სისტემების უმეტესობის საფუძველში ძვეს კომპონენტები, რომლებიც შედის სისტემაში *CAMELS*, როგორც ბანკის ფინანსური მდგრადობის შეფასების დროის მიერ ყველაზე გამოცდილი მოდელი. მასთან, ყველა ქვეყანამ შეიტანა თავის მეთოდებში გარკვეული ნოვაციები. გარდა ამისა, ეს სისტემები მუდმივად ვითარდება და უფრო სრულყოფილი ხდება.

წლების განმავლობაში საბანკო კანონმდებლობის განვითარებასთან ერთად შეიქმნა სებ-ის სერიოზული ნორმატიული ბაზა, რომელიც შეეხება საბანკო რეგულირებასა და ზედამხედველობას. ამ ნორმატიულ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებ-

ული ადგილი უჭირავს დოკუმენტებს, რაც განსაზღვრავს პრუდენციულ ნორმებს და მოთხოვნებს საკრედიტო ორგანიზაციებისადმი.

საბანკო სისტემის ლიკვიდობის შენარჩუნებისათვის განკუთვნილია სავალდებულო დარეზერვების ფონდი. საქართველოში ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 10%, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 15%, გარდა ნარჩენი ვადიანობის მიხედვით უცხოური ვალუტით 365 დღიდან 730 დღემდე ვადიანობის ნასესხები სახსრებისა. ამ უკანასკნელისათვის მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 5%. მოზიდულ სახსრებში არ გაითვალისწინება ეროვნული ბანკიდან და სხვა რეზიდენტი ბანკებიდან მიღებული ვალდებულებები, ნარჩენი ვადიანობის მიხედვით ეროვნული ვალუტით 365 დღისა და მეტი ვადიანობის, ასევე უცხოური ვალუტით 730 დღისა და მეტი ვადიანობის ნასესხები სახსრები, ბანკის მიერ გამოშვებული სტანდარტული სადეპოზიტო სერთიფიკატები [ნ. გვ. 1-2].

თანამედროვე ნორმატიულ დოკუმენტებში რაც განსაზღვრავს ევროკავშირის ქვეყნებში მინიმალური დარეზერვების სისტემის გამოყენების მიზანშეწონილობას, აქცენტი კეთდება ამ სისტემის საშუალებით ფულის ბაზრის განაკვეთების სტაბილურობის უზრუნველყოფასა და საბანკო სისტემის სტრუქტურული ლიკვიდობის რეგულირებაზე.

სავალდებულო დარეზერვების სისტემის ამოსავალი ეკონომიკური შემადგენელია დარეზერვების ბაზა, რომელიც განსაზღვრავს იმ მოზიდული სახსრების შემადგენლობას, რომელიც სავალდებულო რეზერვების გაანგარიშებაში მონაწილეობს. ბანკთაშორისი კრედიტები, რომლებიც არადეპოზიტური მოზიდული სახსრების ძირითადი სახეობაა, განკუთვნილია არა სესხების გასაცემად, არამედ საკრედიტო ორგანიზაციების ლიკვიდობის უშუალო რეგულირებისათვის, ამავდროულად ფუნქციას ასრულებს ცენტრალური ბანკის კრედიტებიც. ამიტომ, მათ არ

რთავენ დარეზერვების ბაზაში. აქედან გამომდინარე, სავალდებულო რეზერვების, როგორც ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტის დანიშნულებას, შეესაბამება არა მოზიდული სახსრების მთელი სფერო, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც დეპოზიტური წყაროების საფუძველზე იქმნება, ამასთან აუცილებელია მხედველობაში გვექონდეს, რომ ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტური წყაროების ფორმები სისტემატურად ვითარდება. ასეთ ფორმებს წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრივ სხვადასხვა სახეობის დეპოზიტები, არამედ სადეპოზიტო (საშემნახველო) სერთიფიკატები, საბანკო თამასუქები და ა.შ. ამიტომ დარეზერვების ბაზის განსაზღვრისას აუცილებელია შესწავლილი იქნეს ამა თუ იმ ქვეყანაში მოზიდული და გამოყენებული სახსრების კონკრეტული წყაროები და ფორმები, რათა ცენტრალური ბანკის მიერ ნორმატიულად განისაზღვროს მოზიდული სახსრების შემადგენლობა, მიკუთვნებული დარეზერვების ბაზისადმი.

დარეზერვების ბაზის განხილვისას მნიშვნელოვანია, აგრეთვე, დაისვას საკითხი სარეზერვო მოთხოვნების შესრულების მეთოდების თაობაზე, განპირობებული იმით, რომ კომერციული ბანკების უმეტესობას აქვს ნაღდი ფული (სალაროში) და მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები მიეკუთვნება მაღალლიკვიდურს, და ამიტომ, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც კომერციული ბანკის რეზერვები.

ამ რეზერვების ფორმირების მეთოდების განსხვავება სავალდებულოსგან ის არის, რომ სავალდებულო რეზერვები ინახება ცენტრალურ ბანკში, ხოლო ნაღდი ფული და ბანკის მიერ შექმნილი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები არის ბანკში.

ამასთან დაკავშირებით, აღმოცენდება საკითხი სავალდებულო რეზერვებში ზემოთაღნიშნული მაღალლიკვიდური აქტივების ჩართვის შესაძლებლობის თაობაზე. საერთაშორისო პრაქტიკაში ის ჩართულია სავალდებულო რეზერვებში. ყველაზე

ფართოდ ასეთი პრაქტიკა ეხება ნაღდ ფულს. როგორც ფულადი მასის ელემენტი, ის რეგულირდება მინიმალურად აუცილებელი თანხის ან ლიმიტის დადგენის საშუალებით. მისი ჩართვა დარეზერვების ბაზაში სრულებით პასუხობს სავალდებულო დარეზერვების დანიშნულებას.

სახელმწიფო (სახაზინო) ფასიანი ქაღალდები ასევე შეესაბამება სავალდებულო დარეზერვების დანიშნულებას. ამასთან ერთად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს ღია ბაზარზე ოპერაციების საფუძველს. დარეზერვების ბაზაში მისმა ჩართვამ შეიძლება შეამციროს ამ ბაზრის ლიკვიდობა და ღია ბაზრის ოპერაციების ეფექტიანობა.

სავალდებულო დარეზერვების ნორმა, როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტუმენტი, არეგულირებს არა მხოლოდ ფულის მასის მოცულობას, არამედ მის სტრუქტურასაც. ფულის მასა არაერთგვაროვანია თავისი ლიკვიდობით, წარმოშობის წყაროებით. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, როგორც წესი, ორიენტირებულია ფულადი მასის ყველაზე მიზანშეწონილი სტრუქტურის შესანარჩუნებლად, და, ამიტომ, სავალდებულო დარეზერვების ნორმების დიფერენცირებას ითვალისწინებს.

თანამედროვე ტენდენციაა სარეზერვო მოთხოვნების ბაზის თანდათანობით გაფართოება, სავალდებულო დარეზერვების ნორმების შემცირება, სარეზერვო მოთხოვნების შესრულების მექანიზმის მოქნილობის ამაღლება და სხვა.

აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიასა და იაპონიაში საკრედიტო ორგანიზაციებისათვის ნებადართულია ჩათვალონ დადგენილ რეზერვებში ნაღდი ფული. ევროკავშირის დარეზერვების ბაზაში ჩაერთოება ოვერნაით დეპოზიტები, დეპოზიტები დაფარვის ვადით ორ წლამდე, დეპოზიტები ვადით ორ წლამდე ამოღების შესახებ შეტყობინების შეთანხმებული ვადით, სავალდებულებები პირველდაწყებითი ხანგრძლივობით ორ წლამდე, ფულის ბაზრის ფასიანი ქაღალდები. ვალდებულებათა ამ ჯგუფისთვის დარეზერვების განაკვეთი შეადგენს 2%-ს. მაგალითისთვის, აშშ-ში ევრობაზარზე განთავსებული



დეპოზიტები არ ჩაირთვება დარეზერვების ბაზაში, ამიტომ, შეიძლება გამოყენებული იქნეს კანონის ფარგლებში მოთხოვნების შესრულებისგან თავის ასარიდებლად. სავალდებულო რეზერვების ნორმის (ნორმატივების) შემცირება ასახავს ბოლო წლების მანძილზე ამ ინსტრუმენტის მნიშვნელობის დაკარგვას ფულად-საკრედიტო რეგულირებისთვის. ბოლო წლებში საზღვარგარეთის ქვეყნებში გამოიყენება დარეზერვების შემდეგი ნორმები (%): დიდი ბრიტანეთი – 0,45, იაპონია – 2,5. შვეიცარია – 2,5.

მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში ცენტრალური ბანკის საპროცენტო პოლიტიკა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტია. ის ტარდება ორი მიმართულებით: 1) კომერციული ბანკების მიერ ცენტრალური ბანკიდან სესხების რეგულირება და 2) ცენტრალური ბანკის დეპოზიტური პოლიტიკა.

რეფინანსირების განაკვეთი წარმოადგენს ორიენტირს ბაზრის ყველა მონაწილისთვის, განსაზღვრავს რა ცენტრალური ბანკის ფულის ფასს. ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ დაადგინონ რეფინანსირების რამდენიმე განაკვეთი კრედიტების სახეობაზე დამოკიდებულებით (კრედიტის ვადა, უზრუნველყოფის სახეობა).

საპროცენტო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს მზარდი ფასისმიერი ეფექტი. ეკონომიკის სუბიექტები მიისწრაფვიან თავი დააღწიონ მზარდი სააღრიცხვო განაკვეთის გავლენას და გადააკისრებენ თავის ხარჯებს კლიენტებს (ზრდიან რა შესაბამისად საკუთარ სიკეთეთა ფასს). ეკონომიკაში, რომელიც ინფლაციის პრობლემებს განიცდის, ასეთი გვერდითი ეფექტი განსაკუთრებით მტკივნეულია. კერძო სექტორი ისწრაფვის გადააკისროს მყიდველს მთელი დამატებითი ტვირთი, რომელიც აწვება მას მარეგულირებელი ზომების შედეგად. მსგავსი ფინანსური შესაძლებლობა განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უფრო მაღალია, რამეთუ ბაზრის გაჯერებულობის, კონკურენციის ხარისხი უფრო სუსტია, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.

ფინანსური კრიზისის პირობებში ბანკების ლიკვიდობის რეგულირებისათვის სააღრიცხვო განაკვეთის გამოყენების მაგალითია სააღრიცხვო განაკვეთის ცვლილება ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) ოპერაციების მიხედვით 2007 წლის სექტემბრიდან 2008 წლის ივნისამდე, როდესაც ეკონომიკური დაცემის რისკის პირობებში აშშ-ში განაკვეთი შეიღწერ შემცირდა – 5%-დან აგვისტოში 2%-მდე 2008 წლის ივნისის მდგომარეობით. ამასთან, ეკონომიკური დაცემის რისკის შემცირების პირობებში, მაგრამ ინფლაციის გაძლიერებისას, ფსს 2008 წლის შუაში განიხილავდა სააღრიცხვო განაკვეთის გაზრდის ალბათობას.

ევროკავშირის ქვეყნებში განაკვეთი რეფინანსირების ძირითად ოპერაციებზე შეადგენს ეცბ (ევროპის ცენტრალური ბანკი) სააღრიცხვო პოლიტიკის წამყვან ელემენტს, რომელიც გამოიყენება ერთდღიანი ლიკვიდობის რეგულირებისათვის, ოვერნაით საბაზრო განაკვეთის შეზღუდვისათვის და ბაზრისათვის სიგნალების გადასაცემად ფულადი პოლიტიკის მიმართულებასა და ხასიათზე. ევროპის რიგ ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკის ანალოგიურად, ეცბ სააღრიცხვო განაკვეთი ღვინდება ცენტრალური ბანკის ერთდღიანი საკრედიტო და სადეპოზიტო ოპერაციების განაკვეთებით შემოფარგლულ დერეფანში. განაკვეთი სადეპოზიტო ოპერაციებზე, რომელიც საშუალებას აძლევს ფინანსურ ინსტიტუტებს განათავსონ სახსრები ნაციონალურ ცენტრალურ ბანკებში, ადგენს განაკვეთების ქვედა ზღვარს ერთდღიანი კრედიტების ბაზარზე.

ეცბ აფორმირებს საპროცენტო პოლიტიკის საერთო პრინციპებს მსოფლიო ფინანსური ბაზრების მდგომარეობიდან გამომდინარე, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნების ინტერესების და მაკროეკონომიკური სიტუაციის გათვალისწინებით, რომელიც ევროპულ ბაზრებზე ყალიბდება. ასე, მაგალითად, ფინანსური კრიზისის განვითარების ფონზე, 2007 წლის აგვისტოდან 2008 წლის ივნისამდე, ეცბ-მა უცვლელი დატოვა რეფინანსირების განაკვეთი – 4% დონეზე, ჩათვალა რა, რომ ინფლაციური პრო-

ცესების განვითარება ევროკავშირის ქვეყნებში სახიფათო ტენდენციას წარმოადგენს.

რეფინანსირების თანამედროვე ინსტრუმენტებია: კრედიტები, გაცემული ცენტრალური ბანკის მიერ კომერციულ ბანკებზე ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ; ასევე, მოკლევადიანი ორმხრივი გარიგებები სავალუტო და საფონდო ბაზრებზე (სვოპ ოპერაცია და ოპერაცია რეპო).

იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ბანკის კრედიტები ფლობს ინფლაციური პროცესების სტიმულირების პოტენციურ შესაძლებლობას, თუ დროულად არ იქნა დაბრუნებული, მათი გაცემის პირობაა ფინანსურად მდგრად კლიენტებზე ლიკვიდური უზრუნველყოფის ქვეშ მათი გაცემა. საზღვარგარეთ მიკროდონეზე ცენტრალური ბანკები აქტიურად ასრულებენ ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციას, უზრუნველყოფენ რა, ამასთანავე, მთლიანობაში საბანკო სისტემის ლიკვიდობის რეგულირებას. ცენტრალური ბანკების მიერ ამ ფუნქციის შესრულებამ, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის განვითარებასთან შეხამებით, განვითარებულ ქვეყნებში პრაქტიკულად აღმოფხვრა ტრადიციული საბანკო კრიზისების შესაძლებლობა მენაბრეების პანიკური განწყობის შედეგად. რეფინანსირების ოპერაციები ევროსისტემის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და იყოფა ინსტრუმენტებად, რომლებიც მოემსახურება ოპერაციებს ღია ბაზარზე, და მუდმივმოქმედ ინსტრუმენტებად, რომელიც კომერციული ბანკების ინიციატივით გამოიყენება. სააღრიცხვო ოპერაციები გამოიყენება სახალხო მეურნეობის განსაზღვრული დარგების განვითარებაზე სელექციური ზემოქმედებისათვის. იტალიაში რეფინანსირების ეს ინსტრუმენტი მოწოდებულია ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარებას მისცეს სტიმული. სააღრიცხვო ოპერაციებთან ერთად, საზღვარგარეთის პრაქტიკაში რეფინანსირების მუდმივმოქმედი მექანიზმი მოიცავს აგრეთვე ლომბარდულ, ერთდღიან და შიდადღიურ კრედიტებს, ბანკში დეპონირებული ფასიანი ქაღალდების გირაოს ქვეშ.

ძირითად ფასიან ქაღალდებს, რომლითაც ხორციელდება ოპერაციები ღია ბაზარზე, მიეკუთვნება ყველაზე ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, რომლებიც აქტიურად მიმოიქცევა მეორად ბაზარზე, რომელთა რისკი ძალზედ უმნიშვნელოა. ასეთ ფასიან ქაღალდებს წარმოადგენს სხვადასხვა ვალდებულებები ემიტირებული ფულადი ხელისუფლების მიერ:

- სავალო სერთიფიკატები (ნიდერლანდების ბანკი, დანიის ნაციონალური ბანკი, ესპანეთის ბანკი, ეცბ);
- ფინანსური თამასუქები (ინგლისის ბანკი, შვედეთის რიკს-ბანკი, გერმანული ბუნდესბანკი, იაპონიის ბანკი);
- ობლიგაციები (კორეის ბანკი, ჩილეს ცენტრალური ბანკი, რუსეთის ბანკი).

ფასიანი ქაღალდების არჩევანი დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის განვითარებისა და ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხზე, მის შესაძლებლობაზე განახორციელოს ოპერაციები არა მხოლოდ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, არამედ – სხვა ემიტენტების ქაღალდებითაც. ეკონომიკის ღიაობა და მისი დამოკიდებულება ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დინამიკაზე, ზრდის ოპერაციებს უცხოური სავალო ვალდებულებებით (ნორვეგია, ავსტრია, დანია).

ოპერაციები ღია ბაზარზე უფრო მეტად მიესადაგება მოკლევადიან კონიუნქტურულ რყევებს, სააღრიცხვო პოლიტიკასთან შედარებით. ეცბ ოპერაციებს ღია ბაზარზე განიხილავს როგორც ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს, ორიენტირდება რა გერმანიის ფედერალურ ბანკზე, რომლისთვისაც 1980-იანი წლების შუიდან, მათ აქვთ უპირატესი მნიშვნელობა.

განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ბაზარზე ოპერაციების ეფექტიან ჩატარებას შეუძლია უზრუნველყოს ფულის ბაზარზე მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის კორექტირება და ამით დაარეგულიროს ფულის მასა მიმოქცევაში, ასევე – საკრედიტო ორგანიზაციების

ლიკვიდობის რეგულირება. ეს ოპერაციები შესაძლებელს ხდის ბიუჯეტის დეფიციტის ინფლაციური დაფინანსების თავიდან აცილებას.

ღია ბაზრის ოპერაციებისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერთიფიკატები, მთავრობის სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი) სებ-ის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია. მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებლის გათვალისწინება ხდება, ვინაიდან გატარებული პოლიტიკის შედეგი ეკონომიკაზე დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება. 2010 წლის აპრილიდან სებ-მა ამოქმედდა ახალი ინსტრუმენტი – მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი. აღნიშნული ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ მიიღონ სესხი გარანტირებულად, აუქციონის გარეშე. საპროცენტო განაკვეთი მუდმივმოქმედ რეფინანსირების სესხზე განისაზღვრება, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს პლიუს ერთი პროცენტული პუნქტი. სებ-ის ერთდღიანი სესხებისა და ერთდღიანი დეპოზიტების ინსტრუმენტებით კი (მუდმივმოქმედი ინსტრუმენტები) ფაქტობრივად დაწესდა საპროცენტო განაკვეთის სამპროცენტო დერეფანი ბანკთაშორის ბაზარზე, რაც ხელს უწყობს ბანკთაშორისი ბაზრის საპროცენტო განაკვეთის მერყეობის შემცირებას.

თუმცა, მაღალი დოლარიზაციის პირობებში, მონეტარულ პოლიტიკაში განხორციელებული ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივ გადაეცემა ეკონომიკას. სებ-ს მხოლოდ ლარის საპროცენტო განაკვეთების მართვა შეუძლია. შესაბამისად, მცირდება მონეტარული პოლიტიკის ზეგავლენა ერთობლივ მოთხოვნასა და ინფლაციაზე. გაზრდილი ლარიზაციის პირობებში გაუმჯობესდება მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობა. ამდენად, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ამოცანა ლარიზაციის ზრდაა.

**Main Directions of National (Central) Bank Activities  
on the Current Stage**

**M. Gogokhia**

The article presents the most important directions of the national (central) bank activities. International practices, objectives and functions of the National Bank of Georgia are analyzed.

The central bank represents a definite variety of a bank, as a whole, with specific characteristics. In its essence it is a social institution which regulates currency flow in cash as well as non-cash payments. Central bank creates deisive economic preconditions for exchanging products, movement of goods and services from the producer to the consumers of public goods. Confidence from the economic entities in the national banks determines business activities to great extent. Sustainable development of the country's bank sector depends exactly on the activities of central bank. Banking regulation and supervision is discussed in the paper.

Special attention is paid to one of the most important issues of the banking practice such as monetary and credit policy, its methods and modern instruments. As experience shows, problems occure in this direction.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Банковское дело, под ред. О.И. Лаврушина, М., 2009;
2. გორგი ცაავა, შოთა გავაშელი, თინათინ ცაავა, მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა, თბ., 2009;
3. ბესიკ სამხარაძე, ფულად-საკრედიტო გადაცემის მექანიზმი საქართველოში: სხვადასხვა გადამცემი არხის ანალიზი, ჭ №02/2008;
4. თორ ტურაბელიძე, ხარჯი – მეტი, მოგება – ნაკლები, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №40, 2 მარტი, 2013წ.;
5. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ 2012.09.11 მდგომარეობით (მუხლი 48);
6. კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი (2012 წლის ივლისის მდგომარეობით).

**ფინანსური აქტივების  
კლასიფიკაცია და შეფასება**

**ნაღჟა კვატაშიძე**  
**ივჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის**  
**ასოცირებული პროფესორი**

ფინანსური აქტივები თავდაპირველად ფასდება რეალური ღირებულებით<sup>1</sup>, ხოლო შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით. ახალი ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“<sup>2</sup> (2013წ.) ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას და შეფასებას უყენებს ახალ მოთხოვნებს. კერძოდ, შეფასების მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია კონკრეტული საწარმოს ბიზნეს-მოდელზე და იმაზე, არის თუ არა აქტივებიდან მისაღები ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი და საპროცენტო თანხის გადახდები. ბიზნეს-მოდელის თავისებურებების გააზრება არის ამ სტანდარტის უმთავრესი პრინციპი და შედეგად ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის საფუძველია ორი კრიტერიუმი:

- საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი;
- ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი ნაკადების დახასიათება (პირველ რიგში ფულადი ნაკადების ფიქსირებულობით და განსაზღვრულობით).

კლასიფიკაციის პირველი კრიტერიუმის თანახმად, საწარმომ უნდა მოახდინოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელირება, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური აქტივების მიმართ უნდა შემუშავდეს სტრატეგია (მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების დროს გამოყენებული

## **ნაღმქვა კვატაშიძე**

შეხვედულებების, მოსაზრებებისა და მსჯელობების გათვალისწინებით) და მოხდეს მისი ფორმალიზება.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელების საფუძველზე ინდივიდუალურად მიიღება გადაწყვეტილება მათი კლასიფიკაციის შესახებ – დგინდება რომელი ბიზნეს-მოდელის ნაწილია ფინანსური აქტივი. მაგალითად, ფინანსური აქტივი შეიძლება იყოს:

- „საკონტრაქტო ფულადი ნაკადების“ ბიზნეს-მოდელის ნაწილი (გაცემული სესხები, ობლიგაციები, თამასუქები, დებიტორული დავალიანება), რომელიც იმართება საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;

- „მოკლევადიანი ლიკვიდურობის მართვის“ მოდელის ნაწილი (ფულადი ეკვივალენტები – ობლიგაციები);

- „სარეზერვო ინვესტიციის“ მოდელის ნაწილი, რომელიც იმართება კომპანიის სტრატეგიის ფარგლებში გრძელვადიანი სტაბილურობის, გადახდისუნარიანობისა და მაღალი მოგების მიღწევამდე (მაგალითად, აქციების ფლობა განუსაზღვრელი ვადით, რომელიც გაიყიდება ყველაზე ხელსაყრელ დროს – მაღალი მოგების მიღების შემთხვევაში).

ფინანსური აქტივების ბუნების დეტალური შესწავლა და ბიზნეს-მოდელების თავისებურებების გააზრება უმთავრესია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის დროს. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება მათი აღიარების დროს და რეკლასიფიკაცია ნებადართულია მხოლოდ საწარმოს ბიზნეს-მოდელის შეცვლის შემთხვევაში.

ფინანსური აქტივების სწორი კლასიფიკაციისა და შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფასს 9 იძლევა გადაწყვეტილების ხეს (იხ.სქემა ), რომლის მიხედვით საწარმომ ისინი უნდა მოახდინოს მათი მიაკუთვნოს ორი ჯგუფიდან ერთერთს:

1. შეფასებულნი ამორტიზებული ღირებულებით;



**2. შეფასებული რეალური ღირებულებით:**

- მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ასახვით;
- სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახვით.

განვიხილოთ ფინანსური აქტივების შეფასება მათი სახეების მიხედვით.

- **სასესხო ინსტრუმენტების შეფასება.**


სასესხო ინსტრუმენტები ფასდება **ამორტიზებული ღირებულებით**, როდესაც დაკმაყოფილდება შემდეგი ორი ტესტი (სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევაში, შეფასება ხდება **რეალური ღირებულებით**):

1. ტესტი „ბიზნეს-მოდელი“-ს [1, გვ.52-54] მიზანია გამოარკვიოს მენეჯმენტის საბოლოო ხედვა ფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით – ფლობა ვადის ამოწურვამდე, რათა მიღებული იქნეს საკონტრაქტო ფულადი ნაკადები, თუ საწარმო გეგმავს მის გაყიდვას ვადის ამოწურვამდე და რეალური ღირებულების ცვლილებებით შემოსავლების მიღება;

2. ტესტის „გადახდები კონტრაქტით“, მიზანია დაადგინოს კონტრაქტით გათვალისწინებულია თუ არა გარკვეულ ვადებში სესხის მხოლოდ ძირითადი და საპროცენტო თანხის მიღება; კეთდება თუ არა დაშვება, რომ ბიზნეს-მოდელი ორიენტირებულია აქტივების შენარჩუნებასა და ფულადი ნაკადების მიღებაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა ნიშნავს, ევექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შექმნის ღირებულებასა და დაფარვის ღირებულებას შორის სხვაობის ასახვას „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“ (მთელი პერიოდის განმავლობაში – შექმნის თარიღიდან დაფარვის ვადამდე). ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვას საფუძვლად უდევს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შეფასება [2, გვ. 2-7]



მაგრამ, ყველა სასესხო ინსტრუმენტი ვერ იქნება შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამის მაგალითია კონვერტირებადი ობლიგაციები, ვინაიდან მისაღები ფულადი ნაკადები მოიცავს პროცენტებს, რომელიც განისაზღვრება არა მხოლოდ დროითი ფაქტორით, არამედ საკრედიტო რისკებითაც ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთით გაცემული კრედიტები.

• **წილობრივი ინსტრუმენტების შეფასება.**

როგორც წესი, იშვიათი გამონაკლისის გარდა<sup>1</sup> წილობრივი ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით „სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“ ან „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“ ასახვით. არჩევანი, რომელიც შემდგომში არ ექვემდებარება შეცვლას, შეიძლება გაკეთდეს ნებისმიერი წილობრივი ინსტრუმენტისათვის, გარდა გასაყიდად განკუთვნილისა. გასაყიდად განკუთვნილი წილობრივი ინსტრუმენტი უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით – „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“ ასახვით.

ვინაიდან, პრაქტიკულად ყველა კოტირებადი და არაკოტირებადი წილობრივი ინსტრუმენტები უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, საჭირო ხდება სათანადო ინფორმაციის მოპოვება. კოტირებადი ფასიანი ქაღალდების

---

<sup>1</sup> სტანდარტი იძლევა განმარტებებს იმ იშვიათი გამონაკლისის შესახებ, როდესაც შეიძლება ზოგიერთი ინსტრუმენტის თვითღირებულება მინეულ იქნეს რეალურ ღირებულებად. ამის მიზეზია უკანასკნელის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ან რეალური ღირებულებით შეფასების შესაძლო შედეგების დიდი დიაპაზონის არსებობა. ამავდროულად, თუ არსებობს ფაქტორები, რომელიც ადასტურებს, რომ თვითღირებულება არ ასახავს რეალურ ღირებულებას (მაგალითად, როდესაც საინვესტიციო ობიექტის საქმიანობის პირობებში, ბაზარსა და ეკონომიკაში მოხდა ცვლილებები), მაშინ შეფასება უნდა მოხდეს რეალური ღირებულებით.

რეალური ღირებულება მოიპოვება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ხოლო არაკორტირებადი ფასიანი ქაღალდების რეალური ღირებულება კომპანიამ თავად უნდა განსაზღვროს ფინანსური მოდელირების გზით, რომელშიც გამოყენებული იქნება მისი პირადი ეკონომიკური დაშვებები (თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრიდან არ არსებობს ანალოგიური ხასიათის ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა).

**• რეალური ღირებულების ცვლილებების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.**

ფინანსური აქტივების რეალური ღირებულების ცვლილებებით (ნებისმიერი სხვაობა წინა საბალანსო ღირებულებასა და მიმდინარე ანგარიშგებითი პერიოდის რეალურ ღირებულებას შორის) წარმოიქმნება რეალიზებული და არარეალიზებული მოგება ან ზარალი, რომელიც მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ის წარმოიქმნა. **რეალიზებული მოგება-ზარალი** წარმოიქმნება ფინანსური აქტივის რეალიზაციის (გაყიდვის, დაფარვის) ოპერაციით და აისახება მიმდინარე პერიოდის „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“. **არარეალიზებული მოგება-ზარალი** არის ისეთი წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებების შედეგი, რომელიც აისახება „სხვა სრულ შემოსავალში“ იქამდე, ვიდრე არ მოხდება მასთან დაკავშირებული წილობრივი ინსტრუმენტის რეალიზაცია.

საწარმო, ბიზნეს-მოდელის საფუძველზე, თავად იღებს გადაწყვეტილებას წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილების ასახვის მეთოდის შერჩევის შესახებ – „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“, თუ „სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“ ასახვით.

კერძოდ, გასაყიდად კლასიფიცირებული წილობრივი ინსტრუმენტების (რომელთა გაყიდვა ნავარაუდევია 12 თვეში და შესაბამისად კლასიფიცირებულია მოკლევადიან აქტივად)

რეალური ღირებულების ცვლილებებით წარმოქმნილი მოგება-ზარალი აისახება „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“. ფასს 9-ით, არასავაჭრო მიზნებისათვის ფლობილი წილობრივი ინსტრუმენტების (გრძელვადიან აქტივად კლასიფიცირებული) რეალური ღირებულების ცვლილებებით წარმოქმნილი მოგება-ზარალი აისახება მიმდინარე პერიოდის „სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში“, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან შემოსულობების (აფასების ნამეტის) ან ზარალის (ჩამოფასების) მუხლით. რეალური ღირებულების ცვლილებებით დაგროვილი კორექტირებები აისახება ბალანსში – „ინვესტიციების გადაფასების რეზერვის“ სახელწოდებით მანმადე, ვიდრე არ მოხდება ამ წილობრივი ინსტრუმენტების რეალიზაცია (გაყიდვა, დაფარვა). ასეთი ფინანსური აქტივების რეალიზაციის შემთხვევაში, რეალური ღირებულების ცვლილებებით დაგროვილი კორექტირება (გადაფასების რეზერვი) არ გადაიტანება „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“, არამედ, რეკლასიფიცირდება კაპიტალის შემადგენლობაში – გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე, როგორც მიღებული მოგება ან ზარალი. ხოლო წილობრივი ინსტრუმენტებიდან მიღებული დივიდენდები, მათი კლასიფიკაციის მიუხედავად, აისახება „მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში“.

**Classification and Measurement of Financial Assets**

**N. Kvatashidze**

The article describes the methods of measurement of financial assets in accordance with Financial Instruments of the new IFRS 9 (2013). IFRS 9 requires an entity to classify financial assets at either amortized cost or fair value on the basis of: a) the entity’s business model for managing the financial assets; and b) the contractual cash flow characteristics of the financial assets unless it chooses to designate the

financial asset at fair value through profit or loss.

If a financial asset does not meet the criteria for amortized cost classification, it is measured at fair value. In other words, where the condition that the contractual cash flows are solely payments of principal and interest is failed, or the objective of the entity's business model is not to hold the financial asset to collect the contractual cash flows, the asset must be measured at fair value.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Journal ACCA. Accounting and Business. 2010. #4, p.52-54;
2. IASB publishes IFRS 9: Phase 1 of new standard to replace IAS 39. p.2;
3. IFRS 9 Financial Instruments. 2013;
4. KPMG. First Impressions: IFRS 9 Financial Instruments. 2010;
5. Practical guide to IFRS. October 2011;
6. IFRS News Special Edition. IFRS 9 Financial Instruments . Grant Thornton;
7. IFRS 9 Financial Instruments.2012. Ernst & Young;
8. IFRS Outlook. May-June. 2011. Ernst & Young;
9. Практическое руководство по применению новых стандартов МСФО (2012). PricewaterhouseCoopers (PWC).

**სოციალური დაზღვევის ფონდის  
რესურსების ცვლილების ანალიზი  
ალბათურ-სტატისტიკური  
გეთოდით**

**ასიე ტინსაპე.**

ე.მ.კ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ნინო სვანიძე.**

ფ.მ.მ.კ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს საქმიანობის ძირითადი ნაწილია, რაც ემსახურება მოსახლეობის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნას და შენარჩუნებას. საქართველო, როგორც ყოფილ სსრკ-ში შემაჯავალი ქვეყანა, მწვავე სოციალური პრობლემებით გამოირჩეოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზე. სოციალური პოლიტიკის არარსებობა, ახალ პირობებში ამ სფეროს მართვის გამოცდილების უქონლობა, ეკონომიკური კავშირების მოშლა, დასაქმების მაღალი დონის შეცვლა მასობრივი უმუშევრობით, სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ მხარდაჭერაზე უარის თქმა, ადგილობრივი ორგანოების განკარგვაში ფინანსური ბაზის არარსებობა, სოციალური ინსტიტუტების ჩამოყვალბებლობა - აი, მიზეზთა ჩამონათვალი, რომლის შედეგი იყო სიღარიბის დონის გაზრდა, მოსახლეობის უმეტესი ნაწილის საარსებო მინიმუმის გარეშე დარჩენა, რამაც თანამედროვე პერიოდამდე მოაღწია და ზოგიერთ შემთხვევაში გამწვავდა კიდევ.

2003 და 2004 წლების ბიუჯეტის კანონის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი შედგებოდა ცენტრალური ბიუჯეტი-სა და სპეცფონდებისაგან: მათ შორის იყო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დაზღვევის გადასახადი იყო მიზნობრივი, იგი ისეთივე წესით შედიოდა ხაზინაში, როგორც სხვა წმინდა საბიუჯეტო გადასახადები და ცალკე მიმღები ანგარიში ხაზინაში სოციალური დაზღვევის გადასახადისათვის არ არსებობდა. ამგვარი მიდგომა სოციალური დაზღვევის ფონდის კაპიტალს მუდმივად სახელმწიფო ტრანსფერის ამარა ტოვებდა და შესაბამისად სოციალური დაცვაც სათანადო ხარისხით ვერ ხორციელდებოდა. 2005 წელს სოციალური

დაზღვევის გადასახადი გაუქმდა, დაწესდა სოციალური გადასახადი, რომელიც უშუალოდ ბიუჯეტში აკუმულირდებოდა. ამასთან, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება მხოლოდ საბიუჯეტო ასიგნებებით ხორციელდებოდა. არსებული მექანიზმის პირობებში, ცხოვრების თუნდაც მინიმალური სტანდარტებით დაკმაყოფილება ვერც ერთი საბიუჯეტო წლის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი, სხვა მრავალთან ერთად, იყო ფონდის არასწორი მართვა, კერძოდ, მისი ფორმირების წყაროების არასწორი შეფასება და რესურსების არამიზნობრივი გამოყენება.

საქართველოში, დღეისათვის, კომერციული დაზღვევის გამოყენებით, მოსახლეობის სოციალური დაცვა შემოსავლების დაბალი დონის გამო, ვერ ხორციელდება, ამიტომ სახელმწიფოს მიერ სოციალური ფუნქციის შესრულების ერთადერთი გზა სადაზღვევო მექანიზმის გამოყენებაა. სოციალური დაცვის ამგვარი სტრუქტურა, ერთი მხრივ, წააგავს სადაზღვევო საქმიანობას, მაგრამ აქვს განმასხვავებელი თავისებურებები, რაც გამოიხატება მისი არაკომერციული ხასიათით, ასევე, ვალდებულებით დააფინანსოს სოციალური დაცვის პროგრამები და გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებზე, მიუხედავად იმისა, ფონდის რესურსები არის თუ არა საკმარისი. (3.გვ.7), ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს ფონდის რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ჩვენი სტატიის მიზანიც სწორედ აღნიშნული პრობლემის მოგვარებაა მათემატიკური მოდელის გამოყენებით, იმ ვარაუდით, რომ სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის ფულადი საშუალებების გასვლა არის შემთხვევითი პროცესი, ხოლო დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია ფონდში აკუმულირებული ფულადი რესურსების სიდიდეზე.

სოციალური დაზღვევის ფონდის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ძირითად მახასიათებლად განვიხილავთ ფონდის მოცულობას –  $U(t)$ .

ფონდის მოცულობა განიცდის შემდეგ ცვლილებებს:

1. ორგანიზაციებიდან და საწარმოებიდან ფონდში ფინანსური მექანიზმის ფორმირების წყაროს შესაბამისად, სადაზღვევო შენატანების სახით მიედინება ფულადი რესურსები. ჩავთვალოთ, რომ ეს პროცესი დროში უწყვეტია და ფულადი ნაკადები მოძრაობს  $c_0$  სიჩქარით;



2. ფონდში აკუმულირებული რესურსები გამოიყენება სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად. ჩავთვალოთ რომ ეს პროცესიც დროში უწყვეტია, თუმცა, მისი სინქარე -  $c'(U)$  დამოკიდებულია დროის მოცემულ მომენტში ფონდის სიდიდეზე. სხვაობა  $c_0 - c'(U)$  გამოსახავს დეტერმინირებული გასავლების ხარჯზე ფონდის რესურსების ცვლილების სინქარეს და დამოკიდებულია აკუმულირებული ფულადი რესურსების  $U$  სიდიდეზე;

3. სოციალური დაზღვევის ფონდის ძირითადი დანიშნულებაა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება. ვინაიდან ფონდი სოციალურია, ხოლო სოციალური რისკი მრავალრიცხოვანი, ანუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ალბათობა მაღალია, ფონდის დახასიათებისათვის ვიყენებთ პუასონის განაწილების კანონს, რათა შევძლოთ მაქსიმალურად მაღალი ხარისხით შევავასოთ ფონდის ფუნქციონირების ეფექტიანობა. ვთქვათ, სადაზღვევო შემთხვევათა დადგომა პუასონის კანონით განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია  $\lambda$  პარამეტრით, ხოლო თვით სადაზღვევო ანაზღაურებათა სიდიდეები  $\xi$  კი დამოუკიდებელი, ექსპონენციალურად განაწილებული შემთხვევითი სიდიდეებია

$$p_\xi(x) = \frac{1}{a} e^{-\frac{x}{a}}, \quad x \geq 0 \quad \text{ალბათობის სიმკვრივით.}$$

გარდა ამისა, დაეუშვათ, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როცა  $U(t) = 0$  ფონდი არ კოტრდება, და ის განაგრძობს სადაზღვევო შემთხვევების დაფინანსებას მაშინაც, როცა  $U(t) < 0$ , ოღონდ შეფერხებებით. აქ იგულისხმება, რომ სოციალური დაზღვევის ფონდი მრავალკომპონენტიანია და იმ შემთხვევაში, როცა სადაზღვევო შენატანები ვერ უზრუნველყოფს დროის კონკრეტულ პერიოდში სოციალური დაცვის დაფინანსებას, სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების ნაწილს მიმართავს მის დასაფინანსებლად. (1, გვ.84)

სოციალური დაზღვევის ფონდის ეფექტიანი მართვა მოითხოვს მათემატიკურად დასაბუთდეს ფონდში შემაჯალი და გამაჯალი ფულადი ნაკადების თანაფარდობა დროის კონკრეტული პერიოდისათვის. ამისათვის განვიხილოთ ფულადი რესურსების განაწილების სიმკვრივე სტაციონარულ მდგომარეობაში. სოციალური დაზღვევის ფონდი, რომლის ფორმირების ძირითადი

წყარო დასაქმებულთა და დამსაქმებელთა სადაზღვევო შენატანები, პირველ რიგში, ფუნქციურად სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურების მომსახურებას ეწევა, ხოლო სხვა დანარჩენი რესურსი მიიმართება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად. ამიტომ, საჭიროა განისაზღვროს ფონდის სარეზერვო კაპიტალის მოცულობა  $U_0$ , რომლის ქვემოთ მოხდება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევების ანაზღაურება. ე.ი.

- თუ  $U < U_0$  - არ ხდება სოციალური პროგრამების დაფინანსება,

- თუ  $U \geq U_0$  - ხდება სოციალური პროგრამების დაფინანსება.

მივიღოთ გამოსახულება ფონდის ფულაი რესურსების განაწილების  $p(u)$  სიმკვრივისთვის სტაციონარულ რეჟიმში ( $t \rightarrow \infty$ ). ზემოთ აღნიშნულ თითოეულ არეში ამ სიმკვრივეს აქვს სხვადასხვა სახე. შემოვიტანოთ აღნიშვნები:  $p_1(u) = p(u)$ , როცა  $U < U_0$  და  $p_2(u) = p(u)$ , როცა  $U \geq U_0$

გავანალიზოთ ფონდის მოცულობის ცვლილება დროის უსასრულოდ მცირე  $(t, t+h)$  შუალედში. კოლმოგოროვის განტოლებების აგების მეთოდის გამოყენებით მარკოვის პროცესებისათვის (2, გვ. 298-313) მიიღება გამოსახულება  $p_1(u)$  სიდიდისათვის:

$$p_1(u) = p_1(u - c_0 h)(1 - \lambda h) + \lambda h \int_0^{\infty} p_1(u - c_0 h + x) p_x(x) dx + o(h) \quad (1)$$

ტოლობის მარჯვენა მხარეში პირველი შესაკრები აღწერს სიტუაციას, როცა  $t$  მომენტში ფონდის მოცულობა იყო  $U - c_0 h$  და  $h$  დროში ადგილი არ ჰქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას, ამასთან ფონდის მოცულობა გაიზარდა  $c_0 h$  - სიდიდით. შესაბამისი ალბათობაა  $1 - \lambda h + o(h)$ .

მეორე შესაკრები აღწერს სიტუაციას, როცა  $t$  მომენტში ფონდის მოცულობა იყო  $U - c_0 h + x$ ,  $h$  დროში კი გაიცა  $x$  სიდიდის ტოლი სადაზღვევო ანაზღაურება. ამ პროცესის შესაბამისი ალბათობაა  $\lambda h + o(h)$ .  $x$  - ის სხვადასხვა

მნიშვნელობის გათვალისწინებით მიიღება ინტეგრალი მეორე შესაკრებში.

$p_1(u - c_0 h)$  წვერის მარცხნივ გადმოტანით, ტოლობის  $h$ -ზე გაყოფით და ზღვარზე გადასვლით, როცა  $h \rightarrow 0$ , მიიღება შემდეგის სახის ინტეგრო-დიფერენციალური განტოლება:

$$c_0 p_1'(u) = -\lambda p_1(u) + \lambda \int_0^{\infty} p_1(U+x) p_{\xi}(x) dx \quad (2)$$

გავითვალისწინოთ  $p_{\xi}(x)$  ფუნქციის ექსპონენციალური სახე და მივიღოთ დიფერენციალური განტოლება  $p_1(u)$  ფუნქციის მიმართ:

$$c_0 p_1''(u) - \frac{c_0 - \lambda a}{a} p_1'(u) = 0$$

რომლის ამონახსნსაც აქვს შემდეგი სახე:  $p_1(u) = C_1 + D_1 e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a} u}$ .

ჩავთვალოთ, რომ  $c_0 > \lambda a$ , რაც იმას ნიშნავს, რომ ფონდის მოცულობა საშუალოდ იზრდება, შესაბამისად  $(U - U_0)$ -ის კოეფიციენტი დადებითია. ამიტომ,  $\lim_{u \rightarrow -\infty} p_1(u) = 0$  და  $C_1 = 0$ ,  $D_1$

კი მოსახერხებელია ჩავწეროთ შემდეგი სახით:  $D_1 = \bar{C} \cdot e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a} u}$ .  $p_1(u)$ , ხოლო საბოლოოდ მიიღებს შემდეგ სახეს:

$$D_1 = \bar{C} \cdot e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a} (u - u_0)} \quad (3)$$

განვიხილოთ  $U \geq U_0$  არე. შევნიშნავთ, რომ ამ არეში ყოველთვის  $c(U) = c_1$ . წინა შემთხვევის ანალოგიურად, ფონდის მდგომარეობის შესწავლით, დროის მცირე  $(t, t+h)$  ინტერვალში, მიიღება გამოსახულება  $p_2(u)$ -ს მიმართ:

$$p_2(u) = p_2(u - c_1 h)(1 - \lambda h) + \lambda h \int_0^{\infty} p_2(u - c_1 h + x) p_{\xi}(x) dx + o(h) \quad (4)$$

პირველი შესაკრები მარჯვენა მხარეში შეესაბამება სიტუაციას, როცა მომენტში ფონდის მოცულობა იყო  $U - c_1 h$  და  $h$  დროში აღვილი არ ჰქონდა სადაზღვევო ანაზღაურებას. ამ სიტუაციის ალბათობაა  $1 - \lambda h + o(h)$ .

მეორე შესაკრები აღწერს სიტუაციას, როცა  $t$  მომენტში ფონდის მოცულობა იყო  $U - c_1 h + x$ ,  $h$  დროში კი გაიცა  $x$  სიდიდის ტოლი სადაზღვევო ანაზღაურება. ამ პროცესის შესაბამისი ალბათობაა  $\lambda h + o(h)$ .

(4)ტოლობის გარდაქმნით და ექსპონენციალური სადაზღვევო ანაზღაურებების გათვალისწინებით, მიიღება დიფერენციალური განტოლება  $p_2(u)$  ფუნქციის მიმართ:

$$p_2''(u) + \frac{\lambda a - c_1}{ac_1} p_2'(u) = 0 \quad (5)$$

შევნიშნავთ, რომ  $\lambda a > c_1$ . რაც ნიშნავს, რომ ფონდის მოცულობა საშუალოდ მცირდება. მაშინ (5) განტოლების ამონახსნს ექნება სახე:

$$p_2(u) = C_2 + D_2 e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a} u}$$

გავითვალისწინებთ რა ტოლობას  $\lim_{u \rightarrow \infty} p_2(u) = 0(t)$ , მივიღებთ

$C_2 = 0$ . მსჯელობების შემდგომი გამარტივების მიზნით ჩავწეროთ

$D_2$  შემდეგი სახით  $D_2 = C \cdot e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a}}$ . საბოლოო  $p_2(u)$  -ის გამოსახულება მიიღებს სახეს:

$$p_2(u) = C \cdot e^{\frac{\lambda a - c_1}{ac_1}(u - u_0)}, \quad U \geq U_0. \quad (6)$$

საპოვნელი დარჩა  $C$  და  $\bar{C}$  მუდმივები. რადგან  $p_1(u_0) = p_2(u_0)$ , საბოლოოდ მივიღებთ:  $C = \bar{C}$ .

და ბოლოს,  $C$  - ს მნიშვნელობა გამოითვლება ნორმირების პირობიდან:

$$\int_{-\infty}^{\infty} p(u) du = \int_{-\infty}^0 p_1(u) du + \int_0^{\infty} p_2(u) du = 1.$$

აქ შემავალი ინტეგრაციების გამოთვლით მიიღება:

$$C = \frac{(\lambda a - c_1)(c_0 - \lambda a)}{\lambda a^2 (c_0 - c_1)} > 0. \tag{7}$$

ამგვარად, მივიღეთ კაპიტალის ალბათობის სიმკვრივე

$$p(u) = \begin{cases} C e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a} (u - u_0)}, & U < U_0 \\ C \cdot e^{\frac{\lambda a - c_1}{a c_1} (u - u_0)}, & U > U_0 \end{cases}, \tag{8}$$

რომელშიც  $C$  განისაზღვრება (7) ტოლობიდან ვიპოვოთ კაპიტალის საშუალო მოცულობა სტაციონარული რეჟიმით. ამისათვის ეს სიდიდე წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:  $U = U_0 + \mu$ , სადაც

$$p(\mu) = \begin{cases} C e^{\frac{c_1 - \lambda a}{c_1 a} \mu}, & \mu > 0 \\ C e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a} \mu}, & \mu < 0 \end{cases}.$$

მათემატიკური ლოდინი  $\mu$  სიდიდისა, რომელიც გამოხატავს საშუალოდ ერთდროულად სოციალურ პროგრამებსა და სადაზღვევო შემთხვევებზე გაცემულ თანხას,  $C$  -ს (7) გამოსახულების გათვალისწინებით ტოლი იქნება:

$$E(\mu) = \int_{-\infty}^{\infty} \mu p(\mu) d\mu = \frac{a(2c_0 c_1 - \lambda a(c_0 + c_1))}{(c_0 - \lambda a)(\lambda a - c_1)}. \tag{9}$$

სოლო ფონდის საშუალო მოცულობა იქნება:  $E(U) = U_0 + E(\mu)$ .

**ფონდის მუშაობის ალბათური მახასიათებლები.** მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დაზღვევის ფონდი სოციალური რისკების რეალიზებისაგან მიღებული ზარალის დაფინანსებაზე ორიენტირებული, არ არსებობს ფონდის ფუნქციონირების ისეთი პერიოდი, როდესაც შესაძლებელია სოციალური დაცვის საჭიროება გამოირიცხოს. ამიტომ, სოციალურ ფონდთან

მიმართებით რისკის ალბათური ბუნებიდან გადახვევა ხდება, რაც ნიშნავს იმას, რომ თვით ფონდისათვის სოციალური რისკი მუდმივად არსებობს და მისი რეალიზება თითქმის განსაზღვრულია. ამ შინაარსით, სოციალური დაზღვევა სადაზღვევო ფონდისათვის ფაქტობრივად ურისკო დაზღვევის სახეს ატარებს, რადგან ფონდის წინაშე მუდმივად დგება სოციალური პროგრამების თუ სადაზღვევო შემთხვევების დაფინანსების აუცილებლობა. ამიტომ, ფონდის მართვის პრობლემის გადაჭრისათვის, უნდა განვიხილოთ ფონდის ფუნქციონირების ალბათური მახასიათებელი.

**ფონდის მიერ სოციალური პროგრამების დაფინანსების ალბათობა.** ფონდი აფინანსებს სოციალურ პროგრამებს, თუ  $U \geq U_0$ . ამ ხდომილობის ალბათობა ტოლია

$$\pi_2 = P(U \geq U_0) = \int_{U_0}^{\infty} p_2(u) du = C \int_{U_0}^{\infty} e^{\frac{a\lambda - c_1}{ac_1}(u - u_0)} du = C \frac{ac_1}{\lambda a - c_1}$$

C-ს მნიშვნელობის ჩასმით მივიღებთ:

$$\pi_2 = \frac{(c_0 - \lambda a)c_1}{\lambda a(c_0 - c_1)}. \quad (10)$$

**ფონდის მიერ გადახდის უზუნარობის ალბათობა.** ფონდი წყვეტს სადაზღვევო ანაზღაურებების გაცემას, როცა  $U < 0$ . ხდომილობის ალბათობაა

$$\pi_0 = P(U < 0) = \int_{-\infty}^0 p_1(u) du = C \int_{-\infty}^0 e^{\frac{c_0 - \lambda a}{c_0 a}(u - u_0)} du = C \frac{ac_0}{c_0 - \lambda a} e^{-\frac{c_0 - \lambda a}{ac_0} U_0}$$

C-ს მნიშვნელობის გათვალისწინებით კი მივიღებთ:

$$\pi_0 = \frac{c_0(\lambda a - c_1)}{\lambda a(c_0 - c_1)} e^{-\frac{c_0 - \lambda a}{ac_0} U_0} \quad (11)$$

ცხადია  $\pi_1 = 1 - (\pi_0 + \pi_2)$  გვაძლევს იმის ალბათობას, რომ ფონდი გაცემს სადაზღვევო ანაზღაურებას, მაგრად ვერ აფინანსებს სოციალურ პროგრამებს.

ფონდის მართვის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტს წარმოადგენს წინასწარ დასაშვები  $\pi_0$  და  $\pi_2$  ალბათობებისათვის შეირჩეს  $c_1$  და  $U_0$ . ამ შემთხვევაში, (10)-(11) ტოლობების გათვალისწინებით, მიიღება გამოსახულებები მათ გამოსათვლელად:

$$c_1 = \frac{\pi_2 \lambda a c_0}{c_0 - (1 - \pi_2) \lambda a} \quad (12)$$

$$U_0 = \frac{a c_0}{c_0 - \lambda a} \ln \left[ \frac{c_0 - (\lambda a - c_1)}{\pi_0 \lambda a (c_0 - c_1)} \right] \quad (13)$$

ამით  $c_1$  და  $U_0$  სიდიდეები სრულად განისაზღვრება. მაგალითების განხილვით დაეკვირდეთ როგორ გავლენას ახდენს ერთ-ერთი პარამეტრის ცვლილება სხვა პარამეტრების ცვლილებაზე:

მაგალითი 1. ვთქვათ ფონდის ფუნქციონირების პარამეტრებია  $\lambda = 100$ ,  $a = 1$ ,  $c_0 = 120$ ,  $\pi_0 = 0,01$ . მოთხოვნა იმისა, რომ გაიზარდოს სოციალურ პროგრამის დაფინანსება (ე.ი.  $\pi_2$  - ის ზრდა), სოციალურ პროგრამაზე თანხის გაცემის  $c_1$  სიჩქარეზე, სარეზერვო კაპიტალის  $U_0$  სიდიდესა და ფონდის  $U$  საერთო მოცულობაზე შემდეგნაირად აისახება (ცხრილი 1):

ფონდის მოცულობის დამოკიდებულება სოციალური პროგრამების დაფინანსების ალბათობაზე.

ცხრილი 1

$\pi_2$	$c_1$	$U_0$	$U$
0,5	85,71	15,87	159,88
0,6	90	15,86	228,87
0,7	93,33	15,85	343,86
0,8	96	15,83	573,84
0,9	98,18	15,75	1263,78

ცხრილიდან ჩანს, როგორ უნდა იცვლებოდეს თანხების გაცემის სიჩქარე სოციალურ პროგრამაზე, შესაბამისად მცირდება სარეზერვო კაპიტალის  $U_0$  სიდიდე და იზრდება

ფონდის საერთო მოცულობა. ცხრილიდან ჩანს, ისიც რომ  $\pi_2$  - ის ზრდა უმნიშვნელოდ ამცირებს  $U_0$  სიდიდეს, მაგრამ თვით ფონდის საშუალო მოცულობა  $U$  საგრძნობლად იზრდება მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდოს სოციალური პროგრამების დაფინანსების მოცულობა.

მაგალითი 2. ვთქვათ  $\lambda = 100$ ,  $a = 1$ ,  $c_0 = 120$ ,  $c_1 = 90$ ,  $\pi_2 = 0,6$ .

შემცირდა მოთხოვნა იმაზე, რომ გაცემულ იქნეს სადაზღვევო თანხები. (ე.ი. იზრდება  $\pi_0$ ) შესაბამისად იცვლება სარეზერვო კაპიტალის სიდიდე და ფონდის საერთო მოცულობა (იხ. ცხრილი2)

ფონდის მოცულობის დამოკიდებულება ფონდის გადახდისუუნარიანობის ალბათობაზე

ცხრილი 2

$\pi_0$	$U_0$	$U$
0,01	23,93	236,94
0,02	20,46	233,47
0,04	16,99	229,99
0,05	15,87	228,87
0,1	12,37	225,38

ცხრილი 2 გვიჩვენებს როგორ მცირდება სარეზერვო კაპიტალის სიდიდე და ფონდის საშუალო მოცულობა, როცა მოთხოვნა იმაზე, რომ გადახდილ იქნეს სადაზღვევო ანაზღაურებები, მაინც მცირდება. კერძოდ,  $\pi_0$  - ს მცირე ზრდა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სარეზერვო კაპიტალის სიდიდეზე, ხოლო მოთხოვნა ფონდის საერთო მოცულობაზე მცირდება იმავე რაოდენობით, რა სიდიდითაც მცირდება კაპიტალის სარეზერვო მოცულობა.


მაგალითი 3. ვთქვათ,  $\lambda = 100$ ,  $a = 1$ ,  $c_0 = 120$ ,  $U_0 = 14$ .



ფონდის მუშაობის ალბათური მახასიათებლების დამოკიდებულება  
კაპიტალის ცვლილების სიჩქარეზე

ცხრილი 3 და ნახაზი

$c_0 - c_1$	$\pi_0$	$\pi_1$	$\pi_2$
25	0,003	0,233	0,76
30	0,002	0,398	0,6
35	0,002	0,512	0,486
40	0,002	0,598	0,4
45	0,002	0,665	0,333



ცხრილი 3 და ნახაზი გვიჩვენებს როგორ იცვლება ფონდის მუშაობის ალბათური მახასიათებლები ფონდის რესურსების მოძრაობის სიჩქარის გაზრდით ფიქსირებული სიდიდისათვის –  $U_0 = 14$ . კერძოდ, სოციალური პროგრამების დაფინანსების ალბათობა მნიშვნელოვნად მცირდება და იზრდება ალბათობა იმისა, რომ დაფინანსებული იქნეს მხოლოდ სადაზღვევო ანაზღაურებები, ხოლო ალბათობა იმისა, რომ გაიცეს სადაზღვევო ანაზღაურებები, უმნიშვნელოდ მცირდება.

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია და გამოკვლეული სოციალური დაზღვევის ფონდის რესურსების მართვის მათემატიკური მოდელი ექსპონენციალური სადაზღვევო ანაზღაურებებითა და დეტერმინირებული სოციალური

პროგრამების დაფინანსებით; მიღებულია ფონდის რესურსების ალბათობის სიმკრივის გამოსახულება, ფონდის მუშაობის ალბათური მახასიათებლები, რაც საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს ფონდის რესურსების საკმარისობა მისი მართვის ყველა დონეზე.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, მართალია, ნაკლებად აღეკვატურია რეალურ პროცესებთან მიმართებით, მაგრამ მათი გამოყენებით ფონდის მართვის გადაწყვეტილებების მიღებისას, მაღალი ალბათობით უზრუნველყოფილი იქნება კონკრეტულ მომენტში საჭირო რაოდენობის რესურსების არსებობა სოციალური პროგრამების და სადაზღვევო ანაზღაურების დასაფინანსებლად.

**Analysis of Change of the Social Insurance Fund  
with Probabilistic and Statistical Methods**

*A. Tsintsadze  
N. Svanidze*

Mathematical model of management of a social insurance funds with the exponentially distributed insurance compensations and deterministic expenditures for social programs is represented and analyzed. A probability density function of the capital and probabilistic characteristics for the fund's functioning are obtained, which can be applied to determine the sufficiency of fund's capital management at all levels. Using the results of this research it is possible for particular period of time determine in insurance fund change of cash flow movement speed, on what basis in determined from state tax revenues assigns acceptance necessity and capacity.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Змеев О.А. Математическая модель фонда социального страхования детерминированными расходами на социальные программы (диффузионное приближение) // Изв. вузов Физика. 2003. № 3. с. 83-87;
2. Гнеденко Б.В. Курс теории вероятностей. М.: Едиториал УРСС, 2005. с. - 448;
3. ვეკუა დ. პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფის ზოგიერთი მაკროეკონომიკური პრობლემა, ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 2003, 5.

**სოციალისტური ინტეგრაცია რეგიონული  
ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის  
კონტექსტით – საბაზრო ინტეგრაციის ანტიპოდი  
(საფხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მაგალითზე)**

**ეკა ლეკაშვილი**

**ეკონომიკის დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის  
ასოცირებული პროფესორი**

მსოფლიო ეკონომიკის ტენდენციების ცვლილების პირობებში მცირე ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა უფრო გახსნილი და ნაკლებად დივერსიფიცირებულია, ურთიერთ-დამოკიდებულებისა და ინტეგრაციული პროცესების დიდ ზეგავლენას განიცდიან. ამ თვალსაზრისით აქტუალურია მეზობელ ქვეყნებთან ობიექტურად განვითარებული კავშირები ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტით.

ამასთან, თანამედროვე პერიოდში განვითარებულმა საფინანსო კრიზისმა მრავალი კითხვა დასვა ევროკავშირის ერთიანობის შენარჩუნების საკითხზე. ინტეგრაციის ფარგლებში განვითარებული პრობლემების ფონზე ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი (მ. შულცი, ვ. რომპელი, ი. უილიამზი, ნ. სარკოზი, ფ. უაიტი, ნ. ფარაჟი, დ. როდრიკი და სხვები) ეჭვქვეშ აყენებს ევროკავშირის ინტეგრაციის განვითარებას, მაშინ როდესაც ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიაში ევროკავშირი ინტეგრაციის კლასიკური მაგალითია.

საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესში გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ ინგრეოდა ისეთი გაერთიანება, რომლის მსგავსის შექმნისკენაც ათწლეულების განმავლობაში იღწვოდა ევროპა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი წარმოადგენდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ

კავშირს, რომელშიც ფორმალურად გაცხადებული იყო სუ-  
ვრენული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, თუმცა, საზოგა-  
დო მოღვაწეთა შეფასებით მსოფლიო ისტორიაში იგი „საბ-  
ჭოთა იმპერიის“ სახელით შევიდა (ნ. ბერდაევი, ს. ფრანკი,  
ს. ბუდგაკოვი და სხვა). საზოგადოების კომუნისტური იდეის  
ეკონომიკური არაპრაქტიკულობის შესახებ შეხედულებები  
გადმოცემულია ვ. ბერკენის ნაშრომშიც. პარალელების გაე-  
ლება საბჭოთა კავშირსა და ევროკავშირს შორის დღესაც  
განიხილება (ვერნონ კოლემენი, ვლ. ბუკოვსკი, ა. მერკელი  
და ა.შ). საფუძვლიანი იყო და არის თუ არა ეს შეფასებები,  
იყო თუ არა საბჭოთა კავშირი, როგორც სოციალისტური  
ინტეგრაციის მაგალითი თავისი მაჩვენებლებით კლასიკური  
ეკონომიკური ინტეგრაცია? შეუწყო თუ არა ხელი შვიდი  
ათწლეულის განმავლობაში სოციალისტურმა ინტეგრაციამ  
საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ საქართველოს, სომხ-  
ეთს და აზერბაიჯანს შორის მარტივი სავაჭრო-საწარმოო  
კავშირების შენარჩუნებას და განვითარებას, რაც საბაზრო  
პირობებში ინტეგრაციის წინაპირობა შეიძლება გამხდარი-  
ყო? შეიცავდა თუ არა სოციალისტური ინტეგრაცია გაერ-  
თიანების ობიექტური ტენდენციის ნიშნებს, რაც ეკონომი-  
კური ეფექტიანობის წინაპირობად განიხილება?

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნულ  
კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობა სამხრეთ კავკასი-  
ის ქვეყნების მაგალითზე. კვლევის მიზანია სოციალის-  
ტური ინტეგრაციის თავისებურებების კვლევა რეგიონული  
ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის კონტექსტით სამხრეთ  
კავკასიის ქვეყნების მაგალითზე.

რეგიონული ინტეგრაცია თანამედროვე მსოფლიო  
ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას წარმოად-  
გენს. ის ეროვნული ეკონომიკის სივრცითი ტრანსფორმაციის  
გადაწყვეტი ელემენტია. სივრცითი ტრანსფორმაციის ეფექ-  
ტიანობის მისაღწევად რეგიონული ინტეგრაციის სტრატეგია

უნდა უკავშირდებოდეს ეკონომიკურ გეოგრაფიას. წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია ბაზრების ზომა, მდებარეობა და მსოფლიოს ცალკეული ნაწილის დიდ ბაზრებთან კავშირებზე გასვლა.

მცირე ქვეყნების უმრავლესობას, ცალკე აღებულს, კვალიფიციური სამუშაო ძალა არ ჰყავს, ადგილობრივი ფინანსური სახსრების სიმცირეს განიცდის, საწარმოო კლასტერის და დამატებითი მომსახურების შექმნის უნარი არ აქვს. რეგიონული შეთანხმებები კი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მოპოვების სტრატეგიაა მცირე, ღარიბი და უპირატესობების არ მქონე ქვეყნებისთვის, რომელთაც სურთ მსოფლიო ბაზარზე გასვლა.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკაში აღმოცენებული ინტეგრაციული დაჯგუფებები მიზნად ისახავენ ისეთი მსგავსი ამოცანების გადაჭრას, როგორცაა მასშტაბის ეკონომიის უპირატესობებით სარგებლობა, ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემოს შექმნა, სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა, ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება, ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა.

ეკონომიკური ინტეგრაციის ტერმინი შევედმა მეცნიერმა ელი ჰექსერმა (1930) დაამკვიდრა, თუმცა თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის ძირითადი პრინციპები იაკობ ვაინერმა (1950) შეიმუშავა. მან გამოიკვლია ინტეგრაციის შედეგად ვაჭრობის წარმართვის და ვაჭრობის შეკვეცის ეფექტები, რაც გამოიხატება ინტეგრაციის წევრ ქვეყნებში საქონლის შიდა რეგიონული ნაკადების ცვლილებით. ვაინერის მიხედვით საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად არსებობს ეკონომიკაში მოსალოდნელი ეფექტების ორი სახე: სტატიკური და დინამიკური. სტატიკური ეფექტი ეკონომიკური შედეგია, რომელიც ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის ადრეულ ეტაპზე მისი უშუალო შედეგის

სახით. დინამიკური ეფექტი კი ეკონომიკური შედეგის სახით ვლინდება ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნის გვიანულ ეტაპზე, როგორც დაჯგუფების ფუნქციონირების შედეგი. სტატიკურ ეფექტებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვაჭრობის წარმართვის (გაუმჯობესების) და ვაჭრობის შეკვეცის ეფექტებს. ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტი სახეზეა იმ შემთხვევაში, როდესაც ინტეგრაციული დაჯგუფების, საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად შეიძლება წარმოიშვას სიტუაცია, როდესაც საქონელი, რომელიც ტრადიციულად შეისყიდებოდა საშინაო ბაზარზე, ხდება ძვირი, ვიდრე უცხოეთში წარმოებული იგივე საქონელი. თუ საბაჟო კავშირის შექმნამდე ადგილობრივ მწარმოებელს საიმპორტო ბაჟები იცავდა, რაც არამომგებიანს ხდიდა საზღვარგარეთ საქონლის შექმნას, საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ, ტარიფების შეცვლის შედეგად, უცხოური საქონელი სამამულლოზე იაფი ხდება და იწყება უცხოეთიდან ამ იაფი საქონლის შემოტანა, ანუ საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების შედეგად იზრდება იმპორტული საქონლის ნაკადი, რაც ვაჭრობის გაუმჯობესების მანქვენებლებში აისახება.

ვაჭრობის გაუმჯობესება ნიშნავს ადგილობრივი მომხმარებლების გადასვლას დაბალეფექტიანი საშინაო საქონლის მიღების წყაროდან მაღალეფექტიან საგარეო წყაროზე (იმპორტზე).

ვაჭრობის შეკვეცის ეფექტი ვაჭრობის გაუმჯობესების ეფექტის საპირისპირო მანქვენებელია, რადგან ამ შემთხვევაში საქონლის მიღების საგარეო წყარო არ გვევლინება ყველაზე ეფექტიანად. ინტეგრაციის არაწევრ ქვეყანას, რომლის მიმართაც ვრცელდება ერთიანი საბაჟო ტარიფი, შეუძლია მოცემული საქონლის მიწოდება უფრო ნაკლებ ფასად. ვაჭრობის შეკვეცა არის ადგილობრივი მომხმარებლების გადასვლა ინტეგრაციის გარე წყაროდან ინტეგრაციის შიგა, ნაკლებ ეფექტიან წყაროზე, რომელიც წარმოიშობა საბაჟო

კავშირის ფარგლებში საიმპორტო ტარიფის მოხსნის შედეგად. ზოგადად, ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნიდან მიღებული საბოლოო შედეგი განისაზღვრება იმით, თუ როგორია შესაბამისობა ვაჭრობის გაუმჯობესებისა და ვაჭრობის შეკვეცის მაჩვენებლებს შორის.

რეგიონული ინტეგრაციის თეორიის საბაზისო პრინციპები შეაჯამა უნგრელმა ეკონომისტმა ბელა ბალასამ (1961). მისი აზრით, ზენაციონალური ბაზრები ეროვნული საზღვრების გარეშე, წარმოების ფაქტორების თავისუფალი მიმოსვლის პირობებში, ინტეგრაციას როგორც ეკონომიკურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში ბუნებრივად იწვევს.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის სტატიკური თეორიის განხილვა დინამიკური ანალიზის საფუძველზე განახორციელა რ. დალიმოვმა. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დაგროვილი ცოდნა წარმატებით იქნა გამოყენებული ეკონომიკური პროცესების დინამიკის ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. დინამიკური მოდელით მათემატიკურად დადასტურდა, რომ ყველა ქვეყანა მოიგებს ეკონომიკური გაერთიანებიდან, თუმცა დიდი სახელმწიფოები მიიღებენ მშპ-ს და მწარმოებლურობის ნაკლებ ზრდას და, პირიქით, გაერთიანება უფრო მეტად მომგებიანია მცირე ქვეყნებისთვის. მასშტაბის ეკონომია ეკონომიკური ინტეგრაციის დასაბუთებაა, რადგან მასშტაბის ეკონომია ზოგჯერ მოითხოვს უფრო დიდი ბაზარს, ვიდრე ეს შესაძლებელია ცალკეული ქვეყნის მასშტაბით.

საერთაშორისო ეკონომიკაში ინტეგრაციის ეფექტი ფასდება იმის მიხედვით თუ რა შედეგს გვაძლევს ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება: მიყვავართ თუ არა მას თავისუფალი ვაჭრობისკენ და, პირიქით, რამდენად ზღუდავს სავაჭრო ნაკადებს. ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT) თანახმად უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობებში შესაძლებელია საბაჟო კავშირის და

თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა. წესების მიხედვით ინტეგრაციული დაჯგუფების შექმნამდე შესაძლებელია გარდამავალი მოლაპარაკებების წარმოება, რომელმაც უნდა მოამზადოს საფუძველი საბაჟო კავშირის შესაქმნელად.

რეგიონული ეკონომიკური გაერთიანების ტერმინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ინტეგრაციის სხვადასხვა ფორმას მოიცავს. ეკონომიკური ინტეგრატურაში განვითარების ეტაპების მიხედვით წარმოდგენილია ინტეგრაციის ოთხი ძირითადი ფორმა შემდეგი თანმიმდევრობით: თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, ერთიანი ბაზარი, ეკონომიკური კავშირი.

ეს კლასიფიკაცია სისტემატიზებულია და არ გვიჩვენებს ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურებს და სიღრმეს. რეალობაში ეკონომიკური გაერთიანებები უფრო მეტად კომბინირებული ფორმით წარმოგვიდგებიან.

ინტეგრაციის ფორმების ტაქსონომია გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციის წარმართვისას წვერ ქვეყნებს შორის გახსნილობა და ურთიერთდამოკიდებულება იზრდება. საბაჟო კავშირის შექმნით ერთიანი საგარეო ტარიფი ანაცვლებს წვერი ქვეყნების ინდივიდუალურ საგარეო ტარიფს, ხოლო ერთიანი ინტეგრირებული სავაჭრო პოლიტიკა – ეროვნულ უცხოურ სავაჭრო პოლიტიკას. საბაჟო კავშირის საერთო ბაზრად გარდაქმნა მოიცავს წარმოების ფაქტორების თავისუფალ მობილობას, რომელიც ცვლის მათ მიწოდებას და ფასს ყველა წვერ ქვეყანაში. შესაბამისად, იცვლება ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მოდელიც და ტემპიც. ამგვარად, ეკონომიკური ინტეგრაციის მსვლელობისას წვერი ქვეყნები ნებაყოფლობით ირჩევენ ეროვნული ეკონომიკური ინტერესების და პოლიტიკის შეზღუდვას და ზოგჯერ ანაცვლებენ ისეთი ამოცანებით და პოლიტიკით, რომელიც პასუხისმგებელია გაერთიანების ერთიანობაზე. ინტეგრაციის პროცესის მსვლელობისას წვერი ქვეყნების დამოუკიდებელი ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა



პროგრესიულად იზღუდება. ძალაუფლების დანებება და ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვა ხშირად ძლიერ წინააღმდეგობებს წარმოშობს. ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩართვის გარდამავალ ეტაპზე ქვეყნები შეიძლება ჩათრეულ იყვნენ კრიზისში. შესაბამისად, ასოციაციას ასულდგმულებს წვერი ქვეყნების სურვილი, რომ დათანხმდნენ კომპრომისულ ვარიანტს და მიადწიონ კონსენსუსს, მაგრამ მხოლოდ ინტეგრაციის და ურთიერთდამოკიდებულების უმაღლეს დონეზე.

განვითარებად ქვეყნებს შორის ინტეგრაცია იზღუდება თვითდესტრუქციული ელემენტებით. ამ სახის ეკონომიკური გაერთიანება მოიცავს ორ და მეტ ქვეყანას, რომელთაგან თითოეულს მსგავსი მიზანი აქვს – პარტნიორების ხარჯზე საკუთარი განვითარების მიღწევა. შესაბამისად, თითოეული წვერი ქვეყანა ცდილობს გადაწიოს საკუთარი საზღვარი კოლექტიურად ხელმისაწვდომი ფიქსირებული რესურსების პირობებში. ამ პროცესს მიყვავართ კავშირის პარტნიორებს შორის კონფლიქტამდე, რომლის გადაჭრაც არის საკმაოდ რთული და ჩვეულებრივ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმოძრაობის და ბრძოლის შედეგი.

კავშირი და გაერთიანება ქვეყნებს შორის შესაძლებელია ნებაყოფლობითი და ძალმომრეობითი ფორმებით, მიუხედავად იმისა, რომ მათი მიზნების ნაწილი – ბაზრის განვრცობა, სხვა რესურსებისადმი წვდომა და ა.შ – შესაძლებელია მსგავსი იყოს. არსობრივი განსხვავება საბაზრო ინტეგრირებულ და იმპერიალისტურ გაერთიანებებს შორის სწორედ გაერთიანების ფორმებში და მეთოდებში გამოიხატება. სოციალისტური ეკონომიკური სისტემის, როგორც ეკონომიკური გაერთიანების საკითხი იმპერიალიზმის გამოვლინებად განიხილება. იმპერიების რღვევისა და ყოფილი კოლონიების სუვერენულ სახელმწიფოებად გადაქცევის შემდეგ ხშირად რჩება ეკონომიკური ურთიერთობები, რომლებიც უხილავ ან აშკარა ეკონომიკურ ან პოლიტიკურ

დომინირებას, ბატონობას გულისხმობენ .

აღნიშნული თეორიული მიდგომებიდან გამომდინარე შეგვიძლია განვახორციელოთ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის კონტექსტით სოციალისტური ინტეგრაციის თავისებურებების შედარებითი ანალიზი (იხ. ცხრილი 1).

შედარებითი ანალიზის შედეგები ცხადყოფს, რომ ინტეგრაციული პროცესები სოციალისტურ სისტემაში იმპერიალისტური იდეოლოგიის გატარებას ემსახურებოდა. ნაკლებად იყო გათვალისწინებული ეროვნული მოთხოვნები, ქვეყნების შეფარდებითი უპირატესობები, რაც ადასტურებს ინტეგრაციის არაობიექტურ ხასიათს.

სოციალისტური ინტეგრაციის (იმპერიის) პირობებში ქვეყნებს შორის ეკონომიკური კავშირების შენარჩუნების და ეკონომიკური ინტეგრაციის საბაზისო პრინციპებთან შესაბამისობის საკითხი განვიხილოთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითზე.

XIX საუკუნის ამიერკავკასიაში სავაჭრო ურთიერთობების განვითარება მიმდინარეობდა ცარიზმის სავაჭრო პოლიტიკის საფუძველზე. მისი მიზანი იყო არა რეგიონის შიგნით კომერციული ურთიერთობების სრულყოფა-განვითარება, არამედ რუსული ბაზრის დაკავშირება აზია-ევროპასთან. კოლონიალიზმის პოლიტიკის გატარებამ ბევრი დადებითი შედეგი გამოიღო ამიერკავკასიის რეგიონისათვის. ამ პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მათ მსგავსი სიმძიმის ტვირთის ტარება მოუხდათ, რაც განპირობებული იყო მათი გეოფიზიკური მდებარეობით.

**პროვნილი ეკონომიკა მსოფლიო ინჰაბრაციულ პროცესებში**

სოციალისტური და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის თავისებურებების შედარებითი ანალიზი ცხრილი 1.

მაჩვენებელი	სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია	ეკონომიკური ინტეგრაციის თეორია
ეკონომიკური ინტეგრაციის ხასიათი	იძულებითი	ნებაყოფლობითი
ეკონომიკური ზრდის ტიპი ინტეგრაციის ფარგლებში	ექსტენსიური	ინტენსიური
ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების საფეხურების თანმიმდევრულობა	ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურები არათანმიმდევრულია	ეკონომიკური ინტეგრაციის საფეხურები თანმიმდევრულია
პოლიტიკის და იდეოლოგიის ფაქტორი	პოლიტიკა და იდეოლოგია განმსაზღვრელია საწყის ეტაპზე	პოლიტიკა და იდეოლოგია განმსაზღვრელია ინტეგრაციის საბოლოო ეტაპზე
ეროვნული ინტერესები	ეროვნული ინტერესები იგნორირებულია	ინტეგრაციის შექმნა განისაზღვრება ურთიერთსარგებლიანობაზე დამყარებული ეროვნული ინტერესებით
ეკონომიკური ინტეგრაციის წევრთა რაოდენობა	დამოკიდებულია იმპერიის სამხედრო ძლიერებასა და ინტერესებზე	დამოკიდებულია ინტეგრაციული გაერთიანების წევრთა ერთიან მიზნებზე

სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი	იკარგება სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი	შენარჩუნებულია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი
ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებით სარგებლობა	არ ემყარება ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებს	ემყარება ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებს
სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა	სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების ცენტრალიზებული მართვა	სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა კონსენსუსის საფუძველზე
ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება	პოლიტიკური მიზნებით ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება	ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება ურთიერთსარგებლიანობის პრინციპით
ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა	ცენტრალიზებულად ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა	ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, დასავლეთის ხელისუფლებამ საბჭოთა რუსეთს დართო ნება ამიერკავკასიის რეგიონში დასაბრუნებლად. აზერბაიჯანი თავისი სანავთობო რესურსებით მოსკოვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. 1920 წელს, ბაქოს ნავთობსაბადოების დაბრუნების შემდეგ, საჭირო გახდა ქართული ქალაქი ბათუმიც, სადაც გადიოდა ნავთობსადენი და, ამასთან, იყო საუკეთესო პორტი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. თურქეთთან განსაზღვრული გარიგების სანაცვლოდ, რუსეთმა კვლავ მოახდინა საქართველოს ანექსია 1921 წელს.

XX საუკუნის დასაწყისში (1918 წლიდან) კავკასიის სამხრეთ ნაწილში არსებობდა მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც შემდეგომ დაიშალა აზერბაიჯანის დემოკრატიულ რესპუბლიკად, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად და არარატის რესპუბლიკად.

საბჭოთა რუსეთის კომუნისტური ძალაუფლების განვრცობის პირობებში ინტეგრაციული პროცესებმა მიიღო ახალი შინაარსი, კერძოდ, 1922 წელს ჩამოყალიბდა ინტეგრაციული გაერთიანება პოლიტიკურ-იდეოლოგიურ პრინციპზე დაყრდნობით – ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, რომლის შემადგენლობაშიც გააერთიანეს სამი საბჭოთა რესპუბლიკა – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. აღნიშნული სუბინტეგრაციული გაერთიანება გვევლინებოდა მსხვილი ინტეგრაციული გაერთიანების საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შემადგენელ ნაწილად. სუბგაერთიანების არსი მდგომარეობდა „ცენტრის“ მხრიდან „ტურბულენტური“ რეგიონის ეფექტიან მართვაში. აღნიშნული სუბგაერთიანება დაიშალა 1936 წელს, მას შემდეგ რაც მიღწეულ იქნა მთა-

ვარი მიზნები: შემცირდა ეთნიკური წინააღმდეგობები, ჩამოყალიბდა რუსეთთან ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძვლები, დამკვიდრდა სოციალისტური იდეოლოგია და სხვა .

ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის და შემდგომ ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები ორიენტირებული იყო ავტონომიური რესპუბლიკების ურთიერთ- და ცენტრთან ინტეგრირებისკენ. იგი არსებობდა ერთიანი რეგიონის სახით საბჭოთა კავშირის რღვევამდე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა სამი დამოუკიდებელი სახელმწიფო – აზერბაიჯანის რესპუბლიკა, საქართველოს რესპუბლიკა და სომხეთის რესპუბლიკა.

ამგვარად, სამხრეთ კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების მოკლე ისტორიული მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციული პროცესები საბჭოთა პერიოდში სოციალისტური იდეოლოგიის გატარებას ემსახურებოდა და დამოკიდებული იყო რუსეთში არსებულ მდგომარეობაზე: რუსეთში სიტუაციის სტაბილიზაციისას იზრდებოდა გავლენა რეგიონზე.

ამიერკავკასია, საბჭოთა დარაიონების მიხედვით, მოიცავდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მოძვე რესპუბლიკებს. გასაბჭოების შემდეგ, ეკონომიკური დარაიონების გეგმის მიხედვით, არ მოხდა ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ერთ ეთნიკურ რაიონად გაერთიანება, არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მიზეზით. ამიერკავკასიის ხალხებს შორის სამეურნეო ურთიერთობების განვითარებისა და გაღრმავების საქმეში ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის სსრ კავშირის მთელი ტერიტორიის 0,8% ეჭირა და იქ სსრკ მოსახლეობის 4,6% ცხოვრობდა და სადაც ეროვნული შემოსავლის 3,8% იქმნებოდა (მისი ფართობი შეადგენდა 186,1 ათას კვ.კმ-ს) .

ეკონომიკური რაიონი ქვეყნის ერთიანი სახალხო მეურნეობის სპეციალიზებული ნაწილი იყო და მისი მეშვეობით ხდებოდა რესპუბლიკებისა და ოლქების მატერიალური და შრომითი რესურსების მაქსიმალური გამოყენება. ბაქოს ნავთობი, საქართველოს ქვანახშირი და მარგანეცი, სომხეთის სპილენძი, დიდძალი ძვირფასი საშენი მასალა, აზერბაიჯანისა და სომხეთის ბამბა, აზერბაიჯანის რკინის მადნის საბადოები, საქართველოს ტყის მდიდარი მასივები, მისი მინერალური წყლები, კურორტები – ყველაფერი ეს ერთად აღებული მთლიანად ამიერკავკასიის სიმდიდრეს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის თითოეული რესპუბლიკა ვითარდებოდა დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვის ურთიერთშეხამებიდან გამომდინარე მრეწველობის სპეციალიზაციის გარკვეული ხასიათისა და დონის მიხედვით. თუ საქართველოში ვითარდებოდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორცაა შავი მეტალურგია (კერძოდ, მარგანეცის, ფეროშენადნობთა, შავი ლითონების ნაგლინისა და უნაკერო მიღების წარმოება) და კვების მრეწველობა (ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთოვანთა, მინერალური წყლების წარმოება და მეღვინეობა), აზერბაიჯანში ვითარდებოდა ნავთობის, ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხოლო სომხეთში – ფერადი მეტალურგია (სპილენძის წარმოება), მანქანათმშენებლობა და ელექტრონული ტექნიკის წარმოება.

საბჭოთა ეკონომიკურ რაიონებს შორის ყველაზე მჭიდრო მეურნეობრივი კავშირები დამყარებული იყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის. XX საუკუნის 60–70–იან წწ. საქართველოდან სომხეთსა და აზერბაიჯანში გაჰქონდათ სატვირთო მანქანები, გადასამუშავებელი თუჯი, სქელფურცლოვანი ფოლადი, შავი ლითონების ნაგლინი, ფოლადის მიღები, გლინულა, მარგანეცის

მადანი, ფეროშენადნობები, ლიფონმჭრელი ჩარხები, სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღები, არამადნეული წიაღისეული, ბამბეულის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები, ტყავი, ტყავის ნაწარმი და ტყავის ფეხსაცმელი, კვების მრეწველობის პროდუქციის მრავალსახეობა და სხვა. იმავდროულად, აზერბაიჯანიდან საქართველოში შემოიზიდებოდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ალუმინის, რკინის მადანი, საბრძმედე წარმოებისათვის შავი ლითონის ჯართი, სხვადასხვა სახის ქსოვილები, ნატურალური მატყლი, ნედლი ბამბა და სხვა. ხოლო სომხეთიდან საქართველოში შემოიზიდებოდა ელექტროტექნიკური მოწყობილობა, ავტომატიზაციის ხელსაწყოები, ავტოსაბურავები, ლითონმჭრელი ჩარხები, ლითონის ჯართი, საყოფაცხოვრებო ქიმიის სხვადასხვა პროდუქცია, ტყავი, ტყავის ნაწარმი, ზედა და თეთრეული ტრიკოტაჟი, საშენი მასალები და სხვა. [15;258].

რუსთავის მეტალურგიული ქარხანა უმთავრესად აზერბაიჯანის ნავთობის მრეწველობის ფოლადის უნაკერო მიღებით მომარაგების უზრუნველსაყოფად შეიქმნა. იგი დაშქესანის რკინის მადანზე და ტყიბულ-ტყვარჩელის სათბობზე მუშაობდა. აზერბაიჯანის ნავთობ-აპარატურის წარმოება საჭირო ლითონს საქართველოდან ღებულობდა. მესამე რგოლი, რომელიც საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის კოოპერირებული კავშირების საფუძველზე წარმოიშვა, გამოიხატებოდა იმაში, რომ საქართველოდან მიღებული ლითონით სომხეთი აზერბაიჯანის მრეწველობისათვის ლითონმჭრელ ჩარხებს ამზადებდა.

საქართველოს ექსპორტის 98% და იმპორტის 85% საბჭოთა კავშირზე მოდიოდა ინტეგრაციის ამგვარმა მაღალმა დონემ გამოიწვია საქართველოს საწარმოო სტრუქტურების დაუბალანსებელი და თავისებური ხასიათი, სადაც დომინანტურ როლს თამაშობდა რამდენიმე მაღალსპეციალიზირებული სექტორი. მათ შორის: ჩაის,



ღვინის, ციტრუსების წარმოება, მარგანეცის მოპოვება, სამკერვალო მრეწველობა, თვითმფრინავთმშენებლობა, ლითონდამუშავება, მანქანათმშენებლობა და ტურიზმი.

საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საქონელგაცვლის საფუძველს წარმოადგენდა მათ შორის საწარმოო კოოპერაცია, ვაჭრობის მართვაც გეგმაზომიერად ხორციელდებოდა. ნაკლებად იყო გათვალისწინებული ეროვნული მოთხოვნილებები, ქვეყნების შეფარდებითი უპირატესობები, მწარმოებლების ინტერესები, რამაც ჩვენთვის კარგად ცნობილ შედეგებამდე მიგვიყვანა.

აზერბაიჯანი და სომხეთი მნიშვნელოვანი ოდენობით მოიხმარდნენ საქართველოში წარმოებულ მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრადიციული კავშირები აბრეშუმისა და შალის ქსოვილების, ქეჩის ნაწარმის მიწოდების ხაზით. ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში დიდი მოთხოვნილება იყო ქართული წარმოების ჩაიზე, მინერალურ წყლებზე და სხვა.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ხასიათდებოდა მასში შემავალი სახელმწიფოების ეკონომიკების მაღალი ინტეგრირების ხარისხით და ემყარებოდა შრომის საერთო საკავშირო დანაწილებას. საბჭოთა კავშირის რღვევამ კი დაადასტურა სოციალისტური ეკონომიკის და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტრუქტურების უუნარობა სწრაფად და ეფექტიანად მოეხდინა რეაგირება სიახლეებზე. ექსტენსიურ საფუძველზე ბუნებრივი, შრომითი და კაპიტალური რესურსების ხანგრძლივი მობილიზაციამ და საგარეო ეკონომიკურმა ზეწოლამ შეამცირა საბჭოთა ეკონომიკის ეფექტიანობა, რამაც საბოლოო ჯამში დესტაბილიზაცია და საფინანსო სიტემის კრიზისი გამოიწვია. მორალურად გაცვეთილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კი არ იძლეოდა საერთაშორისო სტანდარტების კონკურენტუნარიან პროდუქციას, რაც პოსტსაბჭოთა ეკონომიკების არსის მთავარი მდგენელია.

**კაკ ლეკაშვილი**

საქართველო – სომხეთის ძირითადი სავაჭრო პროდუქცია სომხეთთან (1987 და 1997 წლებში)  
ცხრილი 2

საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელი სომხეთში		საქართველოს ძირითადი საიმპორტო საქონელი სომხეთიდან	
1987 წელს	1997წელს	1987 წელს	1997წელს
ფერადი ლითონის მადანი	ხორბალი	ფერადი ლითონები	ელექტროენერგია
შალის ნაწარმი	მენერალური, ტკბილი, გაზიანი წყლები	ტყავის, ფეხსაცმლის და მსუფუქი მრეწველობის პროდუქცია	სიგარა და სიგარეტი
რბილი საფარი და ჰიდროიზოლაციური მატერიები	ნავთობი და ნავთობ-პროდუქტები	ელექტრო და თბოენერგია	ნავთობი და ნავთობ-პროდუქტები
კომბიკორმა	აზოტის სასუქები	ქიმიური ბოჭკო და ძაფები	გოგირდმჟავა; ოლეუმი
ქაღალდ-ცელულოზის სამრ. პროდუქცია	–	ელ.ტექნიკური მრეწველობის პროდუქცია	–
სამკერვალო ნაწარმი	–	ტრიკოტაჟის ნაწარმი	–

საბჭოთა კავშირის რღვევის და ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობის შემდეგ გაწედა სოციალისტური ინტეგრაციის საფუძველზე აგებული საწარმოო კავშირები. თითოეული სახელმწიფოს მცდელობა ინდივიდუალურად მოეხდინა საკუთარი თავის მსოფლიო ბაზართან ინტეგრაცია, არაეფექტიანი აღმოჩნდა.

**ეროვნული ეკონომიკა მსოფლიო ინფრასტრუქტურულ პროექტებში**

საქართველო – აზერბაიჯანის ძირითადი სავაჭრო  
 პროდუქცია აზერბაიჯანთან (1987 და 1997 წლებში)

ცხრილი 3

საქართველოს ძირითადი საექსპორტო საქონელი აზერბაიჯანში		საქართველოს ძირითადი საიმ- პორტო საქონელი აზერბაი- ჯანიდან	
1987 წელს	1997 წელს	1987 წელს	1997 წელს
შავი ლითონი	ბუნებრივი და ხელოვნური მინერალური წყლები	ნავთობ- გადამა- მუშავებელი პროდუქცია	მარილი
ძირითადი ქიმიური პროდუქტები	აზოტის სა- სუქები	გაზის მრეწველო- ბის პროდუქ- ცია	ელექტროტრანს- ფორმატორები
ეკონომიკური გლობალიზაციის მზარდი ტენდენცია უბიძგებს ქვეყნებს აქტიურად ჩაერთონ რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებში და რეგიონული ინტეგრაციის ინტენსიფიკაცია თანამედროვე გლობალიზებადი ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის პრიორიტეტებზე და სავაჭრო პოლიტიკის სიმძიმის ცენტრმა გლობალური განზომილებიდან (მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების რეგულირება) ორმხრივი ურთიერთობების შემდგომ განვითარებაზე გადაინაცვლა.

ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის გააქტიურების თვალსაზრისით არც საქართველოა გამონაკლისი, რომელიც ისწრაფვის დაამყაროს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები ევროკავშირთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირთან დაახლოების გარდა, რომელიც ეკონომიკური ინტეგრაციის „კლასიკურ“ მაგალითს წარმოადგენს, საქართველოს წარმატებულ ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის სხვა ალტერნატივა არა აქვს.

ევროკავშირთან საქართველოს თანმიმდევრული ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევის უმთავრეს ინსტრუმენტს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების დროული გაფორმება წარმოადგენს. აღნიშნული შეთანხმება შეიძლება დახასიათდეს როგორც მრავალგანზომილებიანი შეთანხმება, რომელიც ცდება მხოლოდ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის მთელ სპექტრს და შესაბამისად უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სავაჭრო შეთანხმება.

ევროკავშირის საერთო (და არა ერთიანი) ეკონომიკურ მოდელთან დაახლოება მრავალი მიმართულებით სიღრმისეუ-



ლი რეფორმების გატარებას მოითხოვს, რაც შეიძლება მიზნულ იქნეს სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ზრდის მაპროვოცირებელ ფაქტორად. ცნობილია, რომ სახელმწიფოს როლის ზრდა მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი, როცა ის ხელს უწყობს კონკურენციის ზრდას, თავისუფალ მეწარმეობას, შემოსავლების შედარებით თანაბარი გადანაწილების უზრუნველყოფას, სიღარიბის შემცირების მიმართულებით ქმედითი ღონისძიებების გატარებას, ინსტიტუციურ და ტექნოლოგიურ განვითარებას, ასევე, ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობას და ზოგადად, ქვეყნის უფრო აქტიურ ჩართვას გლობალიზებად ეკონომიკაში.

ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს ექსპორტის მოცულობის ზრდასა და ექსპორტის დივერსიფიკაციასთან ერთად, ზემოაღნიშნული შეთანხმების გაფორმების წარმატებულობის შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობაა. ეკონომიკური ინტეგრაციის თაობაზე განხორციელებული არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ შედარებით დაბალგანვითარებული ქვეყნის მიერთება განვითარებული ქვეყნების რეგიონულ ინტეგრაციულ ჯგუფთან, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ზრდის ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას. ამდენად, ევროკავშირთან აღნიშნული შეთანხმების გაფორმებით მიღებული სარგებელი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცალკეულ სფეროში (პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, ინსტიტუციურ) რეფორმების წარმატებით განხორციელებასთან.

დაბოლოს, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმება გარკვეულწილად განაპირობებს საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობას, რაც, უპირველეს ყოვლისა, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკიდან, განვითარებაზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადართვას გულისხმობს.

References

1. Acemoglu, D. and Robinson J. A. 2012. Why nations fail: the origins of power, prosperity and poverty. New York: Crown Publishers;
2. Baldwin, R. E. and Seghezza E. 1998. Regional Integration and Growth in Developing Nations. Journal of Economic Integration, Vol. 13, No. 3, (September): 367-399;
3. Case/Global Insight. 2008. Economic Feasibility, General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement between the European Union and Georgia;
4. Council of the European Union. 2008. Presidency Conclusions, Extraordinary European Council. Brussels;
5. Commission of the European Communities. 2006. Communication on “Global Europe: Competing in the World.” COM (2006) 567, Brussels;
6. Commission of the European Communities. 2007. Communication on “A Strong European Neighborhood Policy.” COM (2007) 774. Brussels;
7. Dabrowski, M. and Taran S. 2012. No. 437/2012. The Free Trade Agreement between the EU and Ukraine: Conceptual Background, Economic Context and Potential Impact. CASE – Center for Social and Economic Research, Warsaw;
8. Di Mauro, F. Dees S. and McKibbin W. J. (eds). 2008. Globalisation, regionalism and economic interdependence. Cambridge: Cambridge University Press;
9. Ecorys/CASE. 2012. Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova. Final report. Rotterdam;
10. European Commission. 2010. Communication on “Trade, Growth and World Affairs: Trade Policy as a core component of the EU’s 2020 Strategy.” COM (2010) 612. Brussels;
11. European Neighborhood Policy: EU-Georgia action plan. 2006;
12. Frieden, J. A. 2006. Global Capitalism: Its Fall and Rise in the Twentieth Century. New York: W. W. Norton & Co;

13. Guerrieri, P. and Caratelli I. 2006. EU's Regional Trade Strategy, the Challenges Ahead. *The International Trade Journal*, 20:2, 139-184;
14. Guerrieri, P. and Dimon, D. 2006. The Trade Regionalism of the United States and the European Union: Cooperative or Competitive Strategies? *The International Trade Journal*, 20:2, 85-93;
15. Held, D. and McGrew, A. G. (eds.). 2000. *The Global transformations reader : an introduction to the globalization debate*. Cambridge: Polity;
16. Higgott, R. 1998. The international political economy of regionalism: the Asia-Pacific and Europe compared. In W. D. Coleman and G. R. D. Underhill (eds.), *Regionalism and global economic integration: Europe, Asia and the Americas*, 42-67, New York. Routledge;
17. Kakulia, M. August 2009. *Macroeconomic Context of DCFTA*. Georgian European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC) policy papers;
18. Koopmann, G. and Wilhelm, M. 2010. EU Trade Policy in the Age of Bilateralism. *Intereconomics* 45 (5): 305-312;
19. Méngova, E. 2012. *The Impact of Legal Systems on Trade Flows in Western and Eastern Europe - An Empirical Evaluation*, *The International Trade Journal*, 26:1, 37-60;
20. Messerlin, P. Emerson, M. Jandieri, G. and Le Vernoy, A. 2011. *An appraisal of the EU's trade policy towards its Eastern Neighbors: the case of Georgia*. The Center for European Policy Studies, Brussels;
21. Movchan, V. and Shportyuk, V. 2012. No. 445/2012. *EU-Ukraine DCFTA: the Model for Eastern Partnership Regional Trade Cooperation*. CASE – Center for Social and Economic Research, Warsaw;
22. Nello, S. S. 2002. *Preparing for Enlargement in the European Union: The Tensions between Economic and Political Integration*. *International Political Science Review*, Vol. 23, No. 3, July: 291-317;
23. Nye, J. S. and Donahue, J. D. (eds.), 2000. *Governance in a globalizing world*. Cambridge, Mass.; Washington, D.C.: Visions of Governance for the 21st Century ; Brookings Institution Press;

24. Pardo Sierra, O. B. 2011. Shaping the Neighbourhood? The EU's Impact on Georgia. *Europe-Asia Studies*, 63:8, 1377-1398;
25. Rodrik, D. 2011. *The globalization paradox : democracy and the future of the world economy*. New York; London: W. W. Norton & Co;
26. Stiglitz, J. E. 2007. *Making Globalization work*. New York: W. W. Norton & Co;
27. Stiglitz, J. E. 2010. *Freefall : America, free markets, and the sinking of the world economy*. New York: W. W. Norton & Co;
28. UNDP. 2007. *Assessment of the Impact of Potential Free Trade Agreement between the EU and Georgia*;
29. Weiss, L. 1999. Globalization and National Governance: Antinomy or Interdependence? *Review of International Studies*, Special Issue, 25 (5), December: 59-88;
30. Weiss, L. 2000. Globalization and State Power. *Development and Society*. Volume 29:1, 1-15;
31. Woolcock, S. Barfield C. MacLaren D. and Koopmann G. 2007. Competing regionalism - patterns, economic impact and implications for the multilateral trading system. *Intereconomics* 42, (5): 236-259.

**კლაზიატი თუ ცილისნამება? –  
მოსწავლის პასუხი მასწავლებელს ლიტვაში  
ბამოქვეყნებული სტატიის ბამო**

**ბიორგი აბუსელიძე**

**ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი**

წინამდებარე წერილი წარმოადგენს პასუხს ჟურნალში "ეკონომიკა და ბიზნესი" [1] გამოქვეყნებულ წერილზე "ქართველი ეკონომისტის ლიტვაში გამოქვეყნებული პლაგიატური სტატიის შესახებ".

ფაქტია, რომ მე, ყოველგვარი საფასურის გარეშე შევძელი გამოქვეყნებინა სამეცნიერო სტატია სათაურით "ოპტიმალური საგადასახადო წნეხის გავლენა ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოების მოცულობაზე" ("The influence of Optimal Tax Burden on Economic activity and production capacity") საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალ "INTELLECTUAL ECONOMICS"-ში [2], "Intellectual Economics" is included into reviewing by: EBSCO Central and Eastern European Academic Publishing; International Index Copernicus; Journal of Economic Literature (JEL) Classification System. Ulrich's DB; The American Economic Association's electronic bibliography, EconLit; C.E.E.O.L (Central and Eastern European Online Library) DB (preliminary) [3].

აღსანიშნავია, რომ ეს ჟურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტატიის რეზიუმეს, შესავალს, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვას, კვლევის ნაწილს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მათ კავშირს და ურთიერთგანპირობებულობას, თანხვედრას შინაარსსა და თემის სახელწოდებას შორის. ამასთანავე ჟურნალის ერთ-ერთი უმთავრესი პირობა გახლავთ ის, რომ საკვლევი თემის არც ერთი ასპექტი არ უნდა ფიგურირებდეს ადრე გამოქვეყნებულ არც ერთ პუბლიკაციაში და სრულად უნდა პასუხობდეს სამეცნიერო სტატიისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

აღნიშნული თემა 2012 წლის მაისში ლიტვაში, ქალაქ ვილნიუსში, მიკოლას რომირესის უნივერსიტეტში (MYKOLAS ROMERIS UNIVERSITY) წარდგენილი იქნა საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე "Problems of Tax Policy" [4] და იგი როგორც საკონფერენციო მოხსენება, შედეგ კი როგორც სამეცნიერო სტატია პლაგიატზე შემოწმებულ იქნა სპეციალურ ბაზაში [www.ithenticate.com](http://www.ithenticate.com) (სამწუხაროდ ეს ქართულ რეალობაში იშვიათია), რომლის შემდეგაც მოცემულმა ნაშრომმა საერთაშორისო ექსპერტებთან გაიარა დამოუკიდებელი საერთაშორისო რეცენზირება. მათი კვალიფიკაცია სათანადოდაა აღიარებული. სწორედ მათ მიერ გაკეთდა დასკვნები როგორც საკონფერენციო მოხსენების, ასევე სამეცნიერო სტატიის შესახებ. სტატიის გამოქვეყნებას, უამრავი გამოხმაურება და თანამშრომლობის შემოთავაზება მოჰყვა სხვადასხვა კვლევითი ცენტრებიდან, ფონდებიდან, ორგანიზაციებიდან, თუ სამეცნიერო გამომცემლობებიდან. გამოგიტყდებით, მოუთმენლად ველოდი შესაბამის გამოხმაურებას ქართული სამეცნიერო წრეებიდანაც, რაც დამერწმუნეთ ბევრად უფრო სასიხარულო იქნებოდა ჩემთვის (არ მიწყენენ უცხოელი მკვლევარები), მაგრამ სამწუხაროდ მივიღე ისეთი გამოხმაურება, რომელმაც შემძრა და დამაფიქრა. მესხიერებაში ძალაუნებურად გიორგი მეფის ("დიდოსტატის მარჯვენა") სიტყვები ამოტივტივდა: "დიდიკაცი თუ გამოგვერია, ისე დაგვორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები". "დიდიკაცი" - ჩემს ამბიციად არ მონათლეთ, პერიფრაზი უბრალოდ ტექსტის შინაარსის ეფექტურობას გააქარწყლებდა. ერთი მხრივ ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ამ დაკოდილი ძერას პოზიციაში მიწევს ყოფნა და ეს კიდევ უფრო დიდ სტიმულს მაძლევს მომავალი ქმედებებისაკენ და მეორე მხრივ გული მწყდება, რომ ნისკარტი იმ ადამიანებმა მითავაზეს, ვისაც ჩემს ღირსეულ პედაგოგებად და ეტალონებად მივიჩნევდი, დღეს მინდა ყველას გასაგონად ვთქვა, რომ თქვენ ბატონო იური და ბატონო ვლადიმერ ჩემი ღირსება შეღახეთ. დაუშვათ და შეეცოდეთ, ამიტომ მასწავლებელმა "წიხლი" უნდა უთავაზოს შეგირდს, თუ გაკიცხოს,

დაარიგოს, ასწავლოს და მიუთითოს მართებულ გზაზე, რომელითაც უნდა განაგრძოს სვლა. აქვე ერთი ქართული სიბრძნე გამახსენდა, დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი, და იცით რატომ, იმიტომ, რომ ბევრი თქვენს ავტორიტეტს უფრო ენდობა, ვიდრე ჩემს სიტყვას, მაგრამ სიკვდილმისჯილსაც აქვს სიტყვის თქმის უფლება და მეც მსურს რამდენიმე არგუმენტირებული კომენტარი დაგიპირისპიროთ.

დასაწყისში ბატონ ანანიაშვილს და ბატონ პაპავას მინდა შევახსენო, რომ სტატიას წინ უძღვის არა ანოტაცია (Annotation) არამედ რეზიუმე (Abstract) და ის რაზეც თქვენ მიუთითებთ [1, გვ.172] აისახება ანოტაციაში და არა რეზიუმეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამერწმუნეთ როგორი დონის სტატიაც არ უნდა იყოს ის, ხსენებულ ჟურნალში ვერ დაიბეჭდებოდა.

საინტერესო თარგმანს აკეთებენ ბატონი ანანიაშვილი და ბატონი პაპავა, რომელიც ილიასეულ "ხელი გავიქნიე ფეხს" მოგაგონებთ. ამიტომაც მომაქვს ვრცელი ამონარიდი ინგლისური, რუსული, კრიტიკოსთა ქართული თარგმანისა და თან დაეურთავ რეზიუმეს ორიგინალურ ქართულ ვარიანტს, რათა მკითხველმა თავად გააკეთოს შედარება და შესაბამისი დასკვნებიც გამოიტანოს. კერძოდ,

ინგლისური: Abstract. That the modern state couldn't exist without taxes is something that doesn't need to be argued to society. It is also acknowledged that tax burden influences not only the budget revenues, but investments, demand and supply, prices and others. All this has direct as well as indirect influence on the economic activity and production capacity. In the concept of tax burden the important fact is the connection of tax burden with the economic activity and production capacity. The influence of tax burden on budget tax revenues and production capacity can be realized in two different ways. On the one hand, tax burden influences production technologies, effective usage of resources that accordingly will be depicted on the production capacity and, on the other hand, the change of tax burden influences budget tax revenues that will be depicted on the economic activity [2].

რუსული: "То, что современное государство не может

существовать без налогов является то, что не нужно утверждать в обществе. Он также признал, что налоговая нагрузка влияет не только доходы бюджета, но и инвестиций, спроса и предложения, цен и других. Все это имеет прямое, так и косвенное воздействие на экономическую активность и производственные мощности. В понятие налогового бремени важным фактом является связь налоговой нагрузки с экономической деятельностью и производственных мощностей. Влияние налоговой нагрузки на бюджет налоговых доходов и производственных мощностей может быть реализован двумя различными способами. С одной стороны, налоговая нагрузка влияет технологии производства, эффективного использования ресурсов, что, соответственно, будет изображен на производственные мощности и, с другой стороны, изменение налогового бремени влияет на бюджет налоговых поступлений, которые будут изображены на экономическую деятельность” [5].

კრიტიკოსთა ქართული თარგმანი: `რეზიუმე. ის, რომ თანამედროვე სახელმწიფოს არ შეუძლია გადასახადების გარეშე არსებობა, არის ის, რის დასაბუთებას არ საჭიროებს საზოგადოება. ამავდროს, აღიარებულია, რომ საგადასახადო ტვირთი გავლენას ახდენს არა მარტო ბიუჯეტის შემოსავლებზე, არამედ, აგრეთვე, ინვესტიციებზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე, ფასებზე და ა.შ. ყოველივე ამას როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გავლენა აქვს საქმიან აქტიურობასა და წარმოების შესაძლებლობაზე. საგადასახადო ტვირთის კონცეფციაში მნიშვნელოვანი ფაქტია კავშირი საგადასახადო ტვირთსა და საქმიან აქტიურობასა და წარმოების შესაძლებლობას შორის. წარმოების შესაძლებლობაზე და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთის გავლენა შეიძლება ორი განსხვავებული გზით განხორციელდეს. ერთი მხრივ, საგადასახადო ტვირთი ზემოქმედებს წარმოების ტექნოლოგიაზე, რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე და ამ სახით გავლენას ახდენს წარმოების შესაძლებლობაზე; მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის ცვლილება ზემოქმედებს ბიუჯეტის შემოსავლებზე და აისახება საქმიან აქტიურობაზე” [1, გვ.174].



რეზიუმეს ორიგინალური ქართული ვარიანტი: "თანამედროვე სახელმწიფო არ არსებობს გადასახადების გარეშე, რაც არ საჭიროებს საზოგადოების წინაშე სპეციალურ დასაბუთებას. ამასთან საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საგადასახადო წნეხი გავლენას ახდენს არამარტო საბიუჯეტო შემოსავლებზე, არამედ ინვესტიციებზე, მოთხოვნა-მიწოდებაზე, ფასების მასშტაბზე და სხვა. ეს ყოველივე საბოლოო ჯამში პირდაპირი და ირიბი სახით გავლენას ახდენს ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოების მოცულობაზე. საგადასახადო წნეხის კონცეფციაში მნიშვნელოვანია საგადასახადო წნეხის კავშირი ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოების მოცულობაზე. საგადასახადო წნეხის გავლენა ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებზე და წარმოების მოცულობაზე შეიძლება განხორციელდეს ორი სხვადასხვა გზით. ერთის მხრივ საგადასახადო წნეხი გავლენას ახდენს წარმოების ტექნოლოგიებზე, რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე, რაც შესაბამისად აისახება წარმოების მოცულობაზე და მეორე მხრივ, საგადასახადო წნეხის ცვლილება გავლენას ახდენს ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლებზე, რაც შესაბამისად აისახება ეკონომიკურ აქტიურობაზე" [2, გვ. 493].

ეს შედარებები ნათლად გვიჩვენებს შეუსაბამობებს თარგმანში, ფაქტია ის, რომ აზრობრივად ან გრამატიკულად გაუმართავი ტექსტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იხილავდა დღის სინათლეს.

თუკი შევადარებთ "კრიტიკოსთა ნაშრომების" დასაწყისს [6, გვ. 8; 7, გვ. 71], რეზიუმეს მათეულ თარგმანსა [1, გვ. 274] და თქვენი მონამორჩილის ნაშრომის რეზიუმეს [2, გვ. 493], დავინახავთ, რომ ციტირებას ადგილი არ აქვს. კერძოდ, ბატონი ანანია შვილი და ბატონი პაპავა წერენ "განსაკუთრებულ დასაბუთებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ გადასახადების გარეშე თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობა შეუძლებელია. ამავე დროს, აღიარებულია, რომ დაბეგვრა გავლენას ახდენს მოხმარებასა და დაზოგვაზე, ინვესტიციებზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე, ფასწარმოქმნაზე,

ბაზრების მასშტაბებზე და ა.შ” და წყაროდაც თავად ატკინსონის და სტიგლიცის ნაშრომებს მიუთითებენ [8].

უნდა ითქვას ისიც, რომ მართალია ”მოძღვრები” არ განიხილავენ ნაშრომის [2] შესავალსა და ლიტერატურის მიმოხილვას, მაგრამ მაინც კრიტიკულად აფასებენ მას და ამიტომაც მკითხველს ვთავაზობთ შესავალისა და ლიტერატურის მიმოხილვის ქართულ ვარიანტს:

”შესავალი. ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოების მოცულობაზე საგადასახადო წნეხის გავლენის ხარისხის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორებია დარგში საწარმოთა შემოსავლიანობა, კონკურენციის სიმკაცრე, კონკრეტული საქონლის წარმოება და რეალიზაცია, დარგების, რეგიონებისა და სფეროების საწარმოო სპეციფიკა, ქვეყანაში შექმნილი საერთო სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, საზოგადოების სხვადასხვა ფენათა შემოსავლიანობა და მათი ეკონომიკური მდგომარეობა.

დარგში საწარმოთა შორის კონკურენციის ხარისხი და მათი შემოსავლიანობა საგადასახადო სიმძიმის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია იმდენად, რამდენადაც კონკურენციის სიმძაფრე მწარმოებლებს აიძულებს თავიანთი პროდუქცია მომხმარებლებს მიაწოდონ რაც შეიძლება მინიმალურ ფასად. იმ პირობებში კი, როცა დარგში საწარმოთა საშუალო დანახარჯები თითქმის თანაბარია ანუ მათ არ გააჩნიათ უპირატესობა წარმოების ხარჯებში, გადასახადებით გაბერილი ფასის შემცირების საშუალებად გვევლინება ამ საწარმოთა მიერ აღნიშნული გადასახადების სიმძიმის თავის თავზე აღება. ამ გზით მოხდება ფასის შემცირება და მოთხოვნის სტიმულირება. საგადასახადო სიმძიმის თავის თავზე აღება ხდება საწარმოთა მოგების ხარჯზე. მოგების შემცირების უფლებას კი თავის თავს ის საწარმოები მისცემენ, რომლებიც მაღალი შემოსავლებითა და შესაბამისად, მაღალი მოგებით გამოირჩევიან. ე.ი. კონკურენცია აიძულებს საწარმოებს უფრო და უფრო დაბალი ფასის სწრაფვისაკენ, ხოლო მათი შემოსავლიანობა დაბალი ფასისაკენ სწრაფვის

რეალიზაციის უმთავრესი ფაქტორია.

აქედან გამომდინარე, თუ არ იქნება დარგში კონკურენცია, ეს გარემოება მოსპობს ფასის დადაბლებისკენ სწრაფვის სტიმულს და შესაბამისად, საგადასახადო სიმძიმე მომხმარებლებს დააწვევბათ, ხოლო თუ დარგში საწარმოთა შემოსავლიანობა დაბალი იქნება, მაშინ მათ ნაკლებად ექნებათ საშუალება იმისა, რომ იკისრონ იმ გადასახადების სიმძიმე, რომლებიც ზრდიან ფასს. თუმცა, ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ გადასახადების სიმძიმის თავის თავზე ალება საწარმოთა თვითმიზანი იყოს და ისინი მომხმარებელთა კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ. ეს მხოლოდ და მხოლოდ კონკურენციულ ბრძოლაში მათი გადარჩენის გზაა.

რაც უფრო მაღალია დარგში კაპიტალის ორგანული შემადგენლობა, მით უფრო დაბალია წარმოების მოცულობის ვარიაციების საშუალება, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საგადასახადო პოლიტიკის, ქვეყანაში საერთო ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებებთან და საერთოდ იმ პროცესების განვითარებასთან, რომლებიც იწვევენ ერთობლივი მოთხოვნის შემცირებას.

ასეთი სიტუაციებისაგან შედარებით დაცულნი არიან მონოპოლისტური საწარმოები, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებშიც კი მიმართავენ ფასების ზრდის პოლიტიკას შემოსავლების მაქსიმიზაციის მიზნით.

საგადასახადო სიმძიმესა და მის გავლენაზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს მისი ზემოქმედება ტერიტორიულ სუბიექტებზე. ამისათვის მოვიშველიოთ ე.წ. საგადასახადო დიფუზია, რაც თავის თავში გულისხმობს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელსაც საგადასახადო და საფინანსო ორგანოები ახორციელებენ ბიუჯეტის დაბალანსების მიზნით ე.წ. მარეგულირებელ გადასახადებზე პროცენტების სახით ანარიცხების მიმაგრების ხარჯზე. ამ შემთხვევაში ხდება საბიუჯეტო სისტემის შესაბამისი ღონის ბიუჯეტზე აღნიშნული ანარიცხების მიმაგრება ანუ ბიუჯეტის ვერტიკალური დაბალანსება.

საგადასახადო სიმძიმესა და საგადასახადო დიფუზიას გააჩნია ორგვარი გავება იმასთან დამოკიდებულებით, ვრცელდება ის იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე თუ სახელმწიფოს ტერიტორიულ ერთეულებზე. სწორედ ამაშია ურთიერთწინააღმდეგობა, ვინაიდან, რაც უფრო დიდია საგადასახადო სიმძიმე რეგიონთან მიმართებაში, მით უფრო მდგრადია მისი ფინანსური მდგომარეობა და ნაკლებია ბიუჯეტის დაბალანსებასთან დაკავშირებული პრობლემები. სრულიად განსხვავებულად ფასდება საგადასახადო სიმძიმე იურიდიულ პირებთან და ინდივიდუალურ გადამხდელებთან მიმართებაში. საგადასახადო სიმძიმის უმნიშვნელო ზრდამაც კი შეიძლება გამოიწვიოს მათი ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება.

ამ ნაშრომის კვლევის ობიექტია საგადასახადო პოლიტიკისა და ოპტიმალური საგადასახადო წნეხის გასაზღვრა.

ნაშრომის მიზანია ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოების მოცულობაზე ოპტიმალური საგადასახადო წნეხის გავლენის ანალიზი.

კვლევის მეთოდებია: დედუქციის, სინთეზის, სამეცნიერო ლიტერატურის შედარებითი ანალიზი, სტატისტიკური ანალიზი და ისტორიული მიდგომა.

ლიტერატურის მიმოხილვა. ე.წ. პესიმისტური კონცეფციის [9] თანახმად ამ პროცესში რაიმე დინამიკური კანონზომიერების დადგენა შეუძლებელია, რადგან სხვადასხვა გადამხდელები შემთხვევითი გარემოებების ძალით ატარებენ არაერთგვაროვან საგადასახადო სიმძიმეს. პრუდონი [10] ამტკიცებდა, რომ ყველა გადასახადი საბოლოო ჯამში ფოკუსირდება პროდუქციის საბოლოო მომხმარებლებთან და ამცირებენ მათ შემოსავლებს, იწვევენ ეკონომიკაში დისპროპორციებსა და დანაკარგებს, განაპირობებენ უსამართლობას საზოგადოებაში.

ოპტიმისტური კონცეფციის [11] თანახმად კი პირიქით, ყველა გადასახადი საბოლოო ჯამში თანაბარზომიერად ნაწილდება ყველა გადამხდელს შორის საქონლის მოხმარე-

ბისა და სარგებლიანობის პირდაპირპროპორციულად.

მათემატიკურმა კონცეფციამ [12], რომელიც ეყრდნობა პროდუქციის ზღვრული სარგებლიანობის თეორიას და რომლის ფუძემდებლები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ბემ ბავერკი, ვალრასი და სხვები, ნათელი სხივი შეიტანა ამ საკითხის გამოკვლევაში და მის ასახსნელად გამოიყენა ისეთი ეკონომიკური კატეგორიები, როგორცაა მოთხოვნა, მიწოდება და ფასი ანუ მოთხოვნისა და მიწოდების ელასტიურობა. ისინი განიხილავენ ამ კატეგორიების დამოკიდებულებას გადასახადებისადმი.

სტატისტიკური კონცეფცია ცდილობს ახსნას აღნიშნული მოვლენები მრავალჯერადი სტატისტიკური დაკვირვებით მიღებული სტატისტიკური მონაცემების საფუძვლიანი გაანალიზებით.

ე. ატკინსონის და ჯ. სტიგლიცის [13] მიხედვით გადასახადების ამოღება ინდივიდების შემოსავლების შემცირებას იწვევს, ისინი რეალურად ღარიბდებიან და იძულებულნი არიან გადადონ პენსიაზე გასვლის დრო, სამუშაო დროის გაზრდის ხარჯზე შეამცირონ თავისუფალი დრო და ა.შ." [2,493-495].

მართალი ბრძანებით, როცა დასძენთ, რომ მე მხოლოდ არსებული მასალის აღწერით შემოვიფარგლები, რადგან ფაქტია, რომ ლიტერატურის მიმოხილვა მხოლოდ ფაქტების დაფიქსირებას მოიაზრებს და არა მათში წვდომას.

რაც შეეხება ნაშრომის კვლევით ნაწილს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. სამწუხაროდ აქაც არასწორ თარგმანთან გვაქვს საქმე. თუმცა აქვე მინდა ვაღიარო, რომ საგადასახადო წნეხთან მიმართებით ეკონომიკური აქტიურობისა და წარმოების მოცულობის თავისებურებები, დადებითად და უარყოფითად მოქმედი ეფექტების ჯამის საშუალებით, კარგად აქვთ თავის დროზე ახსნილი ჩემს პედაგოგებს [14, გვ.63] და ამის შესახებ მითითებულად მაქვს გამოყენებულ ლიტერატურაში [2, გვ.501], თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საგადასახადო წნეხთან მიმართებით ეკონომიკური აქტიურობისა და წარმოების

## ბიორგი აბუსელიძე

მოცულობის თავისებურებები, დადებითად და უარყოფითად მოქმედი ეფექტების ჯამის საშუალებით საინტერესოდ აქვთ განმარტებული მ. კაბალეროს, მ. გარსია კუეიტის, მ. მაეტის, დ. ფაულკნერის, ქრ. ლეოვალდის და სხვებს.

დადასტურებად გთავაზობთ მცირე ამონარიდებს:

1. "...In respect to taxation pressure, peculiarities of economic activity and output may be explained by means of the balancing of positive and negative effects . . ." [15] ანუ დაბეგვრის ზეწოლისას ეკონომიკური აქტიურობის თავისებურებები და შედეგები შეიძლება აიხსნას დადებითი და უარყოფითი ეფექტების დაბალანსებით. (თარგმანი ჩვენეულია)

2. "... Hereinafter the effects promoting growth of economic activeness and output in case of increase of taxation pressure and those preventing such growth in case of decrease of taxation pressure is called "positive", and vice versa . . ." [16] ანუ, ეკონომიკური აქტიურობის და წარმოების ზრდის სტიმულირების ეფექტებს დაბეგვრის ზეწოლის ზრდის შემთხვევაში და ამ ზრდის ხელიშემშლელ ფაქტორებს დაბეგვრის წნეხის შემცირების შემთხვევაში უწოდებენ "დადებითს" და პირიქით. (თარგმანი ჩვენეულია)

3. "... The effects preventing growth of economic activeness and output in case of increase of taxation pressure and those promoting such growth in case of decrease of taxation pressure is called "negative". . ." [17]. ანუ, ეკონომიკური და წარმოების აქტიურობის ზრდის ხელშემშლელ ეფექტებს დაბეგვრის წნეხის ზრდისას, და ზრდის ხელისშემწყობი ფაქტორებს წნეხის შემცირების დროს ეწოდება "უარყოფითი". (თარგმანი ჩვენეულია)

ფაქტია, რომ ეს საკითხები გაშუქდა საერთაშორისო სამეცნიერო ნაშრომებში და უკვე საზოგადოდ აღიარებული პიპოთეზაა, რომელთან აზრობრივი თანხვედრაც პლაგიატი არ გახლავთ. "საზოგადოდ მიღებული ცოდნის, ან ამათუემ დარგში აღიარებული დებულებებისა და შეხედულებების გამოყენებისას წყაროს მითითება აღარ არის საჭირო" [18].

როგორც ვხედავთ "ობიექტალური საგადასახადო წნეხ-

ის გავლენა ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოების მოცულობაზე დადებითად და უარყოფითად მოქმედი ეფექტების ჯამის საშუალებით” არ წარმოადგენს მათ ინტელექტუალურ შემოქმედებითობას.

აქვე მინდა შევასხენო მკითხველს, რომ აღნიშნული ”პასკვილის” შექმნამდე მათი ”განსაქიქებელი” თემა უკვე ორგზის იყო ე.წ. სამეცნიერო ფილტრში გატარებული, როგორც კონფერენციაზე, ასევე სარედაქციო ექსპერტიზის მიერ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი, რომ ჩემი ”მოძღვრები” აკეთებენ აღნიშნული ნაშრომის არასწორ ინტერპრეტაციას და ცდილობენ მკითხველი შეცდომაში შეიყვანონ. აქვე დავსძენთ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი არ წარმოადგენს საავტორო უფლებების დარღვევას. ამის დასტურია საქართველოს კანონის ”საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” მუხ. 23 „მიმდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ საკითხებზე პერიოდული გამოცემების მეშვეობით მართლზომიერად გამოცემის ან საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი სტატიების ან საჯაროდ გადაცემული მსგავსი შინაარსის ნაწარმოებების რეპროდუცირება ურნაღ-გაზეთების მეშვეობით ან საჯარო გადაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი რეპროდუცირება ან საჯარო გადაცემა სპეციალურად არ არის აკრძალული ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის მიერ არ ითვლება საავტორო უფლების დარღვევათ.“

არ მაქვს უფლება არ გამოვეხმაურო იმ კომენტარებს (კრიტიკას) რომლებსაც ბატონები აკეთებენ ჩემს კვლევაზე. კერძოდ, შეხედულებას 38.2% ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთთან მიმართებაში. არ ვაპირებ პოლემიკის გამართვას, მაგრამ ერთს დავძენთ, რომ 2005 წელს სტატია ”ბიუჯეტის შემოსავლების პერსპექტივები ახალი საგადასახადო კოდექსის ასპექტით” [19] დაიბეჭდა საკითხის დასმის წესით და მე მაშინ თსუ-ს ასპირანტი ვიყავი, რომელსაც არა მგონია მოეთხოვებოდეს რეალური ეკონომიკური დასაბუთებების გაკეთება. თუმცა ნაშრომში დგება საკითხი, რომ შეიძლება არსებობდეს

0, 0.5 და 1 განსხვავებული წერტილი, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება საგადასახადო შემოსავლების მაქსიმუმის, ეკონომიკური აქტიურობისა და წარმოების მოცულობის ზრდა. ხოლო ხსენებულ სტატიაში, დასკვნებსა და რეკომენდაციებში [2, გვ. 500-501] არის შეთავაზება, რომ 38.2% (0.382) საგადასახადო წნეხის პირობებში შესაძლებელია ნაპოვნი იქნას წარმოებრივი და ფისკალური ფუნქციების ურთიერთქმედების ოპტიმიუმი.

თუკი ჩემი სტატია არის აპოლეგეტური, ყალბი და იკ განხილული რეზიუმე, შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა, კვლევა, დასკვნები და რეკომენდაციები არ შეესაბამება ერთმანეთს და არ არის მეცნიერული უღერადობის, მაშინ ის არ გამოქვეყნდებოდა აღნიშნულ ჟურნალში, მით უფრო მოცემული სტატია არ განთავსდებოდა C.E.E.O.L (Central and Eastern European Online Library)-ში. ამ შემთხვევაში არა მარტო მე, არამედ ჟურნალის მთელ სარედაქციო კოლეგიას, დამოუკიდებელ ექსპერტებსაყენებთ შეურაცხყოფას. აქვემინდადავსვა შეკითხვა, რომ თუ მათემატიკური კანონზომიერებები, აბსტრაქციები და ა.შ. (როგორც ავტორები ამბობენ) დაუშვებელია ეკონომიკაში, მაშინ თავად რატომ იყენებენ მათემატიკურ ”აპარატებს”, რატომ ცდილობენ სწორედ მათემატიკური ლოგიკით დაასაბუთონ თუ გაამყარონ საკუთარი შეხედულებები საგადასახადო წნეხთან დაკავშირებით. საინტერესო ლოგიკაა. თუმცა მათ მიერ გამოთქმულმა შენიშვნებმა, რეკომენდაციებმა კიდევ უფრო მეტად გამიმძაფრა სურვილი ამ სფეროს სიღრმისეული კვლევისა. ამისათვის მინდა მადლობა გადაგიხადოთ, თქვენს რეკომენდაციებს კი აუცილებლად გავითვალისწინებ ჩემს სამომავლო კვლევებში.

და ბოლოს ერთი რამ მინდა შეგახსენოთ, ილია წერდა, რომ კრიტიკა ერთდროულად არის განქექვა, განჩხრეკვა და შეფასება. თქვენ მიერ შექმნილი პასკვილი კი მხოლოდ განქექვასა და ლაფის დასხმას ეფუძნება. ღირსეული მოძღვრები შეგირდებთან მწარე მათრახთან ერთად დაყვავებისა და შექქების ხერხსაც მიმართავენ ხოლმე, მაგრამ ეს სამწუხაროდ ვერ



ამოვიკითხე თქვენს „შედევრში“, რამაც საბოლოოდ დაამსხვრია ჩემში მისაბაძი პედაგოგების ხატო.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ი. ანანიაშვილი, ვლ. პაპავა. ქართველი ეკონომისტის ლიტვაში გამოქვეყნებული პლაგიატური სტატიის შესახებ// ეკონომიკა და ბიზნესი, 2013, №1;
2. G. Abuselidze. The Influence of Optimal Tax Burden on Economic Activity and Production Capacity//Intellectual Economics, 2012, Vol. 6, No, 4 (16);  
[http://www.mruni.eu/en/mokslo\\_darbai/ie/paskutinis\\_numeris/](http://www.mruni.eu/en/mokslo_darbai/ie/paskutinis_numeris/)
3. <https://www3.mruni.eu/ojs/ie/index>
4. [http://www.mruni.eu/en/university/faculties/ekonomikos\\_fakultetas/katedros/finansu\\_mokesciu\\_katedra/conference\\_problems\\_of\\_tax\\_policy/](http://www.mruni.eu/en/university/faculties/ekonomikos_fakultetas/katedros/finansu_mokesciu_katedra/conference_problems_of_tax_policy/)
5. <http://translate.google.ge/?hl=ru&tab=wT#en/ru/>
6. ი. ანანიაშვილი, ვლ. პაპავა. რესურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მოდელები//ეკონომისტი, 2011, №1;
7. I. Ananiashvili, V. Papava. Taxes, Production Technology and Economic Growth// Problems of Economic Transition, Vol. 54, No. 12, April 2012, pp. 71–91;
8. Аткинсон Э. Б. Стиглиц Д. Э. Лекции по Экономической теории Государственного сектора. Масква, Аспект-Пресс, 1995;  
Стиглиц Д. Э. Экономика Государственного сектора. М. МГУ, ИНФРА-М,1997;
9. <http://www.wisegeek.com/whatis-keynesian-economics.htm>
10. [http://wn.com/pierre-joseph\\_proudhon-general\\_idea\\_of\\_the\\_revolution\\_in\\_the\\_nineteenth\\_century](http://wn.com/pierre-joseph_proudhon-general_idea_of_the_revolution_in_the_nineteenth_century)
11. <http://thefiscaltimes.com>
12. Kugaenco, A. A.; Belyanin, M.P. Taxation Theory. 1999;
13. Atkinson, E.B.; Stiglitz, Dzh. E. Lektii according to the

economic theory of public sector. 1995, p.48-49;

14. ი. ანანიაშვილი, ვლ. პაპავა. გადასახადების გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე//ეკონომიკა და ბიზნესი, 2009, №1;

15. José María Caballero, Maria Grazia Quieti and Materne Maetz Policy Assistance Division. International Trade: Some Basic Theories and Concepts// <http://www.fao.org/docrep/003/x7352e/x7352e02.htm>

16. David Faulkner and Christopher Loewald. Policy Change and Economic Growth: A Case Study of South Africa;

17. The Economic Effects of Increasing Marginal Income Tax Rates. <http://www.becker-posner-blog.com>

18. <http://moodle.iliauni.edu.ge/mod/page/view.php?id=133>

19. გ. აბუსელიძე. ბიუჯეტის შემოსავლების პერსპექტივები ახალი საგადასახადო კოდექსის ასპექტით// სოციალური ეკონომიკა, 2005, №1 .

### რედაქციისგან

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საპასუხო წერილი შეიცავს ზოგიერთ არაკორექტულ ფრაზას, ასევე, კრიტიკული წერილის ავტორების აზრით, პასუხგაუცემელი დარჩა მათ მიერ დასმული ძირითადი საკითხები, სარედაქციო კოლეგიამ მიზანშეწონილად ჩათვალა გ. აბუსელიძის წერილის გამოქვეყნება (იბეჭდება ავტორისეული ვერსია ყოველგვარი სარედაქციო ჩასწორების გარეშე).

ყველაფრის სწორად, ობიექტურად განსჯისათვის, სასურველია, გ. აბუსელიძის წერილის გაცნობის შემდეგ, შედარების მიზნით, მკითხველები კიდევ ერთხელ გაეცნონ ი. ანანიაშვილისა და ვ. პაპავას ხსენებულ წერილს.

**ბრწყინვალე მესნიერი, ამაზლარი  
პელაგოზი, შემოქმედი პიროვნება  
(პროფესორი ელენე ხარაბაძე – 70)**

თვალსწინო ქართველ მეცნიერსა და პედაგოგს, მზრუნველ და მოამაგე პიროვნებას, შესანიშნავ კოლეგას – ელენე ხარაბაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

პროფესორი ელენე ხარაბაძე დაიბადა 1943 წლის 23 თებერვალს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლების ოჯახში. 1950–1957 სწავლობდა დიდი ჯიხაიშის საშუალო სკოლაში, 1957 წლიდან – დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს. 1961–1966 წლებში იგი სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით. 1972 წელს, ასპირანტურის სრული კურსის გავლის შემდეგ, ელენე ხარაბაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1967 წლიდან მუშაობდა თსუ-ის აღრიცხვის, ანალიზისა და აუდიტის კათედრაზე უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის თანამდებობებზე. 1992–1997 წლებში ქალბატონი ელენე იყო ამავე კათედრის გამგე. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოხერხდა 1993 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე ბუღალტრული აღრიცხვის კათედრის აღდგენა, რომელიც გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ჩამოყალიბების გამო, წლების მანძილზე თსუ-ში გაუქმებული იყო. 2006 წლიდან დღემდე ქალბატონი ელენე ხარაბაძე სამჯერ იქნა არჩეული სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

აკადემიურ საქმიანობასთან ერთად პროფ. ე. ხარაბაძეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე 2007–2009 წლებში ეკავა დეკანის მოადგილის, 2009–2012 წლებში კი დეკანის ადმინისტრაციული თანამდებობები.

---

ქალბატონი ელენე ხარაბაძე დიდ ყურადღებას აქცევს საკუთარი პროფესიული მომზადების განუწყვეტელ სრულყოფას. კერძოდ, მას გავლილი აქვს აკადემიური კურსები: აშშ-ის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებულ ექსპერტთა საერთაშორისო პროგრამით – ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში; აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში; ფინანსურ აღრიცხვასა და მმართველობით აღრიცხვაში – საერთაშორისო სტანდარტებით; ტრენინგის ინსტრუქტორის მომზადების კურსი აშშ-ის განათლების განვითარების აკადემიის პროგრამით; შემფასებელთა მომზადების კურსი – აშშ-ის განათლების განვითარების აკადემიის პროგრამით; ლონდონკოლეჯის კურსი „მასწავლებელთა მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში“.

წლების მანძილზე ქალბატონი ელენე ხარაბაძე იყო საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირის პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტური საქმიანობის საბჭოს კოლეგიისა და სასერთიფიკაციო კომისიის წევრი, საქართველოს კონტროლის პალატის მეცნიერი-კონსულტანტი. იგი არის აუდიტური ფირმა „ელკო-აუდიტი“-ს დამფუძნებელი და დირექტორი, უმაღლესი კვალიფიკაციის აუდიტორი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია პროფ. ელენე ხარაბაძის მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნულ საგრანტო პროექტებში. კერძოდ: 2001 წელს იგი იყო საქართველოს კონტროლის პალატის მოხელეთა საატესტაციო ტესტების მომზადებისა და მოწვეულ მეცნიერ-კონსულტანთა კოორდინატორი. პროექტი დაფინანსდა აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ. 2003 წელს სამეცნიერო გრანტი მან შეასრულა აშშ-ის განვითარების საერთაშორისო სააგენტოს პროექტი „კორუფციული გარიგებების ასპექტები საგადასახადო კოდექსში, მისი მოქმედების მექანიზმი საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში, რომელიც

გამოქვეყნდა სპეციალური გამოცემის სახით. 2007 წელს იგი ჩართული იყო მსოფლიო ბანკის პროექტში „სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკა“; იმავე წელს სს „მადნეულისგან“ მოიპოვა გრანტი „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სასწავლო ლაბორატორია პროგრამით Exact globe – 2003“, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი გახდა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის კათედრასთან უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ლაბორატორიის შექმნა და ძვირადღირებული კომპიუტერული პროგრამის შექმნა.

პროფ. ელენე ხარაბაძე აქტიურ პედაგოგიურ და სატრენერო საქმიანობასთან ერთად ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობასაც. მას გამოქვეყნებული აქვს 75–მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, ერთი მონოგრაფია, 3 სახელმძღვანელო, 11 სალექციო კურსი.

ამავე დროს, ქალბატონი ელენე საოცრად ფაქიზი, პოეტური ბუნების ადამიანია, რისი დასტურიცაა 2008 წელს გამოცემული ლექსების კრებული და რამდენიმე ფერწერული ტილო.

გულითადად ვულოცავთ ქალბატონ ელენე ხარაბაძეს საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ მშვიდობას, ბედნიერებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს მშობლიური უნივერსიტეტისა და სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ.

**აკაკი ხელაძე  
ელგუჯა მექვაბიშვილი  
ეთერ ხარაიშვილი  
იური ანანიაშვილი  
ნოდარ ხადური  
რევაზ გველესიანი  
ირაკლი კოვზანაძე  
თემურ შენგელია  
რევაზ გოგოხია  
მიხეილ ჩიკვილაძე**

---

---

**ქურნალში – „ეკონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიის  
წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი**

1. ქურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

2. სტატიაში წარმოდგენილი უნდა იყოს: საკვლევი პრობლემის აქტუალობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები (სიახლე), რეკომენდაციები.

3. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს 4 ფორმატით. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 11 შრიფტით ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს.

4. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ და ინგლისურ ენებზე - თითოეული 1000-დან 1500-მდე ნიშნის მოცულობით. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2-3 გვერდზე ქართულ ენაზე და რეფერატი იმავე უცხო ენაზე.

5. რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ვეზემპლარად, ელვერსიასთან ერთად (MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman).

6. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთითოს ავტორის (ან ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

7. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევი პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ლიტერატურის გამოყენება.

---

ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: ა) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი; ბ) საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი.

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო გამოყენებული უნდა იყოს სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5, გვ.41], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს.

8. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია - შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახელება და ნუმერაცია.

9. სტატიას, რომელიც არ პასუხობს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქცია არ მიიღებს

10. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თსუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს – ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თსუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

საკონტაქტო ტელეფონები:  
2 30 36 68; 2 30 40 78; 599 24 77 47;  
599 10 38 16 e-Mail: ebf.journal@tsu.ge  
e-mail: lia\_lugela@mail.ru

---

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

ტექნიკური რედაქტორი  
ეკონომიკის დოქტორი  
ლია კვარაცხელია

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი